სარჯიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 11 ივლისი 1998 №117 (652) ფასი 50 თეთრი



REUTERS ოზურ ლა ფერიედან

REUTERS ფოტო

ჩემპიონთა ლიგა ფორმატს იცვლის

1999-2000 წლების სეზონიდან ჩემპიონთა ლიგის ფორმატი შეიცვლება — ასეთია უეფას გუშინდელი განცხადება.

24 გუნდი დაიყოფა ოთხ ჯგუფად (თითოში ექვსი გუნდი), რომელთა პირველ და მეორე ადგილებზე გასულნი მეოთხედფინალში გავლენ.

მეოთხედფინალებში ორი თამაში (შინ და სტუმრად) გაიმართება, ხოლო ნახევარფინალებში თითო, ნეიტრალურ მოედანზე.

ნახევარფინალური შეხვედრები მაისის პირველ ოთხშაბათს დაემთხვევა.

უეფამ გადაწყვიტა, მაისის პირველ ოთხშაბათს დამატებითი კალენდარული დღე დაარქვას. ასეთი დღე სულ სამი იქნება: ოქტომბერში, მარტში და, როგორც ვთქვით, მაისში.

როგორც ცნობილია, ასეთი ფორმულა ზოგიერთ კლუბს არ აწყობდა. მათ მეტი შეხვედრის გამართვა უფრო აძლევდათ ხელს.

უეფამ აგრეთვე დაადგინა, რომ ევროთასების ფინალური მატჩების ჩატარების ადგილი ამიერიდან სამი წლით ადრე იქნება ცნობილი.

დღეს „პარკ დე პრენსზე“ ჰოლანდია და ხორვატია ბრინჯაოს მედლების ხარისხის გასარკვევად შეერკინებიან ერთმანეთს, მაგრამ საფეხბურთო სამყაროს უმთავრესი საფიქრალი, რა თქმა უნდა, ხვალინდელი ფინალია. ითამაშებს რონალდო? ეს კითხვა მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის გუშინწინდელმა მცირე ტრავმამ და უვარჯიშებლობამ წარმოშვა. ითამაშებს და, ცხადია, გატანასაც ჩვეული ჟინითა და ოსტატობით შეეცდება. უეჭველია, ჩემპიონატამდელ ოცნებას, ეგებ ფრანგი ჟიუსტ ფონტენის 13-გოლიანი რეკორდი დავამხოო, ვეღარ აისრულებს. მაგრამ ახლა მისთვის მთავარი ხომ ჩემპიონობის მეორედ და ნაღდად მოპოვებაა. ურიგო არც ბომბარდირობა იქნებოდა, თუმცა ამის მეტი შანსი და სურვილი ხორვატ დავორ შუკერს აქვს.

ნაკრებს ადიდასი შეგვიმოსავს

ემზარ ზენაიშვილი „სარბიელის“ საგანგებო კორესპონდენტი პარიზიდან

როგორც იქნა, გაირკვა — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გერმანულ ფირმა „ადიდასთან“ კიდევ ორი წლით გააგრძელა კონტრაქტი. „ადიდასი“ ვალდებულია, სხვა სიკეთესთან ერთად საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრებს ჩაცვას და დახუროს. კონტრაქტის პუნქტები კონფიდენციალურია, ჩვენ მხოლოდ ის შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ფეხბურთის ფედერაციამ „ადიდასისგან“ ეკიპირების გარდა დაახლოებით 150-200 ათასი დოლარიც მიიღო, რადგანაც თავად ფედერაციის ერთ-ერთმა დიდმოხელემ გვითხრა, „ნაიკი“ რუსეთის საფეხბურთო კავშირს 300 ათასით შეეწია, ჩვენ კი რუსეთი არ ვართ, ჩვენი კონტრაქტი უფრო მოკრძალებულიაო.

რაც შეეხება ახალ სათამაშო მაისურებს, ისინი, რა თქმა უნდა, ეროვნული დროშის შესაფერისია, დიზაინით კი მსოფლიოს ჩემპიონატზე მოთამაშე გერმანიისა და იუგოსლავიის ნაკრებების სამოსის მსგავსია.

ბობა ინასარიძე

მეზობლებსაც უნდა ვაწყენინოთ

ავთანდილ გურასაშვილი მოსკოვიდან

დღეს მოსკოვში მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშების გახსნაა, ჩვენმა საფეხბურთო ნაკრებმა კი გუშინ უკვე მეორე მატჩი გამართა. ქართველმა ჩვიდმეტწლამდელებმა ამერიკელი თანატოლები 0:1 ხომ დაამარცხეს და, პოლონელებიც ზედ მიაყოლეს.

ბალტიისპირელებს ჯერ წინა მატჩის მეგოლე გოცირიძემ გაუტანა 68-ე წუთზე და სამ წუთში ჩვენების მონაპოვარს თავბერიძემ ერთი გოლიც შემატა.

ახლა ვახტანგ კოპალეიშვილის ნაკრებს სახვალიოდ თურქებთან დარჩა სათამაშო და ქვეჯგუფში პირველობის ბედიც ამ მატჩში გაირკვევა. ჩვენმა მეზობლებმაც ორჯერვე იმარჯვეს და, ცხადია, ხვალაც მოგებას შეეცდებიან, მაგრამ პლეი-ოფში ნაკლებად ძლიერი მეტოქის სარგებად გამარჯვება არც ჩვენებურებს აწყენთ.

მატჩი მე-3 ადგილისთვის

დღეს

ჰოლანდია — ხორვატია

პარიზი. 23⁰⁰

ფინალი

12 ივლისი, კვირა

ბრაზილია — საფრანგეთი

სენ დენი. 23⁰⁰

ემე ქაკე ფრანგებს სიხარულით თრობას პირდება

ჰა ბურთი, ჰა მოედანი, ერთი დღეც და ნამდვილი ოქროს თასის პატრონიც გაირკვევა და ადგილსამყოფელიც. მოინდომებს, გადალახოს ცხრა მთა და ცხრა ზღვა და ბინა ისევ რიო დე ჟანეიროში დაიდოს? იქნებ პარიზი მოეწონა, კარგა ხანია, აქ არის და იქნებ მიეჩვია, იქნებ ჰაერის გამოცვლაც მოუხდა?

იხილეთ მეექვსე გვერდი

ჩვენ ვეძებთ სტიმულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატჩი მესამე ადგილისთვის — მარადიული კამათის საგანი. უეფამ პრობლემა მარტივად გადაწყვიტა, ევროპის ჩემპიონატებზე ეს თავმოყვარეობის დასაკმაყოფილებელი და გულის მოსაფხანი მატჩი აღარ იმართება. ფხანა ქეცმა იცისო, უთქვამს ილია ჭავჭავაძეს. ფიფა არ ეთანხმება.

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გასვლა უზარმაზარი რამ არის. იქამდე მისული გუნდი მთელი არსებით ფინალზე ფიქრობს, ფინალი კი ერთი მატჩია, იქ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. და აი, ასეთ დიად ზღურბლზე მისული ხალხი მარცხდება. ცივი შხაპი კიდევ არაა ის გამოთქმა, ამ ხალხის გუნებ-განწყობა რომ გამოხატოს. ხომ გინახავთ, როგორ ანგრევენ იქ, ამერიკაში მრავალსართულიან სახლებს? ამასწინათ აჩვენეს ლას ვეგასის ცნობილი სასტუმროს „ალადინის“ მიწასთან გასწორების სცენა. ეს ის სასტუმრო იყო, სადაც თვით ელვის პრესლის უქორწინია და ამერიკულ ელიტას მრავალი მსგავსი ბრწყინვალე, შამპანურის ფოიერვერკით გასხივოსნებული დღესასწაული გაუმართავს. და აი, ეს ოტელი ერთ წამში ჩაშალეს, ჩააქციეს. ალბათ, ამას შეიძლება შევადაროთ ნახევარფინალში დამარცხებული გუნდის ოცნების დაფშვნა. დიდი, ამაყი რაღაც თვალის დახამხამებაში ქრება. რჩება ნაგავი, მიდი და გადაყარე.

ბლაჟევიჩი კმაყოფილიცაა და იმავდროულად უკმაყოფილოც

მესამე ადგილისადმი ყველაზე აშკარა უგულობა 1982 და 1986 წლებში ფრანგებმა გამოამჟღავნეს. განსაკუთრებით 82-ში შეინიშნებოდა მათი იმედგაცრუება. დღევანდელ ფინალისტთა მაშინდელი ძირითადი შემადგენლობა სულ არ გავიდა მოედანზე. პლატინიმ და ჟირესმა ისიც კი თქვეს, მთელი ემოცია ნახევარფინალში დაეტოვეთო.

1994-ში, წინა ჩემპიონატზე, მესამე ადგილისთვის ბულგარეთი და შვედეთი იბრძოდნენ. გამომდინარე იქიდან, რომ ორივე ქვეყანა საფხბურთო თვალსაზრისით ღარიბია, ოთხი წლის წინანდელმა მატჩმა თითქოს შეიძინა კიდეც გარკვეული დაძაბულობა, მაგრამ კარგი მაინც არ იყო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, განა თავად ჩვენ, მაყურებელი, მესამე ადგილისთვის მატჩებს აღვიქვამთ როგორც განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონეს? ცხადია არა, რადგან თავში ყველას ხვალინდელი საღამო და ფინალი გვიტრიალებს.

დღეს რა არის მოსალოდნელი? ალბათ, დავორ შუკერის მონდომება. შუკერს 5 გოლი აქვს გატანილი და ამ საღამოს ერთიც თუ დაამატა, გაბრიელ ბატისტუტასა და კრისტიან ვიერის გაასწრებს. ესე იგი, მადრიდის „რეალში“ მოთამაშე ხორვატს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობის შანსი ეძლევა, თუ რასაკვირველია, ხვალ, ფინალში 4 გოლიანმა რონალდომ ორი არ შეაგდო. თუ რონალდომ ორი გაიტანა, მაშინ ის შუკერს დაეწევა, ხოლო თუ ჰეთ-თრიკი შეასრულა — გაასწრებს. თუმცა ჯერ შუკერს ვაცადოთ.

საერთოდაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დღევანდელი მატჩისთვის ხორვატები უფრო გაფაციცებით ემზადებიან, ვიდრე ჰოლანდიელები, რომელთაც მსოფლიოსთვის ნამდვილად არ აქვთ დასამტკიცებელი, რომ ელიტის წევრები არიან. სამაგიეროდ, ამის დამტკიცება ხორვატებს სჭირდებათ.

ზემოთ იმედგაცრუება ვახსენეთ. ხორვატებს საფრანგეთში იმედი ნამდვილად არ გაცრუებიათ, მათ ისტორიაში პირველად ითამაშეს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ოთხ უძლიერეს გუნდს შორის მოხვდნენ. იმედი ჰოლანდიელებს გაუცრუდათ. მესამედ ჰქონდა ამ ქვეყანას ფინალში გასვლისა და შესაბამისად ოქროს თასისთვის ბრძოლის შანსია. მაგრამ წააგო, თან პენალტებით.

ნახევარფინალის შემდეგ ხორვატ ფეხბურთელებს მწვრთნელმა, მიროსლავ ბლაჟევიჩმა ერთდღიანი თავისუფლება მისცა. ისინი პარიზში გავიდნენ და სავარჯიშოდ, დღევანდელი თამაშის ადგილზე, „პარკ დე პრენსზე“ გუშინ საღამოს შეიკრიბნენ.

გუნდური სურვილების გარდა არსებობს პირადიც. შუკერზე ვთქვით, რომ ბომბარდირობას ეშურება, მაგრამ განა იმავე შუკერს არ სურს ჩემპიონატის შემდეგ კარგი ცხოვრება მოიწყოს? მართალია, ის „რეალშია“ და კაცი თითქოს უკეთესს რას უნდა ნატრულობდეს. მაგრამ იმ „რეალში“ ხორვატმა თავდამსხმელმა ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში დაკარგა ადგილი. მადრიდის „სამეფო გუნდის“ ყოფილი თავკაცი, გერმანელი იუპ ჰაინკესი უპირატესობას იუგოსლავიელ პრედრაგ მიატოვიჩს და ესპანელებს რაულსა და ფერნანდო მორიენტესს ანიჭებდა. ახლა, ჩემპიონატზე გატანილი გოლების შემდეგ კი შუკერის აგენტებს ტელეფონი ლამის გაექცეთ. გამოჩნდა უამრავი, ერთიმეორეზე უკეთესი კლუბი, რომლებიც დაუნანებლად გაიკრავენ ჯიბეზე ხელს.

ჰოლანდიელი პატრიკ კლუივერტიც ალბათ იმავეს ფიქრობს. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრები იმედგაცრუებულია, პირადად კლუივერტი მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ფორვარდის სახელის დაბრუნებას ფიქრობს.

კლუივერტისთვის ჩემპიონატი ძალიან ცუდად დაიწყო. გახსოვთ, ცხადია, ის ინციდენტი ჰოლანდიისა და ბელგიის თამაშში რომ მოხდა, როდესაც კლუივერტმა ბელგიელ მცველს ლორენცო სტალენსს იდაყვი ჰკრა, რისთვისაც მოედნიდან გააძევეს და ორთამაშიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. შემდეგ, მერვედფინალში, იუგოსლავიასთან მწვრთნელმა გუს ჰიდინკმა ის არ ათამაშა, რადგან ფილიპ კოკუ ჩინებულად იყო მორგებული თავდამსხმელის ამპლუას, მაგრამ მეოთხედფინალსა და ნახევარფინალში დაბრუნებულმა ფორვარდმა, მართლაც საუცხოო შთაბეჭდილება დასტოვა. დღეს პატრიკ კლუივერტს კიდევ ერთი შანსი ეძლევა.



პატრიკ კლუივერტს შეუძლია ჩემპიონატი კარგად დააგვირგვინოს

და მაინც, ნიდერლანდელთა ბანაკიდან გამოსული ხმების თანახმად, ფეხბურთელები დღევანდელ შეხვედრას უსისხლოდ და უგულოდ ჩაატარებენ.

ჰიდინკი თურმე ძალიან ცდილობს თავის მოთამაშეებს საბრძოლო განწყობა შეუქმნას. მას უნდა, რომ ბიჭებმა ოფიციალურად კიდევ ერთხელ გააფორმონ ქვეყნის ელიტარულობა, ამ თვალსაზრისით (და საერთოდ, ნებისმიერი მოსაზრებითაც) მესამე ადგილზე გასვლა მეოთხე ადგილზე გასვლას სჯობს.

„ერთი დღე დავისვენეთ. ასეთი განტვირთვა აუცილებლად გვჭირდებოდა. მიუხედავად დიდი ემოციური დანახარჯისა და იმისა, რომ ჩვენთვის უმთავრესი კვირას თამაში იყო, შაბათსაც ყველა ღონეს ვიხმართ, რათა გავიმარჯვოთ. მესამე ადგილისთვის მატჩს სერიოზულად უნდა მივუდგეთ“ — თქვა ჰიდინკმა.

ამასთან ჰოლანდიელი მწვრთნელი ესთეტიკაზეც ფიქრობს და იმედოვნებს, რომ თამაში (თუნდაც მესამე ადგილისთვის) მისი გუნდის მონაწილეობით, ისეთი უნდა გამოდგეს, რომ ოთხი წლის წინანდელი შვედეთ — ბულგარეთივით კაცს 24 საათში არ დაავიწყდეს.

„მესამე ადგილზე გასვლა უთუოდ ერთგვარი სიამოვნებაა. გარდა ამისა, მართლა გამიხარდება, თუ ბულგარეთისა და ხორვატიის შეხვედრა მაყურებელს უფრო მეტს მისცემს, ვიდრე საფრანგეთისა და ბრაზილიის მატჩი“ — დასძენს ის.

მაგრამ ჩემპიონატი მთავრდება, თვით ჰიდინკისთვისაც კი. სიტყვა უნებურად გარბის მომავლისკენ. რას აპირებს წლევანდელი, მშვენიერი ჰოლანდიური ნაკრების არქიტექტორი ხვალ? იგი ამბობს, რომ არაა გამორიცხული დარჩეს ეროვნული გუნდის შტურვალთან, მაგრამ არც იმას მალავს, რომ ბევრი კლუბი ერთობ მაცდური წინადადებით მიმართავს.

აი, ერთი ჭორი: მადრიდის „რეალის“ მწვრთნელობიდან ერთი თამაშის გაუმართავად გადადგა ხოსე ანტონიო კამაჩო, ჰაინკესის შემცვლელი, და მის ადგილს ჰოლანდიელს სთავაზობენ.

„ეს ამბავი ჩემთვისაც უცნობი და ახალია. ადრეც მითქვამს, რომ ყურადღება მსოფლიოს ჩემპიონატისკენ მაქვს მიპყრობილი და მხოლოდ მასზე ვფიქრობ, ხოლო რა მოხდება მერე, ვნახოთ“ — ამბობს ჰიდინკი.

ეტყობა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე ჰიდინკი ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციას გაესაუბრება და ამის მიხედვით განსჯის რა და როგორ.

„აბსოლუტურად ნეიტრალური ვარ. ამასთან ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციასთან ერთად უკვე შევუდექი ევროპის 2000 წლის ჩემპიონატისთვის გეგმების დაწყობას. ბოლო ორ წელიწადში ჩვენს ნაკრებში საორგანიზაციო მხარე ერთიორად გაუმჯობესდა. ვნახოთ, რა იქნება მომავალში.“

ჰოლანდიელების მსგავსად ხორვატებიც იმას ამბობენ, რომ ფინალში თამაში სურდათ, მაგრამ რა გაეწობა, მესამესთვის ვიბრძოლებთო.

„ნამდვილად გვინდოდა ფინალში გასვლა. რაც იყო, იყო, ახლა მთელი ყურადღება მესამე ადგილისთვის თამაშზე უნდა გადავიტანოთ. ჩვენ სტიმულის პრობლემა არ გვექნება. აი ჰოლანდიელებს კი ნეტავ ჰქონდეთ. ვლოცულობ ამისთვის. შეხვედრა აშკარად ვერ იქნება უწინდელებივით დაძაბული, მაგრამ ჩვენ მაინც ასე ვსჯით, სჯობს მესამე იყო, ვიდრე მეოთხე“ — ამბობს დავორ შუკერი.

„ეჭვი არაა ახლავე შეგვიძლია ვიამაყოთ იმით, რასაც ამ ჩემპიონატზე მივაღწიეთ, თუმცა ვერაფრით შეგუებლივარ აზრს, რომ მეტი არ შეგვეძლო“ — ეს მწვრთნელის მროსლავ ბლაჟევიჩის სიტყვებია.

„მესამე ადგილი კი კარგია, მაგრამ ნახევარფინალში ხუთი წუთი რომ გაგვიძლო და ჩვენი დაწინაურების შემდეგ ხელადვე არ გაგვეშვა გოლი, ახლა ფინალში ვიქნებოდით. საკვირაო ციებ-ცხელება გაცილებით მეტ სიამოვნებას მოგვგვრიდა“ — თქვა სლავენ ბოლიჩმა.

„ჩვენ მესამე ადგილზე გასვლა გვსურს“ — აღნიშნა მარიო სტანიჩმა, რომელიც ჰოლანდია — ხორვატიის ფინალს წინასწარმეტყველებდა.

მცველი იგორ სტიმაჩი: „ ყველაფერს გავიღებთ მესამე ადგილზე გასასვლელად.“

დღეს საღამოს მსოფლიოს გულშემატკივრები კვლავ ვერ ნახავენ ნიჭიერი ჰოლანდიელი გარემარბის მარკ ოვერმარსის თამაშს. ოვერმარსს ორთავა კუნთის ტრავმა ჯერ არ მოშუშებია. მცირე ტრავმები აქვთ მიხაელ რაიციგერსა და აარონ ვინტერს.

ხორვატებს ალბათ დაშავებული კაპიტანი და ლიდერი ზვონიმირ ბობანი არ ეყოლებათ. დისკვალიფიცირებულია დარიო სიმიჩი.

ბოლოს კი მაინც იქ მივალთ, საიდანაც დავიწყეთ. მატჩი მესამე ადგილისთვის გულისფხანაა და მეტი არაფერი. თუმცა ვისთვის როგორ.

გახდება დავორ შუკერი საუკეთესო ბომბარდირი?

გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

ჰოლანდია: ვან დერ სარი, რაიციგერი, სტამი, ფ. დე ბური, რ. დე ბური, იონკი (ან ზეედორფი), დავიდსი, კოკუ, ზენდენი, ბერხკამპი, კლუივერტი

ხორვატია: ლადიჩი, ბილიჩი, სტიმაჩი, იურიჩი, სტანიჩი, სოლდო, მარიჩი, ასანოვიჩი, იარნი, ვლაოვიჩი, შუკერი

ბაბუნა ძედია

ჩემპიონატის დღიური

9 ივლისი

ლაშა ეოდყაძე

სარბიელი

ალბათ, ყველა თქვენთაგანს (ყველას თუ არა, უმეტესობას მაინც) წაუკითხავს ცნობილი ფრანგი მწერლის ჟიულ ვერნის უკვდავი წიგნი „80 ათასი კილომეტრი წყალქვეშ“. ამ ნაწარმოების ერთ-ერთი მთავარი გმირის, იდუმალებით მოცული კაპიტან ნემოს ქმნილებას — წყალქვეშა გემ „ნაუტილუსს“ ასეთი წარწერა ამშვენებს: „MOBILE IN MOBILES“ (მოძრავი მოძრავში). დღევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის დღიურიც გარკვეულწილად წააგავს ზემოთქმულს — „სარბიელი სარბიელში“.

დღევანდელი დღიურისთვის ეს სათაური შემთხვევით არ შემირჩევია. ქვემორე წერილში მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელ სტადიონებზე მინდა მოგითხროთ, იმ სარბიელებზე, რომლებიც ფეხბურთის ყველაზე დიდ, უმნიშვნელოვანეს და ლამაზ ტურნირს თითქმის ერთი თვე მასპინძლობდნენ და ჯერაც უნდა უმასპინძლონ.

დღეს იმ სტადიონებზე გიამბობთ, სხვებთან შედარებით მეტ შეხვედრას რომ უმასპინძლეს. ასეთი სამია — სენ დენის „სტად დე ფრანსი“, პარიზის „პარკ დე პრენსი“ და მარსელის „ველოდრომი“.

და მაინც, კვლავ ამ წერილის სათაური — დამეთანხმებით, ალბათ, ძველებრძნულ „სტადიონს“ (ასპარეზობის ადგილს, სათამაშო მოედანს რომ ნიშნავს) ქართული „სარბიელი“ სჯობს.

მაშ ასე, მსოფლიოს ჩემპიონატის სამი უმთავრესი სარბიელი, ვნებავთ, სტადიონი.



მისი უბრწყინვალესობა „სტად დე ფრანსი“. ესა ის სარბიელია, რომელსაც ფრანგები იმედით შესცქერიან

სტად დე ფრანსი — რჩეულთა ალაგი

მსოფლიოს ჩემპიონატის საფრანგეთში ჩატარება კარგა ხნით ადრე გადაწყდა, როცა ფიფამ ქვეყანას ასეთი პატივი დასდო, ფრანგული სპორტის მესაჭეებში უმალ ახალ, ულტრათანამედროვე სტადიონზე დაიწყეს ფიქრი, საბოლოოდ კი ჩანაფიქრი რეალობად აქციეს და საფრანგეთს ულამაზესი და, ალბათ, მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე თანამედროვე სარბიელი „სტად დე ფრანსი“ აჩუქეს. თავდაპირველად განზრახული იყო პარიზის „პარკ დე პრენსის“ გადაკეთება, მაგრამ რომ გამოთვალეს, ეს გაცილებით მეტ დანახარჯს მოითხოვდა და ფრანგებმა პარიზთან ახლოს, სენ დენიში (დაახლოებით ისეა, როგორც თბილისი და მცხეთა) შესანიშავ ადგილზე ააგეს. „სტად დე ფრანსი“. მშენებლობა ორი წელი გრძელდებოდა, მუხლჩაუხრელი და გულიანი შრომის შედეგი კი ჩინებული გამოდგა — ასეთი სტადიონი არა მარტო ევროპაში, მსოფლიოშიც იშვიათია.

ერთი სიყვით, „სტად დე ფრანსი“ — უმშვენიერესი, ულამაზესი ქმნილება, ადგილი, სადაც ფეხბურთის თამაში რომ არ იცოდე, მაინც ათამაშდები. სტადიონი, რომელმაც ჯერ კიდევ უნდა უმასპინძლოს თავის პატარა, მაგრამ უდიდესი მოვლენებით აღსავსე ისტორიაში უდიდეს მატჩს — მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალს.

„სტად დე ფრანსის“ ისტორიის თავფურცელი წლეულს, 28 იანვარს გადაიშალა — საფრანგეთის ნაკრებმა ესპანეთს უმასპინძლა და ზინედ ზიდანის ერთადერთი გოლის წყალობით გაიმარჯვა. პირველი ბურთი სწორედ ფრანგთა ლიდერმა შეაგდო, გამთამაშებელმა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ იქნა და ვერ გაიტანა გოლი. შანსი ზიდანს კიდევ აქვს, წინ ხომ ფინალია!

„სტად დე ფრანსზე“ ესპანელებთან გამარჯვება ფრანგებს, როგორც ჩანს, დაებედათ — აქამდე აქ ნათამაშევი ოთხი მატჩიდან მათ სამი მოიგეს და ერთადერთხელ დასჯერდნენ ფრეს (მეოთხედფინალში იტალიასთან). მასპინძლებს დიდი იმედი აქვთ, რომ ნაკრების სტადდეფრანსული დაუმარცხებელი სერია ფინალშიც გაგრძელდება.

— მსოფლიოს ჩემპიონატის მოგების უკეთესი შანსი, ალბათ, კარგა ხანს არ მოგვეცემა. ჩემმა თაობამ ორი შეცდომის გამო ოქროს თასის მოპოვების შესაძლებლობა ქარს, უფრო სწორად, მეტოქეს გაატანა. თქვენ არ გაქვთ წინამორბედთა შეცდომის დაუნახაობის უფლება! — ლუის ფერნანდესი, მიშელ იდალგოს შესანიშნავი საფრანგეთის ნაკრების უძლიერესი ნახევარმცველი ემე ჟაკეს რჩეულებს გამარჯვებისკენ მოუწოდებს, ისე, რა მაგის პასუხია და ფრანგთა ფინალისთვის შემამზადებელი ლუის ერნანდესი, ბილბაოს „ატლეტიკოს“ რომ წვრთნის, სრულიად შესაძლებელია, თბილისის „დინამოს“ მეტოქედ იქცეს ჩემპიონთა თასზე.

ფრანგები ფინალისთვის განსაკუთრებულად ემზადებიან. ვეტერანებიც, არ აქვს მნიშვნელობა, „ახალგაზრდები“ თუ „ძველგაზრდები“, იმედიანად არიან. ფრანგთა ნაკრებთან ერთად ემზადება „სტად დე ფრანსიც“.

— ჩვენ გვსურდა ჟურნალისტების მუშაობა მაქსიმალურად გაგვადვილებინა, რაც ვფიქრობ, შევძელით კიდეც. „სტად დე ფრანსი“ — ეს არის ადგილი, რომელიც ყველა სტუმარს დადებით ემოციებს აღუძრავს — ჟან პიერ ელინი, „სტად დე ფრანსის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, ასე ახასიათებს ნაგებობას.

მაინც, რა გამოარჩევს სენ დენის ღირსშესანიშნაობებს? — აქა არის მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პერსცენტრი, სადაც არსდროს წყდება მუშაობა. აქვეა ათასობით ტელევიზორი თუ მონიტორი, რომელთა საშუალებითაც ჟურნალისტები ყოველ წამს იღებენ ინფორმაციას და უცქერენ აწ უკვე განვილი მატჩების პერიპეტიებს. აქვეა კომპიუტერული ცენტრი, რომლის მეშვეობითაც ხდება ჩემპიონატის შედეგების ათასგვარი დაჯამება, მოკლედ, სხვა ბევრ ღირსებასთან ერთად „სტად დე ფრანსს“ გამოარჩევს ერთი რამ — ეს არის ადგილი, რომელიც ფეხბურთით სულდგმულობს.

— მომავალი ფინალი ყველაზე უკეთ ორგანიზებული იქნება ადრინდელებთან შედარებით. ყველაფერი მაქსიმალურად მაღალ დონეზე გაკეთდება — მსოფლიოს ჩემპიონატის ორგკომიტეტის თავმჯდომარე მიშელ პლატინი ხალხს ყოველივე საუკეთესოს ჰპირდება.

12 ივლისს ფინალია. მსოფლიოს ჩემპიონატის გვირგვინი, მატჩი, რომელიც გადაწყვეტს კიდეც ოქროს თასის ბედს. დარჩება ბრაზილია მსოფლიოს ფეხბურთის ტახტზე კიდევ ოთხი წლით თუ მსოფლიოს ახალი, რიგით მეშვიდე ჩემპონი მოვლინება? არავინ იცის, ყველაფერს მალე მოეფინება ნათელი.

რა დაგვრჩენია ჩვენ? — არაფერი, ლოდინის გარდა.

რა დარჩენია „სტად დე ფრანსს“? — ჩვენსავით ლოდინი და კიდევ ძალიან, ძალიან ბევრი რამ.

იქ უფლისწულები თამაშობენ

სანამ „სტად დე ფრანსი“ ამ ქვეყანას მოევლინებოდა, „პარკ დე პრენსი“ საფრანგეთის უპირველესი საფეხბურთო სტადიონად ითვლებოდა, თუმცა რაღა საფეხბურთოდ — საფრანგეთის რაგბისტთა ნაკრებიც მომხვდურთ აქ ხვდებოდა.

დღეს ბრწყინვალე სტადიონმა შედარებიც უკანა პლანზე გადაიწია, თუმცა მის სილამაზესა და სიდიადეს არც არაფერი მოჰკლებია — „პარკ დე პრენსი“ ფრანგთა უსაყვარელს სტადიონად რჩება.

ის, რომ „პარკ დე პრენსი“ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილისთვის მატჩს უმასპინძლებდა, ცხადი იყო. კონკურენტი მათ არც ჰყოლია, უბრალოდ, ვერც ერთმა ქალაქმა ვერ გაბედა პარიზელებთან შეპაჭრება.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე „პარკ დე პრენსმა“ არანაკლებ მნიშვნელოვან შეხვედრას უმასპინძლა — წლეულს უეფას თასი იტალიურმა „ინტერმა“ და „ლაციომ“ სწორედ აქ გაითამაშეს. მატჩი მართლაც შესანიშნავი გამოდგა, ისეთი, უეფას თასის ფინალსა და „პარკ დე პრენსს“ რომ შეჰფერის.

მეოთხედფინალმა და ნახევარფინალებმა „პარკ დე პრენსის“ გარეშე ჩაიარა — მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, სტადიონს მესამე ადგილის მატჩისთვის ემასპინძლა და პარიზული მერვედფინალის შემდეგ (ბრაზილია ჩილეს სწორედ აქ დაუპირისპირდა) დაასვენეს. თუმცა განა თავად სტადიონის მესვეურებს დასასვენებლად ეცალათ? — მიუხედავად იმისა, რომ „პარკ დე პრენსი“ თითქმის ორი კვირა თავისუფალი გახლდათ, არ წყდებოდა მუშაობა. სხვადასხვა ქვეყნის ჟურნალისტები ამ სტადიონის ხშირი სტუმრები იყვნენ.

— ამ სტადიონთან ძალიან თბილი მოგონებები მაკავშირებს. აქ ბევრი სიხარული განმციდია, ახლა კი, ეგებ სასიამოვნოდ არ ჟღერდეს, მაგრამ აქ თამაშს არ ვისურვებდი — ეს სიტყვები ბრაზილიელ ლეონადროს ეკუთვნის და ნახევარფინალებამდეა თქმული. ლეონარდო, მოგეხსენებათ, „პარი სენ ჟერმენის“ ნახევარმცველი გახლდათ, „პარკ დე პრენსი“ კი სწორედ ამ კლუბის სტადიონია. შესაბამისად, ლეონარდოსაც ხშირად უწევდა აქ თამაში, თუმცა ახლა, მესამე ადგილისთვის ბრძოლა მას არ სურდა.

— ჩვენთვის მთავარია, საფრანგეთის სტუმრები კმაყოფილნი იყვნენ. ჩემპიონატის დაწყების დღიდან ყველანაირად ვცდილობთ, მათ უმაღლეს დონეზე მოვემსახუროთ, რაც ვგონებ, გამოგვდის კიდეც. რჩება ბოლო გამოცდა — მატჩი მესამე ადგილისთვის. ეს შეხვედრაც ჩაივლის და ჩვენთვის მსოფლიოს ჩემპიონატი დასრულდება. მე თავს უმალ ბედნიერად ვიგრძნობ. ეგებ ათწლეულები გავიდეს და საფრანგეთმა ასეთ მნიშვნელოვან ტურნირს ვეღარ უმასპინძლოს. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი შეჯიბრის თვითმხილველი ვარ — კლოდ ჟესონი, „პარკ დე პრენსის“ აღმასრულებელი დირექტორი, სიხარულით და ფარული სინანულითაც საუბრობდა ჩემპიონატზე.

დღეს „პარკ დე პრენსი“, უფლისწულთა სარბიელი, მსოფლიოს ჩემპიონატს ეთხოვება. დღეს საფრანგეთის დედაქალაქი მსოფლიოს ჩემპიონატის ბოლოწინა შეხვედრას მასპინძლობს — ჰოლანდია ხორვატიას მესამე ადგილს ეცილება. ეგებ მატჩი არც იყოს დაძაბული, მაგრამ თავისებური ხიბლი რომ ექნება, ფაქტია.

„პარკ დე პრენსი“ მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგაც საფრანგეთის რჩეულ სტადიონად დარჩება.

შგრალიდ, ველოდრომი

ჯერ მხოლოდ ის რად ღირს, რომ საფრანგეთია. მერე ზღვისპირა ქალაქი, ულამაზესი მარსელი, ამას დაუმატეთ ჩინებული ამინდი, შესანიშნავი სტადიონი „ველოდრომი“ და ნათელი გახდება, თუ რატომ გამოდგა მარსელის „ოლიმპიკის“ უპირველეს სტადიონ „ველოდრომზე“ გამართული შვიდივე შეხვედრა თვალსასეირო.

მარსელი პირველი ნახევარფინალური მატჩის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებმა ბრაზილიელებმა და ჰოლანდიელებმა ძალიან დაძაბული შეხვერა შესთავაზეს ათასობით ქომაგს, საბოლოოდ კი თითქმის სამსაათიანი გრძოლის შედეგად „ველოდრომს“ მსოფლიოს ჩემპიონატთან ბრწყინვალე გამთხოვება მოუწყვეს. მართლაც დიდი პატივია მსოფლიოს ჩემპიონატი ნახევარფინალის მასპინძლობა, თანაც, თუ ასეთი შესანიშნავი მატჩია.

— გვსურდა, უკლებლივ ყველა, არ აქვს მნიშვნელობა, ჟურნალისტი იქნებოდა ეს თუ უბრალოდ ქომაგი, კმაყოფილი ყოფილიყო — მარსელი უკვდავი სიყვარულის ქალაქია და ამიერიდან იგი ფეხბურთის დაუვიწყარი ზეიმის მასპინძლადაც იქცევა. მსოფლიოს ჩემპიონტი ჩვენთვის, „ველოდრომის“ პრესცენტრის მოხელეთათვის, დღეიდან მთავრდება, თუმცა მაინც გრძელდება — ელენ მერლიანი, „ველოდრომის“ პრესცენტრის დირექტორი, კმაყოფილი გახლდათ. მარსელის უმთავრესი სარბიელის პრესცენტრი მართლაც უმაღლეს დონეზე მოემსახურა მეოთხე ხელისუფლებას. ესეც არ იყოს, არც ქომაგები იყვნენ უკმაყოფილო. „ველოდრომზე“ ყველაფერი ჩინებულად გახლდათ ორგანიზებული.

მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ სენსაციას, ნორვეგიელთა მიერ ბრაზილიელთა ძლევას სწორედ აქ დაედო სათავე. მერვედფინალში „სკუადრა აძურამ“ იგივე ნორვეგიელები აქ დაამარცხა. ბრწყინვალე მეოთხედფინალი არგენტინასა და ჰოლანდიას შორის აქ შედგა და არანაკლებ დაძაბული ნახევარფინალი ბრაზილია — ჰოლანდიაც „ველოდრომზე“ გაიმართა. ამას დაუმატეთ ჯგუფური ტურნირის სამი შეხვედრა: საფრანგეთი— სამხრეთ აფრიკა, ინგლისი — ტუნისი, ჰოლანდია — კორეა და ნათელი გახდება, რომ „ველოდრომმა“, უფრო სწორად აქ ჩატარებულმა მატჩებმა ეს მსოფლიოს ჩემპიონატი გამორჩეულად დაამშვენა.

„ველოდრომი“ მსოფლიოს ჩემპიონატს დაემშვიდობა, თუმცა „ნახვამდის“ მაინც არ უთქვამს.

პარიზელთა საყვარელი საბურთაო ადგილი, ბევრისმნახველი „პარკ დე პრენსი“ — იგივე უფლისწულთა საბურთაო



მსოფლიოს ჩემპიონატის მშვენება — შეხვედრებიდან უმეტესობას სწორედ „ველოდრომი“ მასპინძლობდა

დევიდ აპატიეს

მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მსაჯებს საკმაოდ ბევრჯერ, სულ 21-ჯერ მოუხდათ წითელი ბარათის აფრიალება. ყოველთვის ასე იყო, ეს ხომ ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია, მაგრამ წლეულს სხვაგვარი ტენდენცია გამოიკვეთა — ფეხბურთელებს მინდვრიდან ძირითადად მოწინააღმდეგის ფიზიკური შეურაცხყოფისთვის აძევებენ. სავსებით შესაძლებელია, ეს ყველაფერი ფიფას ახალი პრეზიდენტის იოზეფ ბლატერის მიერ შემოღებულმა ახალმა კანონებმა გამოიწვია, რომლებიც კრძალავს მეტოქეზე უკნიდან თავდასხმას და პატარა უხეშობასაც კი მკაცრად სჯის. ფეხბურთელები, რომლებიც მეტოქის სიძლიერისა თუ სხვა მიზეზის გამო ნერვებს ვერ თოკავენ, ფარულად, მსაჯის შეუმჩნევლად ვეღარ უხეშობენ და ამის გაკეთება ყველას დასანახად უხდებათ.

ყველაზე დიდი მითქმა-მოთქმა დევიდ ბექემის საქციელს მოჰყვა, რომელმაც არგენტინელებთან მერვედფინალურ შეხვედრაში თავი ვერ შეიკავა და დიეგო სიმეონეს ფეხი ჩაარტყა. ეტყობა, ეგონა, არბიტრი შორს იდგა და ვერ დაინახავდა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ დანიელი კიმ ნილსენი იქვე იმყოფებოდა. შედეგად ბექემმა წითელი ბარათი მიიღო, ხოლო ბრიტანელები ათნი დარჩნენ და ძლიერ გაუჭირდათ. ალბათ, უფრო ფსიქოლოგიურად, თორემ ფიზიკურად ინგლისის ნაკრები რომ მზად იყო, ეს დამატებით დროშიც გამოჩნდა.

მას შემდეგ საკმაო დრო გავიდა. ამ შემთხვევამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ტელევიზიით ასეთი ჭორიც კი გავრცელდა — ბექემს საცოლე, „სფაის გირლზის“ ერთ-ერთი წევრი ვიქორია ადამსი დაშორდა, ფირმა „ადიდასმა“ კონტრაქტი შეუწყვიტა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედი“ გუნდიდან გადგებას უპირებსო.

იმ მატჩის მეორე დღეს ლონდონურმა გაზეთმა „მირორმა“ ასეთი სტატია გამოაქვეყნა — „ათი გმირი და ერთი სულელი ბიჭი“. ბექემი არც სხვა ჟურნალ-გაზეთებმა დაინდეს და ·ერთგვარი ანტიბექემური კამპანიაც კი გაჩაღდა. ინგლისელთა ხასიათიდან და ცხოვრების წესიდან გამომდინარე, ეს, ალბათ, მოსალოდნელიც იყო. თუმცა, მოგეხსენებათ, დრო ყველაფრის მკურნალია და ფეხბურთელის თანამემამულენიც დაშოშმინდნენ.

ერთ-ერთი რელიგიური ორგანიზაცია, რომელიც ინგლისში ბიბლიებს გამოსცემს, ხალხს მოუწოდებს, შეუნდონ ბექემს და ის საქციელი დაივიწყონ. მოვუსმინოთ ამ ორგანიზაციის წარმომადგენელ დევიდ სპრიგსს: „ბექემი ჩვეულებრივი ადამიანია, ისეთი, როგორიც მე და თქვენ. ჩვენ ყოველდღე უამრავ ცოდვას ჩავდივართ, შინ იქნება ეს, ქუჩაში თუ სამსახურში. ასე რომ, მისი საქციელის ასე მკაცრად შეფასება უმართებულოა. მთავარია, რომ მას ეყო ვაჟკაცობა, საქვეყნოდ მოენანიებინა თავისი ნამოქმედარი. ახლა მისთვის ყველაფრის თავიდან გახსენება ჩვენი მხრივ უმადურობა იქნება.“

ბექემი სერ ბობი ჩარლტონმაც გაამხნევა

ბექემს სერ ბობი ჩარლტონმაც გაამხნევა

ბექემს სერ ბობი ჩარლტონმაც გაამხნევა

ბექემი არც სხვა ჟურნალ-გაზეთებმა დაინდეს და ·ერთგვარი

ბექემი ჩვეულებრივი ადამიანია, ისეთი, როგორიც მე და თქვენ. ჩვენ ყოველდღე უამრავ ცოდვას ჩავდივართ, შინ იქნება ეს, ქუჩაში თუ სამსახურში. ასე რომ, მისი საქციელის ასე მკაცრად შეფასება უმართებულოა. მთავარია, რომ მას ეყო ვაჟკაცობა, საქვეყნოდ მოენანიებინა თავისი ნამოქმედარი. ახლა მისთვის ყველაფრის თავიდან გახსენება ჩვენი მხრივ უმადურობა იქნება.“

ბექემი წარსულში ცნობილმა ინგლისელმა ფეხბურთელმა, სერ ბობი ჩარლტონმაც გაამხნევა და ყველას სთხოვა, დაივიწყებინათ ის ინციდენტი. ასეთია ფეხბურთელის ცხოვრება, ხან კარგს გააკეთებს და ხან ცუდსო, აღნიშნა ერთ-ერთ გაზეთში ჩარლტონმა.

ბუნებრივია, ვიქტორია ადამსიც გამოეხმაურა მომხდარს — დევიდი არ იმსახურებს იმას, რომ ინგლისში ყველასთვის საძულველი კაცი გახდესო.

თავად ბექემი კი, რაღა თქმა უნდა, ძალიან განიცდის. მართლაც, ძნელია, როცა მეგობრებს უმტყუნებ და ამისთვის მკაცრად გაკრიტიკებენ. მაგრამ იგი ჯერ ახალგაზრდაა და ასეთი შეცდომა ეპატიება. მან ხომ შეხვედრის დასრულებისთანავე კაცურად აღიარა, რომ ემოციები ვერ დაიოკა. ახლაც, როდესაც ინგლისელებმა შეუნდეს, იგი კვლავ იმეორებს, უეჭველია, ეს ყველაზე ცუდი მომენტი იყო ჩემს კარიერაში. ის საღამო არასდროს დამავიწყდება და მთელი ცხოვრება ვეცდები, მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.“

ფეხბურთი კომპიუტერული თამაშია?

ალი ბუჯსაიმი მსაჯობას არ უჩივის

ალი ბუჯსაიმი მსაჯობას არ უჩივის

ამ ბოლო ხანებში საკმაოდ გახშირდა საუბარი იმაზე, რომ დროა, საფეხბურთო მატჩების დროს მსაჯებმა ვიდეოჩანაწერით ისარგებლონ, რათა ამა თუ იმ საკამათო მომენტში მათ მიერ მიღებული გადაწყვეტილება მცდარი არ აღმოჩნდეს. ფიფას მსაჯთა კორპუსის წარმომადგენელმა ვოლკერ როტმა ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ მსგავსი ვერსიები ყოვლად უსაფუძვლოა და მათი დაკანონება ფეხბურთისთვის დამღუპველი იქნება.

— თუ ჩვენ დღესდღეობით არსებულ მსაჯობის წესს შევცვლით და არბიტრებს ვაიძულებთ, ამა თუ იმ გაუგებრი ეპიზოდის გასარჩევად ვიდეოპარატურას მიმართონ, ეს იმის მომასწავებელი იქნება, რომ ფეხბურთი მოკვდა. როგორც მოგეხსენებათ, ფეხბურთს მთელი დედამიწის ზურგზე მილიონობით ადამიანი თამაშობს, რომლებიც ერთი და იმავე წესებს ექვემდებარებიან. თუ ჩვენ უმაღლეს დონეზე სხვა კანონებს მივიღებთ და შედარებით დაბალ დონეზე არსებულ წესებს არ შევცვლით, თამაშს აზრი დაეკარგება.

დარწმუნებული ვარ, ხალხი დღესდღეობით უპირველეს სპორტს ზურგს შეაქცევს და პრიორიტეტს სხვა სახეობებს მიანიჭებს. შეუძლებელია, მსოფლიოს ჩემპიონატზე სხვა წესები არსებობდეს და დანარჩენ ტურნირებზე — სხვა. ეს ხომ დამღუპველია, რაც იქამდე მიგვიყვანს, რომ ფეხბურთი ისეთივე პოპულარული აღარ იქნება, როგორც ახლა — ასეთი გახლდათ წარსულში ცნობილი მსაჯის როტის გამოსვლა.

არბიტრის თქმით, მთელი წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მანძილზე სულ ორი-სამი შემთხვევა თუ გაუქდებოდა ვიდეოპარატურის გამოყენებით. მან საფრანგეთის ნაკრების მცველის, ლორან ბლანის მაგალითი დაასახელა, როდესაც ფეხბურთელი ნახევარფინალურ მატჩში ხორვატ ბალიჩთან უხეშობისთვის მოედნიდან გაეძევეს.

— ბლანის გაძევება მეტად საეჭვო ვითარებაში მოხდა და ტექნიკის გამოყენება შესაძლებელი იყო. მართალია, მატჩის შემდეგ ყველამ იხილა, რომ მსაჯის გადაწყვეტილება სრულიად გამართლებული გახლდათ, მაგრამ შეხვედრის დროს ამაში დარწმუნებული ვერავინ იქნებოდა. თუმცა ეს იყო ერთეული შემთხვევა, რომელიც საფრანგეთში მოხდა და ასეთი იშვიათი მომენტებისთვის, არა მგონია, ვიდეოგამეორების ნახვის დაკანონება გამართლებული იყოს. არა, მე იმის თქმა სულაც არ მსურს, რომ სტადიონების ვიდეოპარატურით აღჭურვა რაიმე პრობლემას წარმოადგენს. უბრალოდ, ეს ფეხბურთისთვის იქნება საზიანო. ჩვენ ისევე უნდა შევეგუოთ მსაჯების შეცდომებს, როგორც ფეხბურთელების უზუსტობებს. არბიტრებიც ხომ ჩვეულებრივი მოკვდავნი არიან და ხანდახან ცდებიან კიდეც — განაცხადა მსაჯთა კორპუსის წარმომადგენელმა და, ალბათ, ძნელია მას არ დაეთანხმო. ფეხბურთი ხომ კომპიუტერული თამაში არ არის, სადაც ყველაფერი წინასწარაა გათვლილი. მსოფლიოში ნომერი პირველი სახეობის ხიბლს სწორედ მისი ბუნებრიობა განაპირობებს და მილიონობით გულშემატკივარი ნადი ასპარეზობის სანახავად მიდის სტადიონზე.

საუდელი არბიტრი ალი მოჰამედ ბუჯსაიმი, რომელმაც სამშაბათს ბრაზილიისა და ჰოლანდიის ნაკრებებს შორის გამართული ნახევარფინალური შეხვედრა იმსაჯა, სრულიად ეთანხმება როტის მოსაზრებებს და თვლის, რომ წლევანდელ პირველობაზე მსაჯებს არც ერთი სერიოზული შეცდომა არ დაუშვიათ.

— როგორც მსოფლიოს ჩემპიონატის მიმდინარეობამ გვაჩვენა, ფიფას მიერ შემოღებულმა ახალმა წესმა სავსებით გაამართლა. იმის შიშით, რომ უკნიდან უხეშად თამაშის შემთხვევაში წითელი ბარათით დაისჯებიან, მცველები შეტევაში ჩართულ ფეხბურთელებს ძველებურად ვეღარ ცელავენ. ამან ტექნიკურ ფორვარდებს ხელფეხი გაუხსნა და მათ თავიანთი უზადო ოსტატობის დაუბრკოლებლად წარმოჩენის სრული შესაძლებლობა მისცა. ამ წესმა ჩვენ, მსაჯებსაც, მინდორზე ყოფნა გაცილებით გაგვიადვილა. ვფიქრობ, არავის აქვს უფლება, წლეულს საფრანგეთში მივლინებულ არბიტრებს გარჯა დაუწუნოს ერთი უბრალო მიზეზის გამო — მათ ამის საბაბი არ მიუციათ. ხოლო რაც შეეხება თამაშის დროს ვიდეოპარატურის გამოყენებას, მიმაჩნია, რომ ეს საჭირო არ არის. მსაჯები გამეორების გარეშეც კარგად ხედავენ, თუ რა ხდება მოედანზე და მათ არანაირი დამხმარე მონიტორები არ სჭირდებათ.

გესქოინი ბრუნდება

გაზას კვლავ ნაკრებში თამაში უნდა

ამ სათაურის წაკითხვის შემდეგ ზოგი იქნებ დაიბნეს კიდეც — ხვალ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალია და ეს გადარეული კაცი რამ გაგახსენათო, მაგრამ ყველაფერი ხომ ამით არ მთავრდება. წლევანდელი მსოფლიოს პირველობაც მალე წარსულს ჩაბარდება და საფეხბურთო ცხოვრება ჩვეულ რითმს დაუბრუნდება. ჩვენც, გვინდა თუ არა, ნებისმიერ მოვლენაზე გვიწევს საუბარი, რომელიც სპორტულ სამყაროში ხდება. ასეც რომ არ იყოს, ვგონებთ, გულშემატკივართათვის საინტერესოა, თუ რას ფიქრობს გესქოინი ხვალინდელ ფინალზე და საერთოდ, თავის მომავალზე.

გახსოვთ, ალბათ, მიდლსბროსა და ინგლისის ნაკრების ნახევარმცველი წლეულს ჰოდლის მიერ სასაფრანგეთოდ შერჩეულ ოცდაორ საუკეთესოს შორის მოიხსენიებოდა, მაგრამ ჩვეულ ტრადიციას ვერ უღალატა, ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ კარგა გვარიანად გამოთვრა და, აბა, ამ საქციელს ვინ აპატიებდა. პოლიც დიდი აურზაურის შემდეგ გუნდის მიმა დატოვეს. საბრალო გესქოინი მომხდარმა იმდენად შეაძრწუნა, რომ არავისთან საუბარი არ ისურვა. იგი რამდენიმე დღის მანძილზე საკუთარი ოჯახის წევრების გარდა არავის ხვდებოდა. გესქოინის ასეთ ყოფაში მნახველმა ფანებმა ხელიც კი ჩაიქნიეს, პოლი ინგლისის ნაკრებს არასოდეს დაუბრუნდება და შესაძლოა, ვერც საფეხბურთო კარიერის გაგრძელება მოახერხოსო.

თუმცა გესქოინის მრავალრიცხოვანი ქომაგების სასიხარულოდ, თავად ფეხბურთელს ასე არ უფიქრია, რაც ამ დღეებში ერთ-ერთ ინგლისურ გაზეთში გამოქვეყნებულმა ინტერვიუმაც დაადასტურა.

— იმ საშინელი დღის შემდეგ მართლაც წარმოუდგენლად მიჭირდა, იმდენად, რომ ბურთისკენ გახედვაც არ მინდოდა. მაგრამ ჩემი მეუღლე და მეგობრები გვერდში ამომიდგნენ, მანუგეშეს და გუნება გამომიკეთეს. ამის შემდეგ მივხვდი, თუ რამხელა ბედნიერებაა ინგლისის ნაკრების მაისურით თამაში. იმაზე დიდი პატივი არ არსებობს, რომ ღირსეულად დაიცვა ეროვნული გუნდის ღირსება და საქვეყნოდ წარმოაჩინო შენი სამშობლო — თქვა პოლმა.

გესქოინს ინგლისის ნაკრებში ასპარეზობა თურმე იმხელა სიამოვნებას ანიჭებს, რომ ფეხბურთის მიტოვების არანაირი სურვილი არ გააჩნია და ერთი სული აქვს, კვლავ როდის გავა მოედანზე.

— როდესაც ცუდად თამაშობ, მარტო საკუთარ თავსა და თანაგუნდელებს როდი აყენებ ცუდ მდგომარეობაში, ნაკრების უსუსურ გამოსვლას ხომ მთელი ინგლისი განიცდის. ამის გახსენებაზე ენით გამოუთქმელი გრძნობა მეუფლება და ვხვდები, თუ როგორ სჭირდება ჩვენს ხალხს გამარჯვებები. ამიტომ მსურს, დავბრუნდე ნაკრებში და მას ახალი მწვერვალების დაპყრობაში დავეხმარე — ესეც გესქოინის სიტყვებია. მართლაც, ცხადია — იგი ფეხბურთიდან წასვლას ჯერჯერობით არ აპირებს.

მართალია, პოლს წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე არ უასპარეზია, მაგრამ მან მაინც სიამოვნებით ისაუბრა ინგლისის ნაკრებზე და საერთოდ, იმ შთაბეჭდილებებზე, რომლებიც საფრანგეთიდან წარმოებული ტელერეპორტაჟების ხილვისას დაეუფლა.

— როგორც ჩემპიონატის მიმდინარეობამ აჩვენა, ჩვენი გუნდი საფრანგეთში ჩასულთაგან ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ბიჭები ერთადერთხელ, ჯგუფურ ტურნირში რუმინელებთან შეხვედრის დროს მოისუსტებდნენ და ეს საბოლოო ჯამში წარუმატებლობის ფასად დაუჯდათ. თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მერვედფინალური ბარიერის დაძლევა არ შეგვეძლო. მაშინაც კი, როცა ბექემი მოედნიდან გააძევეს, არგენტინელებს დიდ პრობლემებს ვუქმნიდით და მხოლოდ თერთმეტმეტრიანებით დავმარცხდით. რას იზამ, ეტყობა, წლეულს ჩემპიონობა არ გვეწერა. ისე კი მინდა ვთქვა, რომ წლევანდელმა ტურნირმა ჩემი იმედები სავსებით გაამართლა. წინა პირველობებთან შედარებით საფრანგეთში უფრო მაღალხარისხოვანი ფეხბურთი ვიხილეთ და არც ლამაზი შეხვედრების ნაკლებობა განგვიცდია — ასეთია წლევანდელი ტურნირის გესქოინისეული შეფასება, რომელიც ფინალურ შეხვედრას მოუთმენლად ელის და საინტერესო თამაშის ხილვას იმედი აქვს.

— ფინალში მართლაც ღირსეული გუნდები გავიდნენ. საფრანგეთიც და ბრაზილიაც წლევანდელი პირველობის საუკეთესო ნაკრებები არიან და ვფიქრობ, გამარჯვებულის წინასწარ დასახელება შეუძლებელია. ჩემეული პროგნოზის გამოთქმისგან კი თავს შევიკავებ — კვირას ხომ მინდორზე ინგლისი არ იქნება...

ირაკლი ხმელიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოგთსი თუ კრუიფი
საკითხავი აი, ეს არის



ფოგთსმა დარჩენა გადაწყვიტა

გერმანიის ნაკრები, გარდა იმისა, რომ სამგზის მსოფლიოს და ამდენჯერვე ევროპის ჩემპიონია, მსოფლიო ფეხბურთის ისტორიაში იმითაც არის ცნობილი, რომ თითქმის ყოველ ტურნირში, რა დონისაც არ უნდა იყოს იგი, ყოველთვის წამყვან პოზიციებზეა და კიდევ წარმოუდგენლად რთული, თითქმის წაგებული შეხვედრების მოგება ძალუძს. ასე იყო ყოველთვის და ამ გუნდის გულშემატკივართა კოზირსაც ფეხბურთზე კამათისას სწორედ ეს წარმოადგენდა. თუმცა მოვიდა 1990 წელი, გერმანელები ფრანც ბეკენბაუერის ხელმძღვანელობით მესამედ დაეუფლენ უძლიერესის ტიტულს და თავისი შრომის ნაყოფით კმაყოფილი „კაიზერიც" თანამდებობიდან გადადგა. მის ნაცვლად კი პლანეტის ერთ-ერთ ყველაზე ტიტულოვან გუნდს სათავეში ბერტი ფოგთსი ჩაუდგა, კაცი, რომელიც 1974 წელს ბეკენბაუერთან ერთად თამაშობდა ნაკრებში და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა. ჩაუდგა და გერმანელთა საქმეებიც თანდათანობით უკან-უკან წავიდა. „ტერიერს" (ფოგთსის მეტსახელი) ყოველთვის ჰყავდა უამრავი მოწინააღმდეგე, რომლებიც აცხადებდნენ, რომ მისი კვალიფიკაცია არ არის საკმარისი, მაგრამ ამ კაცს გერმანიაში ისეთი ავტორიტეტი აქვს, კრიტიკული შენიშვნები ქვეყნის შიგნითვე კარგავდა ძალას და ინფორმაცია მის გარეთ აღარ ვრცელდებოდა. ფოგთსი რომ უნიჭო მწვრთნელია, ჩვენ, „დანარჩენმა სამყარომ", პირველად 1994 წელს, ამერიკაში ჩატარებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიგეთ, როცა მისმა შეგირდებმა თითქმის მოგებული შეხვედრა დათმეს ბულგარეთის ყოვლად უსახურ გუნდთან, თანაც მათთვის ადრეულ ეტაპზე — მეოთხედფინალში. ფოგთსის მოწინააღმდეგეებსაც მეტი რა უნდოდათ, ატყდა ერთი ამბავი — ეს კაცი ნაკრებს უნდა ჩამოვაშოროთო. უკმაყოფილოთა არმიას რამდენიმე სახელოვანი ფიგურაც შეემატა, მაგრამ თავისას მაინც ვერ მიაღწიეს — გერმანელთა თავკაცმა კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნა პოსტი და საფრანგეთი 98-თვისაც მას დაევალა გუნდის მომზადება.

როდესაც ბერტი ფოგთსმა წლევანდელ მსოფლიო პირველობაზე გასამგზავრებელ ფეხბურთელთა სია გამოაქვეყნა, პროტესტის ტალღამ ქვეყანაში ახალი ძალით იფეთქა. გერმანულ საფეხბურთო წრეებში პირველ რიგში იმით იყვნენ უკმაყოფილონი, რომ ნაკრები ზედმეტად ხანდაზმულად გამოიყურებოდა, თუმცა ფოგთსმა აქაც იპოვა გამოსავალი და განაცხადა, ეს გუნდი ხანდაზმული კი არა, გამოცდილია, რაც ჩვენი გამარჯვების მთავარი საწინადრიო. ხოლო იმაზე, თუ რატომ არ წაიყვანა საფრანგეთში ისეთი ძლიერი მოთამაშეები, როგორებიც მარიო ბასლერი, მეჰმედ შოლი, ლარს რიკენი და შტეფან ეფენბერგი არიან, სიტყვაც არ დაუძრავს. მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონატზე მწვრთნელმა მხოლოდ ის ხალხი წაიყვანა, ვისი იმედიც თავად ჰქონდა.

დაიწყო ჩემპიონატი და ნათელი გახდა, ფოგთსის სელექცია არ გაამართლებდა. კი, გერმანიის ნაკრებში ბევრი გამოცდილი და სახელოვანი ფეხბურთელი იყო, მაგრამ მათ უკვე ითამაშეს თავისი და საკმაოდ მაღალ დონეზეც. აქ კი აშკარად გამოჩნდა, გუნდი გადაბერებული და, აქედან გამომდინარე, ახალგაზრდულ ჟინსა და შემართებას იყო მოკლებული, რაც დღესდღეობით ფეხბურთში ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია. განა შეუძლია იურგენ კოლერს, რომელიც მალე 40-ს მიუკაკუნებს, რეაქტიული რონალდოს შეჩერება? ანდა ჯერ კიდევ 16 წლის წინ, 1982 წელს ესპანეთში (მაშინ ოუენი 2 წლის იყო), მოთამაშე ლოთარ მათეუსს უსწრაფესი ჭაბუკის, მაიკლ ოუენის დევნა? თუნდაც ანდრეას კიოჰკე გავიხსენოთ, რომელიც ბურთებს ძლივს იჭერდა ხელში. მართალია, თავიდან, ჯგუფურ ტურნირში, გერმანელები ასე თუ ისე ნორმალურად ირჯებოდნენ, აშშ-ს და ირანს ერთნაირი ანგარიშით — 2:0 მოუგეს, ხოლო იუგოსლავიის ნაკრებთან კი გაუჭირდათ, მაგრამ მაინც შეძლეს თავისი საუკეთესო თვისებების და კლასის გამოვლენა და უიმედო მატჩი ბოლო წუთებზე გადაარჩინეს. ასე მოხდა მექსიკის მეტად სიმპათიურ ნაკრებთანაც, როცა მათ მხოლოდ და მხოლოდ ნებისყოფისა და უდიდესი დისციპლინის ხარჯზე მოახერხეს გამოუცდელი მეტოქის დამარცხება. აი, ხორვატებთან კი გერმანელებს ველარაფერმა უშველა. დღეს ბევრი ამბობს, ერთი ვიორნსი არ გაეგდოთ და ვნახავდით, ფინალში ბრაზილიას ვინ შეხვდებოდაო, მაგრამ მათ ვერ დავეთანხმები, რადგან ვიორნსი აქ არაფერ შუაშია, მათ უბრალოდ ძალა აღარ ეყოთ — ასაკმა იჩინა თავი. ასე რომ, ფოგთსის არასწორ სამწვრთნელო მუშაობას კანონზომიერი ფინალი ჰქონდა — მისი გუნდი, ისევე როგორც ოთხი წლის წინ, არ იყო მეტის ღირსი და ვერც ვერაფერს მიაღწია. ფეხბურთში, მით უმეტეს, ისეთი მაღალი დონის ტურნირზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, ერთი პატარა შეცდომაც კი ძალიან ძვირად ფასობს.

ხორვატებთან მეოთხედფინალში წაგებამ რამხელა უარყოფითი რეზონანსი გამოიწვია გერმანულ საფეხბურთო წრეებსა თუ პრესაში, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს. ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდტირაჟიან გაზეთ „ბილდში" გამოქვეყნებულია უშველებელი სურათი, სადაც ჰოლანდია — ბრაზილიის ნახევარფინალის შემდეგ გუს ჰიდინკი და მარიო ზაგალო ერთმანეთს ეხვევიან, ხოლო ზევიდან ასეთი წარწერა აქვს — „ბერტი, შენც ასე უნდა გექნა!", სტატიაში კი შემდეგ ვკითხულობთ: „ჩვენ ყოველთვის უძლიერესნი ვიყავით, ახლა კი სადღაც მექსიკას და პარაგვაის შორის ვიმყოფებით". სპორტული და არამარტო სპორტული გამოცემები აჭრელებულია მოწოდებებით მისი თანამდებობიდან გადაყენების თაობაზე.

თავად ფოგთსი კი ამ დროს საფრანგეთის ულამაზეს კურორტ კოტ დაზურში იმყოფება ოჯახთან ერთად, ასე ვთქვათ, არდადეგებზე, ეტყობა, უცდის, როდის დასრულდება ცხელ გულზე ატეხილი აურზაური. თუმცა, როგორც ირკვევა, მას უკვე დაკავშირებია გერმანიის ფეხბურთის ფედერაციის (DFB) პრეზიდენტი ეგიდიუს ბრაუნი და მათ საკმაოდ ხანგრძლივი, თითქმის ნახევარსაათიანი სატელეფონო საუბარიც გაუმართავთ. ბრაუნმა ამის თაობაზე განაცხადა: „უმთავრესი საკითხი, რომელიც ჩვენს საუბარში ფიგურირებდა, ფოგთსის მომავალს შეეხებოდა. მე ვკითხე მას, შეუძლია თუ არა თავიდან დაიწყოს გუნდის მშენებლობა და ეყოფა თუ არა ენერგია, რაზეც მან მიპასუხა, რომ ამისთვის მზად არის. ამ წუთისთვის იგი ჩემს ნდობას ბოლომდე იმსახურებს, რადგან უკეთეს კანდიდატურას ვერ ვხედავ". არადა, თურმე არც ასე ყოფილა საქმე. გუშინ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს გერმანულ საფეხბურთო ჟურნალ „კიკერში", გაჟონა ინფორმაციამ, რომ სავსებით შესაძლებელია, ქვეყნის ნაკრებს სათავეში ჩაუდგეს წარსულში ერთ-ერთი უძლიერესი და უბრწყინვალესი ჰოლანდიელი ფეხბურთელი, 1974 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ბერტი ფოგთსის უშუალო მეტოქე იოჰან კრუიფი. ჟურნალში ვკითხულობთ: „ჰოლანდიელი უფრო გათვითცნობიერებულია ფეხბურთის წვრილმანებში. მისი იდეები სელექციასა და ტაქტიკასთან დაკავშირებით თანამედროვეა და თანაც იგი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს. ის ფაქტი, რომ კრუიფი უცხოელია, მხოლოდ დამატებითი სტიმული იქნება გერმანული ფეხბურთისთვის, რომელსაც ახალი აზროვნება და დახმარება სჭირდება. მაშ, რატომ არ გვინდა კრუიფი?"

იოჰან კრუიფს კი ხალხი ითხოვს

ამ კითხვას, „კიკერსის" ჟურნალისტმა რომ დასვა, ალბათ სულ მალე გაეცემა პასუხი. ბერტი ფოგთსი გადადგომას სულაც არ აპირებს, კრუიფი კი ჯერჯერობით დუმს. ისე, დამეთანხმებით, მეტად საინტერესო სანახავი იქნება გერმანიის ნაკრების თამაში, რომელსაც „მფრინავი ჰოლანდიელი" უთავკაცებს.

დავით კოვზირიძე

ფიფა ჩემპიონატით კმაყოფილია

ხუთშაბათს ფიფამ თავისი მორიგი კონგრესი გამართა, რომელზეც ძირითადად თითქმის გასრულებული მსოფლიოს ჩემპიონატის შედეგები განიხილა. მოგეხსენებათ, 8 ივნისს მსოფლიოს ფეხბურთს სათავეში ახალი პრეზიდენტი — ზეპ ბლატერი მივიდა და პატივცემულ პირთა სამი დღის წინანდელი შეკრება პირველი გახლდათ, რომელსაც ახალარჩეულმა შვეიცარიელმა უხელმძღვანელა.

როგორც სხდომის მიმდინარეობიდან ჩანს, ბლატერი წლევანდელი პირველობის ორგანიზატორთა საქმიანობით მთლიანობაში კმაყოფილი დარჩენილა, თუმცა ჯერ კიდევ ბევრი შრომაა საჭირო მანამ, სანამ ყველაფერი უმაღლეს დონეზე დაიგეგმება. შვეიცარიელმა აღმასრულებელი საბჭოს შეკრებაზე ყველა პროფესიონალ არბიტრს უფრო აქტიური მოქმედებისკენ მოუწოდა. ზეპის თქმით, მსაჯებმა კიდევ უფრო მჭიდრო ურთიერთობა უნდა იქონიონ კლუბურ ფეხბურთთან, რის შემდეგაც საერთაშორისო დონეზე გამართული ტურნირების მომსახურება გაცილებით გაუადვილდებათ.

უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაციის წარმომადგენლის, კეიტ კუპერის სიტყვებს თუ ვენდობით: „ბატონმა ბლატერმა განაცხადა, რომ ფიფა საფრანგეთში ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატით უკმაყოფილო ნამდვილად არ არის. მსაჯებმა მშვენივრად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და ტურნირს უმაღლესი დონე შეუნარჩუნეს. თუმცა მათ ქმედებაში უმნიშვნელო ნაკლოვანებებიც შეინიშნებოდა, რომლებიც მომავალში აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას".

მსოფლიოს პირველობაზე მივლინებულ არბიტრთა კორპუსის თავმჯდომარე დევიდ უილი უფრო კონკრეტული გახლდათ.

— რა თქმა უნდა, შეიძლება იმაზე საუბარი, რომ წლეულს მსაჯებს ახალ, ეგრეთ წოდებულ ბურთის უკნიდან უხეშად არომევის წესთან შეგუება ოდნავ გაჭირდათ, მაგრამ მე მათ საქმიანობას მაინც დადებითად ვაფასებ. სადღეისოდ 62 თამაში გაიმართა და არც ერთი არ ყოფილა ისეთი, რომლის ბედიც არბიტრის უხეშ შეცდომას გადაეწყვიტოს. არადა, ყველას კარგად ახსოვს წინა ჩემპიონატები, სადაც მსაჯთა სერიოზულ დარღვევებს ხშირად ჰქონდა ადგილი და მათი გახსენება გულშემატკივრებში ახლაც დიდ ენებათაღელვას იწვევს. მოკლედ, ადრეულ წლებში გამართულ პირველობებზე რომ არაფერი ვთქვათ, საფრანგეთში ტურნირი იმაზე მაღალ დონეზე ჩატარდა, ვიდრე ეს 1994 წელს აშშ-ში იყო.

რაც შეეხება ჩემპიონატის სადისციპლინო კომიტეტის თავმჯდომარეს, ესპანელ პობლო პორტა ბუსომს, მსაჯების მოქმედება მანაც შეაქო და განაცხადა, რომ იყო შემთხვევები, როდესაც მისი საბჭოს წევრები თამაშების ვიდეოჩანაწერებსაც უცქერდნენ, რათა არბიტრის მიერ დაშვებული ესა თუ ის შეცდომა დაწვრილებით განეხილათ.

არადა, გახსოვთ, ალბათ, სულ რამდენიმე დღის წინ ბლატერმა შავი დღე აყარა სადისციპლინო კომიტეტს და მის უფროსს მოხსნითაც კი დაემუქრა. პრეზიდენტის უკმაყოფილების მიზეზი ჰოლანდია-იუგოსლავიის მერვედფინალურ შეხვედრაში მომხდარი ინციდენტი გახლდათ. მაშინ მატჩის მიწურულს „ნარინჯისფერთა" ფორვარდი დენის ბერხკამპი წაქცეულ სინიშა მიხაილოვიჩს უხეშად ეთამაშა, მაგრამ რატომღაც ეს

ბლატერი ყველაფერში სრულყოფილებას ეძებს

საქციელი მთავარ და გვერდით არბიტრებს გამოეპარათ და დამნაშავე არათუ წითელი, ყვითელი ბარათითაც კი არ დასაჯეს.

მარსელსა და ლანსში ჯგუფური ტურნირის დროს მომხდარი ძალადობის ფაქტებს თუ არ ჩავთვლით, ფეხბურთის მამებმა ფრანგული პოლიციის მუშაობაც დამაკმაყოფილებლად შეაფასეს. თუმცა ბლატერმა სამართალდამცავებსა და ბილეთებთან დაკავშირებულ პრობლემაზე დაწვრილებით საუბრისაგან თავი შეიკავა და კონგრესის წევრთა გადაწყვეტილებით განხილვა მომავალი შეკრებისთვის გადადო.

ეს რაც შეეხებოდა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატს. ახლა ორიოდე სიტყვით იმაზეც ვთქვათ, თუ რა გეგმები აქვს ფიფას მომავალში.

როდესაც ბლატერი ჯერ კიდევ ფიფას გენერალური მდივანი გახლდათ, მისი წინასაპრეზიდენტო კომპანია ერთ იდეასაც ითვალისწინებდა: თუ შვეიცარიელი თავისი კონკურენტის, შვედი ლენარტ იუჰანსონის წინააღმდეგობას დაძლევდა, ფიფას პრეზიდენტად მოსვლისთანავე პირველი, რის გაკეთებასაც იგი აპირებდა, იყო ეგრეთ წოდებული „შიდა კაბინეტის შექმნა". ბლატერის ჩანაფიქრით, ამ მცირე საბჭოში ექვსი ანაც შვიდი წევრი გაერთიანდებოდა, რომლებიც აღმასრულებელი კომიტეტის გადაწყვეტილებებს კიდევ უფრო დაწვრილებით განიხილავდა.

მონაწილენი მოელოდნენ, რომ გუშინწინდელი სხდომაზე პრეზიდენტი თავისი გეგმის განხორციელებას შეეცდებოდა, მაგრამ მოულოდნელად ბლატერმა ამ ნაბიჯის გადადგმისგან თავი შეიკავა. ამის მაგივრად მან აღმასრულებელი კომიტეტის წესდება შეცვალა — ამიერიდან პატივცემული პირები მნიშვნელოვანი საკითხების გადასაჭრელად ძველად დადგენილი ორის ნაცვლად წელიწადში ოთხჯერ შეიკრიბებიან.

კიდევ ერთი სიახლე ის გახლავთ, რომ ფიფას ექვსივე წევრ-კონფედერაციას შვეიცარიის ქალაქ ციურიხში მდებარე ფედერაციის შტაბ-ბინაში თითო წარმომადგენელი ეყოლება. თუმცა ჯერჯერობით ამათთვის საკმარისი საოფისე ადგილი არ გამოძებნილა და ამიტომ შესაძლოა, ეს საკითხავი მომავალი წლის ზაფხულამდე არ მოგვარდეს.

კვირის დასაწყისში ბლატერმა ჟურნალისტებისთვის მცირე შეკრება მოაწყო, სადაც განაცხადა, ფიფაში მომუშავე პერსონალი საქმეს ვერ აუდის და მომავალში თანამშრომლებს უეჭველად შევიმატებთო. მაგრამ, ამის მიუხედაად, უმძლავრესი საფეხბურთო ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოში სწრაფი ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. პრეზიდენტის გადაწყვეტილებით ფიფას დღევანდელ საქმიანობას დეტალურად შეისწავლის საგანგებოდ მიწვეული პროფესიონალ სპეციალისტთა ბრიგადა, რომელიც იმსჯელებს იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება მოსამსახურეთა რაოდენობის გაზრდა.

დაბოლოს, ცვლილება, რომელიც უეჭველად დაინერგება, ეს გახლავთ, ახალი პრეზიდენტის არჩევის ვადა. ბლატერის თქმით, ფეხბურთში პოლიტიკა და თამაში მტკიცედ უნდა გაიმიჯნოს. ამიტომ მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამართვის დრო ერთმანეთს არ დაემთხვევა.

ირაკლი ხმელიძე

ემე ჟაკე ფრანგებს სიხარულით თრობას პირდება

დასაწყისი პირველ გვერდზე

პარიზი ბობოქარი ღამის შემდეგ დამშვიდდა, სული მოითქვა, ძალას იკრებს, ემზადება. „ლიბერასიონი“ წერს: „ქუჩაში ზეიმი კარგია და არც ისაა ძნელი, გამუძღებით იძახო — თასი ჩვენია. თასის ბედი „სტად დე ფრანსზე“ გადაწყდება და იქ და მხოლოდ იქ უნდა ვუქომაგოთ ჩვენს ბიჭებს, მხოლოდ არა ისე, როგორც აქამდე.“ ამასთან დაკავშირებით გამახსენდა, ხორვატიასთან მატჩის დამთავრებას თხუთმეტი წუთი რომ უკლდა და ფრანგები ცოტა არ იყოს შეფიქრიანებულნი ჩანდნენ მატჩის ბედის გამო, მათი სათადარიგო მეკარე ლიონელ შარბონიე ტრიბუნებისკენ გაემართა და მაყურებელს სთხოვდა, ტაში დაუკარით, იხმაურეთ, მხარი დაგვიჭირეთ, ხომ ხედავთ — ცოტაც და ფინალში ვართო. თან თავად აჩვენებდა, როგორ უნდა მოქცეულიყო გულშემატკივარი. „ათნი ვიყავით 11-ის წინააღმდეგ და სტადიონზე ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. აბა, ეს იყო საქმე?“ — იტყვის შემდეგ შეკითხვებით შეწუხებული მეკარე.

რა დავაშავე? ახლაც ამას კითხულობს ფინალს ჩამოშორებული ბლანი

მაშინ სკოლის მოსწავლე ვიყავი და მახსოვს, როგორ სულგანაბული ვუსმენდი მსოფლიოს ჩემპიონატის რადიორეპორტაჟს შვედეთიდან, რომელიც, თუ არ მეშლება, აწ განსვენებულ ნიკოლოზ ოზეროვს მიჰყავდა. მატჩი კი ნახევარფინალური გახლდათ: ბრაზილია — საფრანგეთი. კომენტატორი სიტყვებს ვერ პოულობდა, სასწაულები ხდება მოედანზე, ამის აღწერა როგორ შეიძლებაო. და ალბათ მართლა არ შეიძლებოდა. ფრანგთა „შესანიშნავი სამეული“ — ფონტენი, კოპა, პიანტონი! მათთვის მეკარისა თუ დაცვის „შემუსვრა“ პრობლემა არ იყო. ახლა ბრაზილიელთა გუნდს არ იკითხავთ? ბრწყინვალე თანავარსკვლავედი — ყოველი სახელი ლეგენდა და ცალკე ისტორია: ჟილმარი და ბელინი, ნილტონ სანტოსი და ზიტო, გარინჩა და ვავა, დიდი და ზაგალო, და პელე, მონათლული „შავ მარგალიტად“. და კიდევ ერთი — ლეგენდარული მწვრთნელი ფეოლა! შვიდი გოლი იხალა იმ დღეს სტადიონზე მისულმა ბედნიერმა მაყურებელმა, ხუთი ფრანგების კარში, ამათგან სამი მეორე ტაიმში, პელემ რომ გაიტანა.

„შავ მარგალიტზე“ გამახსენდა. თუ არ ვცდები, 1938 წელს საფრანგეთში მიმდინარე მე-3 მსოფლიოს ჩემპიონატზე ევროპელებმა ისევ და ისევ ბრაზილიელ ლეონიდასს შეარქვეს O'diamante negro — შავი მარგალიტი.

ჰოდა, იმას ვამბობდი, სწორედ ზემოთაღწერილი ორი დიდი გუნდის მატჩიდან იწყება ამ ქვეყნების ნაკრებთა თამაშების ისტორია. სულ რვა მატჩია ნათამაშევი. მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე კიდევ ერთი — 1986 წელს. მაშინ ფრანგებმა რევანში აიღეს და აიძულეს ბრაზილიელები, მეოთხედფინალიდან შინ გამგზავრებულიყვნენ — პლატინის გუნდმა პენალტების სერიაში აჯობა სოკრატესის გუნდს. ჟურნალისტ ტელე სანტანას სამწვრთნელო კარიერაც ამ თამაშით დამთავრდა. დღემდე ჩატარებული რვა შეხვედრიდან ოთხში ბრაზილიელებმა იმარჯვეს, ორში კი ფრანგებმა. სამხრეთამერიკელებმა 17 გოლი გაიტანეს, ფრანგებმა კი 10. მათი ბოლო შეხვედრა შარშან, ივნისში ლიონის სტადიონზე შედგა და ფრედ 1:1 დამთავრდა.

კიდევ ერთი მატჩიც ახსოვს ფეხბურთის ისტორიას 1930 წელს რიო დე ჟანეიროში გამართული. ისიც ბრაზილიელებმა მოიგეს 3:2. მაგრამ ეს შეხვედრა ოფიციალურად რეგისტრირებული მატჩების ჩამონათვალში არ შედის. ამ მატჩს „ეკიპი“ რატომღაც „მოჩვენებათა შეხვედრას“ უწოდებს.

არც პრესას და არც გულშემატკივრებს აღარ ახსოვთ ხორვატებთან მატჩი. ახლა მზერა 12 ივლისისკენაა მიმართული, ყველაფერი ამ შეხვედრის თაობაზე იბეჭდება და გადაიცემა ტელევიზიით. და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი მთავარი თემა პარაგვაისთან მატჩის გმირის და მხსნელის ლორან ბლანის ფინალში უთამაშებლობაა. „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნის“ 10 ივლისის ნომერში გამოქვეყნებულ წერილში სათაურით „ფრანგთა ეიფორიის სევდიანი შეფერილობა“ მოთხრობილია ბლანისა და ბალიჩის ინციდენტზე, რომელიც თქვენ, იმედია, რამდენჯერმე იხილეთ ტელეეკრანზე. „წამყვანი მცველის ფინალს ჩამოშორება — ეს ჩვენი დიდი უბედურებაა; ფინალის თამაში ბლანის გარეშე, რომელიც სამი წელი გუნდის კაპიტანი იყო, დიდი საცოდაობაა. წითელი ბარათი აშკარად უმართებული იყო და ჩვენ ფიფაში გავასაჩივრებთ“ — ამბობს ემე ჟაკე.

თვით ფეხბურთელი მრავალრიცხოვან ინტერვიუებში აღნიშნავს, რომ გაფიქრებაც კი წარმოუდგენელი იყო, წითელ ბარათს თუ ამოიღებდა არბიტრი: „რისთვის? ეს ჩემი პირადი უბედურება და კატასტროფაა. თუ ჩვენები გაიმარჯვებენ თასისთვის ბრძოლაში, მე ამ სიხარულის ნახევრადმონაწილე ვიქნები.“ და ცრემლმორეული თვალებით ამატებს — „შეხედეთ ვიდეოფირს, ჩემი რა ბრალია? ბილიჩი მატჩის შემდეგ მოვიდა ჩემთან. ძალზე შეწუხებული იყო, ფინალს რომ ვერ ვითამაშებ. ბოდიშიც მომიხადა. მერე მე რა?“

გერმანული „ბილდისთვის“ ჩემპიონატს მიმოიხილავს თვით ფრანც ბეკენბაუერი. მის კომენტარებს ასე ჰქვია: „ფრანცი ბილდისთვის, საფრანგეთიდან“. მას მიაჩნია, რომ ეს არაა მთლად სრულფასოვანი ფინალი, ასეთად „დიდ ფრანცს“ ესახებოდა ფინალური მატჩი ფრანგებისა და ჰოლანდიელების მონაწილეობით. აქვე ის რიტორიკულად ეკითხება ემე ჟაკეს — გუნდს ხომ სჯირდება შეტევის ხაზი, სად არის საფრანგეთის ნაკრებში ეს რგოლიო. და იქვე ურჩევს ფრანგების თავკაცს — რაც უნდა ფანტასტიკური იყოს ზიდანი, მის წინ კიდევ ორი თავდამსხმელი მაინც უნდა მოქმედებდესო.

ემე ჟაკე, რომელიც ცნობილია პრობრაზილიური ყაიდის სპეციალისტად, ამბობს — „ბრაზილია სხვა სამყაროა, ეს მაგიაა; ეს მხოლოდ წარმოსახვაა, უსაზღვრო საფეხბურთო ფანტაზიის ნაპირი. ჩვენ ფინალში ვართ და შევეცდებით გულშემატკივრებს სიხარულის ფიალა ბოლომდე დავაცლევინოთ.“

ახლა ყველა იმედი, ლოლო ბლანის მიზეზით, 30 წლის ფრანკ ლებეფისკენაა მიპყრობილი; სწორედ ამ მცველმა, როგორც მიმომხილველებს მიაჩნიათ, უნდა უდარაჯოს რონალდოს. დღემდე ჩატარებულ ხუთ მატჩში მან მხოლოდ ერთში, დანიასთან ითამაშა. ამჟამად „ჩელსის“ მცველს ნაკრებში დღემდე 14 თამაში აქვს ჩატარებული.

კვლავ ბევრი იწერება საფრანგეთის უძილო ღამეზე ხორვატიასთან მოგების შემდეგ და ფანთა გამაყრუებელი შეძახილებიდან გამოჰყოფენ მოთხოვნას „თავისუფლება ლორან ბლანს!“ „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი“ ყურადღებას ამახვილებს „გაველურებულ ფრანგთა სვლაზე ქუჩებში“, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სტადიონზე მათი ქცევა კრიტიკას არ იმსახურებსო.

ეგრეთ წოდებული „მცირე ფინალისადმი“ ინტერესი გასაგებ მიზეზთა გამო მინელებულია. ბევრ ჟურნალისტს ამ მატჩზე დასწრების სურვილიც კი არ გამოუთქვამს. „აბა, ფაქტობრივად, უმოტივაციოდ თამაშს რა აზრი ექნება, წასვლაც არ ღირსო“ — მეუნება პოლონელი ანჯეი ტროლი.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა აკრედიტებულ ჟურნალისტებს მიღებაც მოგვიწყო. ბევრმა ჩემმა კოლეგამ უარი განაცხადა წამოსვლაზე — ამდენ კაცს რა მიღება უნდა გაუმართონ, თანაც ფრანგებმა, ეგენი ხომ თავიანთი წუწურაქობით არიან ცნობილნიო.

მაგრამ ურწმუნოთა ჯინაზე ძალიან კარგი წვეულება გამოვიდა. საჭმელიც ბლომად იყო და სასმელიც — ვისკი, არაყი, ღვინო, ლუდი, წვენები. საცივსა და ჩაქაფულს თუ არ მოვთხოვთ ფრანგებს — კარგად დანაყრებაც შეგეძლოთ. იყო მუსიკა, ცეკვა, ვიდეოჩვენებები, უამრავი გასართობი დანადგარი, კაზინო, ვიქტორინა და კიდევ რამდენი ერთი ჩამოვთვალო. მოკლედ, კარგად მოილხინეს ჟურნალისტებმა. გართობა და მხიარულება კი, მოგეხსენებათ, პარიზში არ ესწავლებათ. გავიხსენოთ ნოსტრადამუსის სიტყვები: „სანამ პარიზი არ დაცემულა, ქვეყნიერებაზე მხიარულება არ მოიშლება.“

იმ საღამოს ჟურნალისტთა სასაუბრო თემატიკიდან ფეხბურთი გამოირიცხა. ყველას თავისი საქმე ჰქონდა საკეთებელი: სასმელიც ბლომად იყო და საჭმელიც. და კიდევ ზღვა მხიარულება.

თუმცა წინ კიდევაა დაძაბული სამუშაო დღეები — კიდევ ორი ფინალი — „მცირე“ და „დიდი“.

ბლანი ბარტეზს ფინალში ტრადიციულად ვეღარ აყოცებს

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.

ფსონების მიმღები „კროკოს“ ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

მსოფლიოს ჩემპიონატი.

მატჩი მე-3 ადგილისთვის

11 ივლისი

ჰოლანდია — ხორვატია	2,0	3,0	3,3

ფინალი

12 ივლისი

საფრანგეთი — ბრაზილია	(1,7-1,7)		2,5		2,9		2,5		
ჰოლანდია — ხორვატია	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	4.0	6.0	12.0	4.0	5.0	5.0	10.0	6.0	5.0
საფრანგეთი — ბრაზილია	1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
	4.0	6.0	10.0	4.5	4.5	4.5	10.0	6.0	4.0

ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

11-12 ივლისი

ინკარასი (ლიტვა) — ვერდერი (გერმანია)	3.3	3.0	1.9
შინიკი (რუსეთი) — ტურკუ (ფინეთი)	1.3	3.8	7.0
ესპანიოლი (ესპანეთი) — ბობი (ბრნო, ჩეხეთი)	1.15	5.0	9.0
ვორსკლა (უკრაინა) — აბ კოპენჰაგენი (დანია)	1.7	3.0	4.2
სენტ გალენი (შვეიცარია) — ზალცბურგი (ავსტრია)	1.9	2.9	3.4
ნაციონალი (რუმინეთი) — ირაკლისი (საბერძნეთი)	1.7	3.0	4.2
ტორპედო (საქართველო) — ლომელი (ბელგია)	აგნარიში — 5.0		
ერებრუ (შვედეთი) — ვოევოდინა (იუგოსლავია)	1.8	2.9	3.8
ბასტია (საფრანგეთი) — მაკედონია (სკოპიე, მაკედონია)	1.15	5.0	9.0
კონგსვინგერი (ნორვეგია) — ტვენტე (ჰოლანდია)	2.3	2.8	2.7
ტაურისი (სლოვაკეთი) — სამპდორია (იტალია)	3.6	3.0	1.8
ლუნგბიუ (დანია) — სამსუნსფორი (თურქეთი)	1.9	2.8	3.5
ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) — დებრეცენი (უნგრეთი)	1.6	3.1	4.7
დიოშდიორი (უნგრეთი) — ალთაი (თურქეთი)	2.0	2.9	3.2
რუხი (პოლონეთი) — ორგრიტე (შვედეთი)	1.8	2.9	3.8
ბალტიკა (რუსეთი) — ოზეტა (ტრენჩინი, სლოვაკეთი)	1.25	4.0	8.0

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი“; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

გიო ახვლედიანის

სამი სვეტი

მშვიდობით, ბრაზილია!

FRANCE98

არ იფიქროთ, რომ ზეგინდელს ვგულისხმობდე. არამც და არამც. უბრალოდ, ეს სათაური ამ ცამეტი-თოთხმეტი წლის წინათ მოიგონა ერთმა თბილისელმა ბიჭმა ფრიად რთულ და ახალგაზრდა კაცისთვის საპასუხისმგებლო ვითარებაში. ამ ვითარებასაც განვიხილავ, მაგრამ ჯერ ერთი მთავარი რამ გავიხსენოთ:

ბრაზილიის ნაკრები ორჯერ გასულა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში და ოთხჯერვე მოუგია. მხოლოდ ერთხელ, 1950 წელს, რიო დე ჟანეიროში, ახალგახსნილ და ისტორიაში ერთადერთხელ გაჭედილ „მარაკანაზე“ ბრაზილიელებს ჰყოფნიდათ ფრე ჩემპიონატის უკანასკნელ და გადამწყვეტ მატჩში (იმ წელიწადს პლეი ოფები და ფინალი არ იყო) და 1:2 წააგეს ურუგვაელებთან. ეს არ იყო ფინალური მატჩი, მაგრამ ალბათ, ეს იყო ყველაზე მეტად დრამატული ფინალი. დიდი-დიდი, 1954 წლის ფინალი შეედაროს. მაგრამ საქვეყნო დრამის საკითხში იმ „მარაკანულ“ ამბავთან ვერ მოვა.

ის თბილისელი ბიჭი კი კიევში, თეატრალურ ინსტიტუტში აბარებდა. მოგეხსენებათ, იქ ერთ-ერთი გამოცდა მხატვრული კითხვაა. რომელიმე განთქმული მწერლის მოთხრობა ზეპირად უნდა დაისწავლო და სახელოვანი კომისიის წინაშე გამოთქვა მხატვრულად.

იმ გამოცდისთვის ამ თბილისელ ბიჭს ივან ბუნინის რომელიღაც მოთხრობა ჰქონია დასწავლილი, მაგრამ უყურებს ამ გამოცდას და ხედავს, ოცდაათი აბიტურიენტიდან ნახევარზე მეტს ბუნინის მოთხრობები დაუსწავლია. და მიმხვდარა ქართველი აბიტურიენტი, ჩაჭრილი ვარო, რუსს ბუნინის წაკითხვაში აბა როგორ ვაჯობებო.

და მოვიდა მისი გამოცდის ჯერიც.

— აბა, ყმაწვილო, რას წაგვიკითხავთ?

— ჟორჟი ამადუს.

— ოო, ჟორჟი ამადუ, — გამოცოცხლდნენ გამომცდელები — რუსული კლასიკის მოძალების ფონზე ორიგინალური თემა შეგირჩევიათ. ბრაზილია, ასე ვთქვათ. რომელი ნაწარმოები?

— ჟორჟი ამადუ. „მშვიდობით, ბრაზილიავ!“

— „მშვიდობით, ბრაზილიავ?“ ეგ რომელი ნაწარმოებია? არ გვსმენია.

— ესეა, სპორტული...

— კარგით, კარგით, აბა დაიწყეთ.

ჟორჟ ამადუს, დიდ ბრაზილიელ მწერალს, ავტორს „გაბრიელასი“, „დონა ფლორისა“, „ჟუბიაბასი“ და „ქვეშის კაპიტნებისა“, ასეთი რამ არასოდეს დაუწერია. მაგრამ გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო.

და ქართველმა აბიტურიენტმა დაიწყო და მოჰყვა.

მოჰყვა, რომ მონტევიდეოს გარეუბანში გარდაიცვალა ერთი კარჩაკეტილი მოხუცი, რომელსაც ობდულიო ვარელა ერქვა. ის ჩუმი და გულჩახვეული მოხუცი იყო. ბევრს აღარავის ახსოვდა მისი გმირული წარსული და პატარა სახლის პატარა ეზოში, სადაც ეს კაცი სარწეველა სავარძელში იჯდა და თვლემდა, არ ცვიოდა თაიგულები. მოხუცი კაცი, ობდულიო რატომღაც ყოველთვის ელოდა თაიგულებს. ყოველ წელიწადს, 16 ივლისს ის ელოდა თაიგულებს. თაიგულები კი არ იყო. ხალხის მეხსიერება ხომ სუსტია?

და მას ახსენდებოდა.

ეს იყო რიოში, 1950 წლის 16 ივლისს. ყველაფერი ცხადი იყო, „მარაკანას“ გასახდელის სკამებზე ჩამომსხდარი ურუგვაელი ფეხბურთელები ელოდნენ თავიანთ აღსასრულს. გარეთ გუგუნებდა მრავალმილიონიანი ქალაქი და სამყაროს უდიდესი სტადიონი, პირწმინდად სავსე. ყველა და ყველაფერი იყო ამ თერთმეტი ბიჭის წინააღმდეგ. ბრაზილია ელოდა გამარჯვებას, ბრაზილია თვლიდა, რომ ეკუთვნოდა გამარჯვება. ბრაზილია ცეკვავდა და მღეროდა გამარჯვების მოლოდინში. თან იმ დღეს, იმ 16 ივლისს ბრაზილიელებს, დიდ და დაუვიწყარ ბრაზილიელებს — ჟაგუსტო და კოსტას, ტომას სუარეზ და სილვა ზიზინიოს, ჟოზე კარლოს ბაუერს, ადემირ მარკეზს და მენეზესს, ჟაირ როზა პინტუს, ფრეც მოგებად უჩანდათ.

გასახდელში იჯდა ობდულიო ვარელაც, ურუგვაელთა კაპიტანი და აბა, რისი იმედი ჰქონდა? ერთადერთ რამეს ფიქრობდა, ალბათ, სირცხვილის თავიდან აცილება იყო. ჩვენ არ უნდა შევრცხვეთ. მთელი სამყაროო ჩვენს წინააღმდეგაა, მაგრამ ჩვენ არ უნდა შევრცხვეთ. ოჰ, ეს ბრაზილიელები! მხოლოდ გამარჯვება კი არა, დაცინვაც სწყურიათ. გასახდელში კი მწვრთნელი ხუან ლოპესი შემოვიდა. იატაკზე გაზეთები დაყარა და იკითხა:

— ხედავთ?

მხოლოდ სათაურები: „ბრაზილია — მსოფლიოს ჩემპიონი“, „ბრაზილია — ურუგვაი 7:1“, ბრაზილია — ურუგვაი 8:0“ და ასე შემდეგ.

ფინალის წინ — სამი ურუგვაელი: ხუან კარლოს გონსალესი, ვარელა და როდრიგეს ანდრადე

ბრაზილიელები ელოდნენ ამას. არც იყო გასაკვირი. ფინალური ჯგუფის წინა ორი თამაში ბრაზილიელებმა ასტრონომიული ანგარიშით მოუგეს შვედებს და ესპანელებს.

და ისინი გამოვიდნენ. რეპროდუქტორში კი ისმოდა რიოს გუბერნატორის მენდეს დე მორეასის ხმა, ის გამარვჯებას შესთხოვდა ფეხბურთელებს. რიო დე ჟანეირო რადიოებთან იჯდა. ყველა გატრუნულიყო, მთელი ეს მრავალმილიონიანი ქალაქი, გნიასობდა მხოლოდ „მარაკანა“, რომელიც ითვლიდა თითოეულ წუთს, ჩემპიონობამდე რომ აშორებდა მათ ქვეყანას. ცხადი იყო — ბრაზილიას ადრეც, თორმეტი წლის წინადაც ეკუთვნოდა ჩემპიონობა, მაგრამ იქ, შორეულ ქვეყანაში, უეშმაკო ოკეანისგაღმელები დაჩაგრეს. ასე თვლიდნენ ბრაზილიაში და ქალღმერთამდე სულ რაღაც საათნახევარი რჩებოდა.

განა თამაშს გიამბობთ? ვერა.

მე გიამბობდით „მარაკანას“ ხმების ისტორიას, მაგრამ ეს შეუძლებელია. შეუძლებელია, ხმათა და შეძახილთა ისტორიის თხრობა. შეუძლებელია აღწერო, როგორ ფეთქავს ერთი ადამიანის და მთელი ქვეყნის გული. ჩემპიონობამდე კი ორმოცდახუთი წუთი რჩებოდა. ობდულიო ვარელა გაფითრებული თამაშობდა. გრძნობდა, რომ თამაში თვითონ ეჭირა ხელში და სირცხვილი აღარ იქნებოდა, მაგრამ ეს ცოტა იყო, ცოტა იყო სიდიადისთვის, ღირსებისთვის კი საკმარისი გახლდათ. ჩემპიონობამდე კი აღარაფერი რჩებოდა, ანუ ორმოცდაორი წუთი, რადგან ბრაზილიელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ქალღმერთისკენ და გოლიც გაიტანეს. ჩემპიონობამდე კი ოცდასამი წუთი რჩებოდა, როცა ხუან შიაფინომ ანგარიში გაათანაბრა. და მაინც, ჩემპიონობამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. ყველაფერი ბრაზილიისა იყო. შიაფინოს ეს გოლიც ბევრით არაფრით აშორებდა ბრაზილიას გამარჯვებამდე.

და ასე. ბრაზილიელთა გამარჯვებამდე ათი წუთი რჩებოდა და იყო მოხდენილი კომბინაცია, ობდულიომ რომ დაიწყო. იყო ურუგვაელთა შორის ერთი გამხდარი, სწრაფი, შავულვაში ბიჭი, რომელსაც ალსიდეს ედგარდო ერქვა. საფეხბურთო ცნობარებში მისი გვარი ამოიკითხება, როგორც გიჯა, გიჯია, ჯიგია, გიგია და ასე შემდეგ. და ალსიდეს ედგარდომ მოკლა იმედი. მოკლა იმედი და მასთან მთელი ბრაზილია. ამბობენ, რომ ალსიდეს ედგარდომ იმ 18 ივლისს მოკლა არა მარტო იმედი, არამედ ამპარტავნობა, მედიდურობა და თავქარიანობა.

ურუგვაის გამარჯვებამდე ათი წუთიღა რჩებოდა.

ბრაზილიელებმა ელოდნენ ამას. არც იყო გასაკვირი. ფინალური ჯგუფის წინა ორი თამაში ბრაზილიელებმა ასტრონომიული ანგარიშით მოუგეს შვედებს და ესპანელებს.

და ისინი გამოვიდნენ. რეპროდუქტორში კი ისმოდა რიოს გუბერნატორის მენდეს დე მორეასის ხმა, ის გამარვჯებას შესთხოვდა ფეხბურთელებს. რიო დე ჟანეირო რადიოებთან იჯდა. ყველა გატრუნულიყო, მთელი ეს მრავალმილიონიანი ქალაქი, გნიასობდა მხოლოდ „მარაკანა“, რომელიც ითვლიდა თითოეულ წუთს, ჩემპიონობამდე რომ აშორებდა მათ ქვეყანას. ცხადი იყო — ბრაზილიას ადრეც, თორმეტი წლის წინადაც ეკუთვნოდა ჩემპიონობა, მაგრამ იქ, შორეულ ქვეყანაში, უეშმაკო ოკეანისგაღმელები დაჩაგრეს. ასე თვლიდნენ ბრაზილიაში და ქალღმერთამდე სულ რაღაც საათნახევარი რჩებოდა.

განა თამაშს გიამბობთ? ვერა.

მე გიამბობდით „მარაკანას“ ხმების ისტორიას, მაგრამ ეს შეუძლებელია. შეუძლებელია, ხმათა და შეძახილთა ისტორიის თხრობა. შეუძლებელია აღწერო, როგორ ფეთქავს ერთი ადამიანის და მთელი ქვეყნის გული. ჩემპიონობამდე კი ორმოცდახუთი წუთი რჩებოდა. ობდულიო ვარელა გაფითრებული თამაშობდა. გრძნობდა, რომ თამაში თვითონ ეჭირა ხელში და სირცხვილი აღარ იქნებოდა, მაგრამ ეს ცოტა იყო, ცოტა იყო სიდიადისთვის, ღირსებისთვის კი საკმარისი გახლდათ. ჩემპიონობამდე კი აღარაფერი რჩებოდა, ანუ ორმოცდაორი წუთი, რადგან ბრაზილიელებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს ქალღმერთისკენ და გოლიც გაიტანეს. ჩემპიონობამდე კი ოცდასამი წუთი რჩებოდა, როცა ხუან შიაფინომ ანგარიში გაათანაბრა. და მაინც, ჩემპიონობამდე თითქმის აღარაფერი რჩებოდა. ყველაფერი ბრაზილიისა იყო. შიაფინოს ეს გოლიც ბევრით არაფრით აშორებდა ბრაზილიას გამარჯვებამდე.

განა მე შემიძლია სიჩუმის ხმა აღვწერო? ეგებ საკვირველია, მაგრამ იმ საღამოს, რიოში, სიჩუმის ხმა, რადიოს ხმა იყო. ის ათი წუთი, რადიოს ხმა იყო. მეტი არაფერი. „მარაკანა“, ერთადერთხელ გავსებული, გატრუნულიყო. ბრაზილიელები არ გაჩერებულან, ისინი უტევდნენ. მაგრამ არაფერი, იმიტომ, რომ სასწაული ერთხელ ხდება.

და ობდულიომ მოიგონა ის, რასაც დღეს აგრერიგად ებრძვიან. თამაშის ბოლო წუთებზე, მან ბურთი ხელში აიღო და სათადარიგოთა სკამისკენ წავიდა. ამ დროს თამაში შეჩერებული იყო. ობდულიომ არ იცოდა, რას აკეთებდა. მან ბურთი აიღო და წავიდა. მსაჯი ვერ მიხვდა, რას აკეთებდა კაპიტანი. ამბობენ, რომ მან დროის გაყვანის ხერხი მოიგონა. მაშინ ამის წინააღმდეგ საბრძოლო იარაღი არ არსებობდა. მაგრამ მან არ იცოდა, რას აკეთებდა, ნერვებმა უმტყუნა და არ იცოდა.

შემდეგ ის გასახდელის იატაკზე ეგდო და ბღაოდა: „ურუგვაი!“

რიოში კვლავ სიჩუმე იყო. სადღაც, ფაველაშის შუაში ვიღაცამ იახრა, ძველი მუთაქა გამოათრია და ზედ ნახშირით წააწერა: „ძირს ფლავიო როდრიგეს და კოსტა!“ და მუთაქას ცეცხლი წაუკიდა. ასე დაიწყეს ბრაზილიაში მწვრთნელთა ფიტულების დაწვა. ღამის რიოში კოცონები გიზგიზებდა.

მოხუც ობდულიოს სიცოცხლის ბოლომდე სჯეროდა, რომ წელიწადში ერთხელ, 16 ივლისს ეკუთვნოდა თაიგული...

ბიჭი ამ ამბავს მთელ საათს ჰყვებოდა. ბოლოს დაიჩოქა და შეჰყვირა: „მშვიდობით, ბრაზილიავ!“

რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მან „ხუთიანი“ მიიღო და მოეწყო კედეც.

ჩვენ კი რა ვქნათ? ალბათ, ის, რომ არ დავივიწყოთ ფეხბურთის უკვდავი ეპიზოდები.

ფეხბურთის რუკასთან

ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲔᲚᲛᲐ დეიან სტეფანოვიჩმა მეტად სამწუხარო ამბავი შეიტყო — ინგლისის დასაქმების სამინისტრომ მას ინგლისში მუშაობის უფლება არ გაუგრძელა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ „შეფილდ უენსდეის“ ნახევარმცველს მომავალ სეზონში პრემიერლიგაში თამაში არ შეეძლება. სამინისტროს უარი იმით გახლდათ განპირობებული, რომ სტეფანოვიჩმა ბოლო სეზონში თამაშების საჭირო რაოდენობა ვერ ჩაატარა, ამის გამო კი მას უნებლიედ მოესპო ნისლიან ალბიონზე თამაშის შანსი. შეფილდელთა გენერალურმა მდივანმა გრემ მაკრელმა განაცხადა, ძალიან გვეწყინა მომხდარი ამბავი, თუმცა ბედს არ შევურიგდებით, სამინისტროში აპელაციას აუცილებლად შევიტანთო. დეიან სტეფანოვიჩი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ გაემგზავრა, „შეფილდ უენსდეიში“ 1995 წლის მიწურულს გადავიდა ბელგრადის „ცრვენა ზვეზდადან“. მასთან ერთად ინგლისელებმა იმავე კლუბიდან დარკო კოვაჩევიჩიც შეიძინეს, თუმცა ამ უკანასკნელმა შეფილდურ გუნდში ადგილი ვერ დაიმკვიდრა და ესპანეთის, კერძოდ კი სოსიედადის „რეალში“ გადავიდა.

მექსიკა 1999 წელს კონფედერაციათა თასის გათამაშებას უმასპინძლებს. ამ გათამაშების მასპინძელი თითქოს მუდამ საუდის არაბეთი უნდა ყოფილიყო, თუმცა ფიფამ გადაწყვეტილება შეცვალა და ახლა კონტინენტის ჩემპიონები თავს მექსიკაში მოიყრიან. ოქროს თასის გათამაშება გაისად 8-დან 20 იანვრამდე გასტანს. მონაწილეობას მიიღებენ მექსიკა, აშშ, ბრაზილია, ბოლივია, ეგვიპტე, საუდეთი და გერმანია ან საფრანგეთი.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲛᲐ შტეფან კლოსმა, დორტმუნდის „ბორუსიის“ კარს რომ იცავს, მიუხედავად იმისა რომ რამდენიმე ხნის წინ გუნდის დატოვება ეწადა, ახლა დორტმუნდში დარჩენა ისურვა. „ძალიან გამიხარდება თუ კლუბის კარს კიდევ ერთი სეზონით დავიცავ“ — განაცხადა კლოსმა ამ რამდენიმე ხნის წინ. არავინ იცის თუ რატომ იცვალა მეკარემ აზრი, მაგრამ ფაქტია, რომ მას ისე აღარ სწადია სხვა გუნდში გადასვლა, როგორც რამდენიმე ხნის წინ. საინტერესოა რომ კლოსის შენარჩუნების სურვილი „ბორუსიის“ ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს. კლოსის 1997 წლის ჩემპიონთა თასის მფლობელთა რიგებში დარჩენა თითქმის გადაწყვეტილია, ასე რომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ სეზონში დორტმუნდელთა კარში კვლავ გამოცდილ კლოსს ვიხილავთ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲐ მომავალ წელს 17 წლამდე ფეხბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. ფიფას მორიგმა სხდომამ, ორიოდ დღის წინ პარიზში რომ გაიმართა, სწორედ ზემოთქმული გადაწყვეტილება მიიღო. ჩემპიონატი 1999 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაიმართება.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ნაკრებისა და დორტმუნდის „ბორუსიას“ მცველი იორგ ჰაინრიხი იტალიის სერია A-ს „ფიორენტინაში“ გადადის. ეს ამბავი თავად „ბორუსიის“ წარმომადგენლებმა გაავრცელეს. მათ არც ის დაუმალავთ, რომ იტალიელები ჰაინრიხში გერმანული ფეხბურთის ისტორიაში სარეკორდო თანხას — 25 მილიონ მარკას უხდიან. ფეხბურთელი პირობებზე მოსალაპარაკებლად ფლორენციაში ჩავიდა და იქნებ ხელშეკრულებასაც მოაწეროს ხელი. კლუბის თავკაცები მას სამწლიან კონტრაქტს და წლიურ 1,8 მილიონ მარკას სთავაზობენ. ჰაინრიხისთვის „ფიორენტინას“ ახალ მწვრთნელს ჯოვანი ტრაპატონის გერმანიაშივე დადგამს თვალი და კლუბის პრეზიდენტს დაჟინებით სთხოვდა მის შეძენას.

კამაჩო: მწარე რეალობა



ხოსე ანტონიო კამაჩო — იგი წავა და სხვა მოვა...

მადრიდის „რეალის“ მთავარი მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამაჩო გადადგა. იგი ოციოდე დღის წინ ჩაუდგა სამეფო კლუბს სათავეში და მალალი მიზნებიც დაისახა, მაგრამ გუშინ თავისი წარმომადგენლის ანგელ კასტილიოს მეშვეობით კლუბიდან წასვლის შესახებ გაკეთებული განცხადებით საფეხბურთო სამყარო მეტად განაცვიფრა. კამაჩოს გადაწყვეტილება „რეალის“ პრეზიდენტ ლორენცო სანსთან უთანხმოებამ განაპირობა, რისი მიზეზიც კარლოს ლორენსანა გახდა, კაცი, რომელსაც რა ხანია, ყველა კამაჩოს მარჯვენა ხელად იცნობს. მწვრთნელმა კლუბში ლორენსანას თავის ასისტენტად მიწვევა მოინდომა, ეს კი სანსიმ არ მოუწონა. „კარლოსის გამო ჩამოვარდნილი უთანხმოების გარდა სანსი ხოსე ანტონიოს უფლებებს ფეხბურთელთა ყიდვაშიც ზღუდავდა და დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებას არ აძლევდა, რაც კამაჩოს მდგომარეობას აუტანელს ხდიდა“ — დაასაბუთა მეგობრის გუნდიან წასვლა კასტილიომ. კამაჩომ, როგორც ფეხბურთელმა, „რეალში“ 16 წელი გაატარა, ამ ხნის განმავლობაში ცხრაჯერ ქვეყნის ჩემპიონის ტიტული, ორჯერაც უეფას თასი მოიპოვა. სპორტული კარიერის დასრულების შემდეგ იგი კლუბის მწვრთნელის, წარსულში სახელგანთქმული ფეხბურთელის ალფრედო დი სტეფანოს თანაშეწედ დაინიშნა და ამ თანამდებობაზე ორი წელი იმუშავა. „რეალში“ მთავარ მწვრთნელად დაბრუნებამდე კამაჩო ხუთი წელი „ესპანიოლს“ წვრთნიდა და მეორე დივიზიონში მოსპარეზე გუნდი პრიმერაში აღაზევა. 8 ივნისს მას 43 წელი შეუსრულდა და დაბადების დღეზე ერთი გამორჩეული საჩუქარი მიიღო — ლორენცო სანსმა „რეალის“ მთავარი მწვრთნელის ადგილი შესთავაზა. კამაჩომ, ცხადია, შანსი ხელიდან არ გაუშვა და 17 ივნისს შმობლიურ კლუბთან ორწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რითაც ამ თანამდებობაზე გერმანელი სპეციალისტი იუპ ჰაინკესი შეცვალა. მას, მიუხედავად ჩემპიონთა ლიგის მოგებისა, ესპანეთში მეოთხეობა არ ეპატია. ორწლიან კონტრაქტს კი, როგორც აღმოჩნდა, აღსრულება არ ეწერა, „რეალი“ კვლავ უმწვრთნელოდ დარჩა. თუმცა უკვე ალაპარაკდნენ ახალ კანდიდატზე. ესპანეთის ტელევიზიას თუ ვენდობით, იგი გუს ჰიდინკია, დიახ, სწორედ ის გუს ჰიდინკი, ჰოლანდიის ნაკრებს რომ თავკაცობს. საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰოლანდიელთა წარმატებული გამოსვლის შემდეგ, ალბათ, ცოტა თუ იფიქრებდა ჰიდინკის გუნდიდან წასვლას, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი ჩემპიონატამდე მიღებული გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს. ისე, ჰიდინკისთვის ესპანური კლუბის მწვრთნელობა მთლად უცხო არ არის. შეგახსენებთ, რამდენიმე წლის წინ იგი „ვალენსიას“ წვრთნიდა.

ᲕᲐᲜᲝ ᲝᲫᲠᲝᲞᲘᲠᲘᲫᲔ

ეს ლომელია, რომ გვაფრთხილებს?

დღეს ქუთაისში „გივი კილაძეზე“ ინტერტოტოს თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში ჩვენი „ტორპედო“ ბელგიურ „ლომელს“ მასპინძლობს. თამაში უდიდეს ინტერესს იწვევს და ეს არც არის გასაკვირი. ამ ექვსი დღის წინ ტორპედოელებმა სტუმრად იძალეს და ბევრისთვის მოულოდნელად გამარჯვებულნი დაგვიბრუნდნენ. მაგრამ გათამაშების მომდევნო სტადიაზე გამსვლელი, როგორც იცით, ორი შეხვედრის ჯამში უნდა გამოვლინდეს. ვინ იქნება ის ბედნიერი, შეძლებენ თუ არა ქუთაისელი ფეხბურთელები განავითარონ წარმატება, ან პირიქით, ძალუძთ თუ არა ლომელელებს ქართველებთან საკადრისი რევანშის აღება? აი კითხვები, რომლებიც ამ პრინციპული თამაშის წინ მოსვენებას არ გვაძლევენ, სულს გვიფორიაქებენ.

ლომელი — ბრიუსელი — სტამბოლი — თბილისი — ქუთაისი. ასეთი გახლდათ ბელგიელ ფეხბურთელთა მარშრუტი დანიშნულების ადგილამდე. „ლომელი“ თბილისიდან ავტობუსით ნამზგავრი გუშინ საღამოს პირდაპირ სტადიონს მოადგა და ერთი საათი შხაპუნა წვიმის ქვეშ ივარჯიშა.

სტუმართა მთავარი მწვრთნელი ლეო კლესტერსი მინდორზე თავისი საქმით იყო გართული, წინასწარ კი ის გვითხრა ვარჯიშის შემდეგ ბევრი დრო არ გვექნება, უნდა დავისვენოთ და ჩვენც მასზე არანაკლებ კომპეტენტურ პიროვნებას, „ლომელის“ მენეჯერს მარტინ პიტერსს გავესაუბრეთ. სხვათა შორის, კლესტერსი სწორედ ამ კაცმა დაასაქმა „ლომელში“ და, თავისთავად, მის სიტყვას ფასი აქვს და დაეჯერება.

— ქუთაისში 27 კაცი ჩამოვედით, 18 ფეხბურთელი, კლუბის ხელმძღვანელობა, ექიმი ქალბატონი, ორი მასაჟისტი, ორი ჟურნალისტიც გვახლავს.

— თუ შეიძლება, თქვენი მოთამაშეები ჩამოგვითვალეთ?

— მეკარეები — ჯეკ მათიასენი (35 წლის) და პატრიკ ნისი (29); მცველები — ჰაქან ბაირაქტარი (22), მიშელ ნობენი (28), დიდიე სეგერსი (33), ტიმ სიმონსი (22), ვიმ ვან დისტი (21), ერიკ ვან კეული (32), კრის ვინკენი (21); ნახევარმცველები — გერტ ქენვორთსი (35), ვიმ მენესი (21), რობ ნუტსი (21), დარიუშ შუბერტი (28), ჰარმ ვან ველდჰოვენი (36); თავდამსხმელები — სილვიო გარსია (18), ისმაილ იაიზი (19), დიტერ დეკელვერი (19), მიროსლავ ვალიგორა (28), ესენი ყველანი განაცხადში გვყოლებიან.

— პირველ მატჩთან შედარებით ორი მოთამაშე შეგმატებიათ?

— მართალია. დომინიკ ვან მაელეს მუხლში წყალი ჩაუდა და ლომელში დავტოვეთ. ალჟირელ ლეგიონერს ქარიმ ზოუას ვიზასთან დაკავშირებით შეექმნა პრობლემა და ვერც ის წამოვიყვანეთ. მათ ნაცვლად განაცხადში შესაბამისად გამოცდილი გერტ ქენვორთსი და ახალგაზრდა იტალიელი სილვიო გარსია გვეყოლებიან. ქენვორთსი ტრავმირებული იყო და სულ ორი დღის წინ შეუდგა ვარჯიშს.

— ძირითადის იმ ოთხი მოთამაშის საქმე როგორაა, გუნდს ლომელშიც რომ აყლდნენ?

— ვწუხვარ, რომ წლევანდელ ინტერტოტოზე უძლიერესი შემადგენლობით ვერ ვთამაშობთ, ბევრი ავადმყოფობს. განის ნაკრების წევრი რობერტ ეშუნი, ელ ბემბუანა-კევე კონგოს ნაკრების წამყვანია. გვაკლია დანიელ ნესენი და ახალშეძენილი 21 წლის ბრაზილიელი ნივალდო ვიეირა.

— თქვენ ფიქრობთ, ამათ რომ ლომელში ეთამაშათ, „ტორპედოს“ მოგება გაუძნელდებოდა?

— რა თქმა უნდა.

— მაინც, რა რეზონანსი ჰქონდა ბელგიაში „ტორპედოს“ გამარჯვებას?

— ყველა გაოცებული დარჩა, თქვენი გუნდის თამაში ჩვენთვის ნამდვილი სიურპრიზი იყო. არ ველოდით ასეთ წინააღმდეგობას. ამას გულახდილად ვამბობ.

— როგორ ფიქრობთ, თქვენმა გუნდმა ითამაშა სუსტად თუ „ტორპედომ“ ძლიერად?

— ერთიც იყო და მეორეც. „ტორპედო“ ტექნიკური და ფიზიკურად კარგად მომზადექბული აღმოჩნდა. დაცვაშიც დამაჯერებლად თამაშობდა და აზრიანადაც უტევდა. ჩვენი გუნდიდან საქებარი მხოლოდ სიმონსი თუ იყო. იგი ახალი მიღებულია და სრული დატვირთვით ითამაშა. ზოუასაც არა უჭირდა. დანარჩენები კი აშკარად მოისუსტებდნენ. ამას თავისი გამართლება აქვს. ჩვენ ხომ პრაქტიკულად ორი კვირის წინ შევუდექით ვარჯიშს.

— გავიგეთ, ტორპედოელების შეძენა გსურთ, თანაც ეს თქვენი პირადი საქმეა.

— ძალიან მოგვეწონა მეოცე ნომერი მეტრეველი და მეცხრე ნომერი ჯანაშია. მათ თამაშს ერთხელაც დავაკვირდებით და თუ „ტორპედოს“ ხელმძღვანელობასთან შევთანხმდებით, ლომელში წავიყვანთ.

— გულახდილად გვითხარით, „ლომელს“ ქუთაისში რა შანსი აქვს?

— ფეხბურთი თამაშია, თამაშში კი შანსი ყოველთვის არის. მთავარია, როგორ გამოიყენებ. ჩვენ იმედი არ გადაგვიწურავს. წასაგებად ნამდვილად არ ჩამოვსულვართ. ვნახოთ. თქვენები ფრთხილად უნდა იყვნენ. მატჩი ძალიან საინტერესო იქნება.

იუზა კაციტაძე

ფილია შეკრებით კმაყოფილია და ცრვენა ზვეზდასი არ ეშინია

— თურქეთში ყოფნით კმაყოფილი ვარ. ნაყოფიერი შეკრება გამოგვივიდა, მაგრამ პრობლემებიც არ მოგვკლებია. ქალაქ ორდუში მოსამზადებლად ყველანაირი პირობა შეგვიქმნეს. ვცხოვრობდით ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და უმთავრეს ყურადღებას ფიზიკურ დატვირთვებზე ვამახვილებდით. საქმე ის იყო, რომ ძლიერი სპარინგ-პარტნიორების უკმარისობას განვიცდიდით. სულ ორი საკონტროლო შეხვედრა გავმართეთ, ისიც ძალიან სუსტ გუნდებთან. პირველ მატჩში ორდუს ქალაქის ნაკრებს შევხვდით და 11:2 გავანადგურეთ, ხოლო მეორე გუნდს, თურქეთის მეორე და მესამე ლიგის ფეხბურთელებით დაკომპლექტებულ „ფაცასფორს“ 6:1 ვძლიეთ. კიდევ ერთი პრობლემა ის იყო, რომ სასტუმროდან, სადაც ვცხოვრობდით, სავარჯიშო მოედანი ოცდაათი კილომეტრის მოშორებით მდებარეობდა და ყოველდღე მომქანცველი მგზავრობა გვიჭირდა.

— აწ უკვე ყოფილი თსუ-ელი ჯონი შალამბერიძეც თქვენთან ემზადებოდა?

— დიახ, ჯონის ძალიან გაუჭირდა, მას ხომ, ფაქტობრივად, თსუ-დან წამოსვლის შემდეგ ბევრი გაუცდა და უცებ ფიზიკური კონდიციების აღდგენა ვერ შეძლო, მაგრამ მე ვიცი მისი პოტენციალი და დიდი იმედი მაქვს, რომ თავდაუზოგავი ვარჯიშით ფორმას დაიბრუნებს.

— კიდევ ვინმეს დამატებას ხომ არ აპირებთ?

— თავიდანვე გეტყვით, რომ გუნდი არავის დაუტოვებია. შალამბერიძის გარდა ორიოდ დღეში გადაწყდება ოდიშელი ჯუმბერ კალანდაძისა და რუსეთიდან მობრუნებული ვარლამ კილასონიას საკითხი. მათთან წინასწარ შეთანხმებას უკვე მივაღწიეთ და თუ რაიმე დაბრკოლება არ იქნა, ჩვენთან ითამაშებენ. კლუბის პრეზიდენტი ჯემალ ინაიშვილიც მიჭერს მხარს — ძლიერი გუნდის შექმნა მსურს და ამისთვის არაფერს დავიშურებ, რომელ ფეხბურთელსაც ხელს დაადებ, ყველაფერს გავაკეთებ მის გადმოსაბირებლადო. გარდა ამისა, დავიმატეთ კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელი ჩვენი ფარმ-კლუბიდან, რომლებიც „კოლხეთის“ მომავლად მესახებიან. დიდად დაგვეხმარება მიხელ ქობულაძეც, მან კვლავ ჩვენთან თამაში ისურვა.

— გელა ინალიშვილს გარკვეული პრობლემები ჰქონდა...

— გელა ჩვენთან არის, მან მოაგვარა სამარელებთან ურთიერთობა და, ბუნებრივია, თურქეთშიც ვიახლეთ. მისი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

— ფინანსური პრობლემები თუ მოაგვარეთ?

— დიახ, ყველანაირი დავალიანება გასტუმრებულია. გარდა ამისა, შევიძინეთ ეკიპირება, ახალი ფორმები, როგორც სავარჯიშო, ისე სათამაშო, ბუცები, ბურთები. ასე რომ, ამ მხრივ არანაირი პრობლემა არ გვაქვს.

— უეფას თასზე „ცრვენა ზვეზდას“ მეტოქეობა თურქეთში ყოფნისას შეიტყვეთ...

— ფაქტია, რომ არ გაგვიმართლა. შარშანაც ასე იყო და წლეულსაც. კენჭისყრაზე განთესილ გუნდთაგან ხომ „ცრვენა ზვეზდა“ ყველას ერთი თავით სჯობს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ ყურები ჩამოვყოროთ და წაგებულის ბედს შევეგუოთ. მინდა ყველამ იცოდეს, რომ ფოთის „კოლხეთი“ უბრალო გუნდი არ გახლავთ. ჩვენ არავისი გვეშინია და შევეცდებით, ეს დავამტკიცოთ კიდეც. ახალი ამბავი არ არის — იუგებს ყოველთვის ჰყავდათ ძლიერი გუნდები და ფეხბურთელები. ამას ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოსვლაც ადასტურებს. „ცრვენა ზვეზდას“ შესახებ ჯერჯერობით არანაირი ინფორმაცია არა მაქვს. მართალია, იგი ტიტულოვანი, ძლიერი და უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია, მაგრამ არც ჩვენ ვართ ჯაბანნი, დღესდღეობით ევროპაში დონე ნელ-ნელა თანაბრდება და დაუმარცხებელიც არავინაა. ჩვენ მათი სახელი და ტიტულები არ გვაშინებს. ისე კი, ფაქტია — უძნელესი, რთული ბრძოლა გველის, რომელშიც, გპირდებით, თავს არ დავზოგავთ. ჩვენი პრეზიდენტის სურვილიც ხომ ეს არის.

— თურქეთში ტაქტიკურად თუ გადაახალისეთ გუნდი?

— როგორც ზემოთ აღვნიშნე, უმთავრესად ფიზიკურ კონდიციებს დავუთმეთ ყურადღება და ზოგიც ძველი, ზოგიც ახალი ტაქტიკური სქემა დავამუშავეთ. ჩემი ტაქტიკური მონახაზი იმას ითვალისწინებს, თუ რა დონის გუნდს ვეთამაშებით და „კოლხეთიც“ შესაბამისი განლაგებით გამყავს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად. ბიჭების ფიზიკური მომზადების დონით ძალიან კმაყოფილი ვარ, არც კი მეგონა, თუ ასეთ დატვირთვებს გაუძლებდნენ.

ახლა ფოთში გავაგრძელებთ მზადებას. ერთი-ორი საკონტროლო შეხვედრაც არ გვაწყენდა ჩვენი ქვეყნის ძლიერ გუნდებთან. თუ მოვახერხეთ, ალბათ, „ბათუმს“ გავეჯიბრებით, რათა თვალნათლივ გამოჩნდეს გუნდის ავ-კარგი.

ყველაფერი კი 22 ივლისს გამოჩნდება, იქ ნახავს ყველა, თუ რამდენად მომზადებული დავუხვდებით „ცრვენა ზვეზდას“.

„ცრვენა ზვეზდას“ ამ ზაფხულიდან რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი ტოვებს. თავდამსხმელი საშა მარკოვიჩი „შტუტგარტში“ გადაბარგდა, მცველი ზორან ნიეგუსი და ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი, სავარაუდოდ, რომის „ლაციოს“ შეუერთდებიან, ხოლო თავდამსხმელ ჰერიცა ოგნიენოვიჩს ესპანეთისა და იტალიის წამყვანი გუნდები ეპატიჟებიან.

გიორგი ვაშაძე

ანდრიაძე ალავერდს მერიასთან გადავიდა, კვინიკაძემ კვერი დაკრა

გვირაბია საჭიროო!

ფედერაცია: ალავერდი მერიასთან

ფეხბურთის ფედერაცია პრესკონფერენციას აწყობსო, რომ ითქვა, ვიფიქრეთ, არიქა, ალბათ მოახლეობულ ყრილობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სალაპარაკოდ გვიწვევენ ეროვნულ სტადიონზეო. დათქმულ ადგილას მართლაც გამოცხადდნენ ფედერაციის გენერალური მდივანი დავით კვინიკაძე, ვიცე-პრეზიდენტი ნოდარ ანდრიაძე და კომერციული სამსახურის უფროსი რევაზ შავდია. ალექსანდრე ჩივაძე რომ არსად ჩანდა, გულმა რეჩხი გვიყო, მივხვდით, საუბარი ყრილობას არ შეეხებოდა. ასე აგიხდეთ ყველაფერი. სამაგიეროდ, ფედერაციის ჩინოვნიკებმა თან ერთ-ერთი საამშენებლო ფირმის უფროსი იახლეს, რომელიც სტადიონზე დაწყებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს ასრულებს.

პრესკონფერენციას სულ ნახევარი საათი დასჭირდა. პირადად თუ მკითხავთ, საამთემოდ ესეც ბევრი იყო. კიდევ კარგი, კოლეგებმა იყოჩაღეს და ორიოდ განსხვავებული კითხვით მიმართეს ფედერაციის მოხელეებს, თუმცა არც ამაზე მიგვიღია ამომწურავი პასუხი.

ჯერ დავით კვინიკაძემ დაიწყო: სტადიონზე მიმდინარე სამუშაოებს დამაკმაყოფილებლად ვაფასებთ. მუშები გვაიმედებენ, რომ 20 000 ინდივიდუალური სკამის დამონტაჟებას 1 სექტემბრისთვის მორჩებიან და ალბანეთის ნაკრებთან მატჩზე, ბილეთები უკვე ახალ სკამებზე გაიყიდება, ამას დამატებულ ძველი ადგილების ათ პროცენტთან ერთად. სტადიონის ინდივიდუალური სკამებით მთლიანად აღჭურვით კი ტევადობა რაოდენობა 10 ათასით შემცირდება.

სტადიონის განათებაზე რევაზ შავდიამ ისაუბრა: — ალბანეთთან მატჩის გარდა საქართველოში მიმდინარე წელს ნაკრების ოფიციალური თამაში არ ჩატარდება. ეს მატჩიც ევროპელების დიდ ინტერესს არ იწვევს და საჭიროება აღარ მოითხოვს, შეხვედრის პირდაპირი ტელეერპორტაჟი სხვა ქვეყნებში გადაიცეს. ამიტომაც მატჩი დღის შუაზე შედგება. მომავალი წლიდან კი 1200 ლუქსიანი განათება გვექნება. პროექტი უკვე შედგენილია, ამ საქმეს 580 000 დოლარი მოხმარდა და სტადიონის განათებას ამერიკული ფირმა „ჯენერალ ელექტრიკი“ უზრუნველყოფს.

ნოდარ ანდრიაძეს ქართული სუფრა გაახსენდა და... — ჩვენ, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ, სტადიონის რეკონსტრუქცია დავიწყეთ, აგერ, ბატონო, სამუშაოები თქვენს თვალწინ მიმდინარეობს. ახლა ალავერდს თბილისის მერიასთან ვართ. მუშაობის ტემპი რომ არ დაეცეს, ხელი მერიამაც გამოიღოს, დაწყებული გაგრძელოს.

შემდეგ საუბარში ისევ კვინიკაძე ჩაერთო: — ნუ იფიქრებთ, თითქოს ფედერაციას კატასტროფული ფინანსური მდგომარეობა ჰქონდეს. რომ გაიძახიან, ფედერაცია ინფორმაციას მალავსო, მითხარით ერთი, რომლისთვის რა დაგვიკავებია. ეგ კი არა, ხანდახან კაცური მომენტების გათვალისწინებით არსათქმელსაც ვამბობთ ხოლმე. ახლაც გეტყვით, ფედერაციას 80 ათასი დოლარი ლაგოდეხში სანაკრებო ბაზის მშენებლობაში აქვს ჩადებული, 20 ათასთ კი იმ სპორტულ-საფეხბურთო კომპლექსის მშენებლობას შევეწიეთ, რომელიც ვაკეში, „მზიურში“ მოეწყო. დამსახურებას ნუ დაგვიკარგავთ.

ეროვნული სტადიონის მთავარმა ინჟინერმა კი დაგვამშვიდა — სტადიონის ფუნდამენტის გამაგრების პროცესი თითქმის დამთავრებულია. ხალხის მოზღვავების შემთხვევაში უკვე გამორიცხულია, რაიმე ტრაგედია დატრიალდეს, ტრიბუნა ჩაინგრეს ან სხვა უბედურება მოხდეს. ყველაფერი გამაგრებულია, ნუღარ შეგეშინდებათ. ერთი ეგაა, რომ გრუნტის წყლები ისევ გროვდება, სეზონის მიხედვით წყლის დონე ხან იკლებს, ხან იზრდება. ფული არ გვაქვს ახალი დრენაჟი რომ გავაკეთოთ. ესეც რომ შეგვძლებოდა, საფიქრალი აღარაფერი იქნებოდა. „საქგვირაბმშენი“ მიწისქვეშა გვირაბს ჭრის, რათა წყალს კალაპოტი მტკვრისკენ მისცეს, მაგრამ დრენაჟი მაინც საჭიროა.

საამშენებლო ფირმის უფროსი სულიკო თელია: — სამუშაოთა დამკვეთი ფეხბურთის ფედერაციაა, ჩვენც დავალებას კეთილსინდისიერად ვასრულებთ. მასალებით თუ დროულად მოგვამარაგეს, რომელიც მთლიანად უცხოური წარმოებისაა, ჩვენ მხრიდან პრობლემა არ იქნება.

სულ ბოლოს კი ნოდარ ანდრიაძემ ნაკრებზეც თქვა: — ახლოვდება შესარჩევი ციკლი. ფედერაციამ თადარიგი წინასწარვე დაიჭირა და საამისო ფულიც გადადებულია. რიგაში ჩარტერული რეისით გავფრინდებით. ვითამაშებთ და მეორე დღესვე სპერძნეთს ავბარგდებით. ყველაფრის ხარჯები, როგორც გითხარით, დაანგარიშებულია, ფულიც არის — 100 ათასი დოლარი.

ძოგა ინასარიძე

ბადრი ბერიძის ფოტო

ჯორჯიელები ვართ, თქვენცა და ჩვენცა

ამერიკელები მზად არიან, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი გააფორმონ

უკვე ვწერდით, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გამაგრილებელი სასმელების ცნობილ ფირმა „კოკა-კოლასთან“ აწარმოებდა მოლაპარაკებას სპონსორობის თაობაზე. მხარეებმა დეტალების გარკვევას საკმაოზე მეტი დრო მოანდომეს. ორიოდ დღის წინ კი გაცხადდა, რომ ქართულ „კოკა-კოლას“ ამავე ფირმის სათავო ოფისიდან, რომელიც ამერიკაში, ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაშია, თანხმობა მიუღია, ჩვენი ფეხბურთის ფედერაციის დაფინანსებაზე. მალე კონტრაქტიც გაფორმდება, რომლის საფუძველზეც „კოკა-კოლა“ ფედერაციის ერთ-ერთი სპონსორი გახდება. რაღა თქმა უნდა, ასეთი შეძლებული ფირმის დახმარება ქართულ ფეხბურთს ძლიერ წაადგება, თუმცა სასურველია, მსგავსი კიდევ რამდენიმე იყოს.

ძოგა ინასარიძე

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატი

ილია დათუნაშვილი

დაიბადა 01.09.37 ბათუმში
სპორტის
დამსახურებული
ოსტატი
დაამთავრა
თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ისტორიული
და ეკონომიკური
ფაკულტეტები
თამაშობდა ლანჩხუთის
„გურიასა“ და ქუთაისის
„ტორპედოში“
1959-68 წლებში თამაშობდა
თბილისის „დინამოში“
1964 წლის სსრკ ჩემპიონი
1959, 62, 67 წლების
ბრინჯაოს პრიზიორი
მეუღლე: ეთერ მაისურაძე
(ბიოლოგი)
შვილები: გიორგი,
დავითი, ლევანი
შვილიშვილი: ილია
ჰობი — მსუბუქი მუსიკა

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის წინასაარჩევნო კომპანია კულმინაციურ წერტილამდე მივიდა. ყრილობამდე ხომ 13 დღე დარჩა. ვცდილობთ, გაგაცნოთ კანდიდატების შეხედულებები ქართული ფეხბურთის პრობლემატურ საკითხებზე, რათა დელეგატებს სწორი არჩევანის გაკეთება გავუადვილოთ. „სარბიელის“ დღევანდელ სტუმარს, პრეზიდენტობის ერთ-ერთ კანდიდატს, ბატონ ილია დათუნაშვილს ქართველი ხალხის წინაშე წარდგენა არ სჭირდება. იგი იმ ოქროს თაობის წარმომადგენელია, რომელმაც პირველი ტრიუმფი მოუტანა ქართულ ფეხბურთს. ჩვენი ფეხბურთელების შესახებ მაშინ ლეგენდები დადიოდა. ისინი დიდი სიყვარულისა და პატივისცემის ღირსნი არიან. ბატონი ილია თავის თანამებრძოლებთან ერთად დღესაც აქტიურად მოღვაწეობს ქართულ ფეხბურთში. მას სხვაგვარად ცხოვრება ვერ წარმოუდგენია.



პაპრი ჯოთელაძის ფოტო

ილია დათუნაშვილს უცხოელი ინვესტორების იმედი არა აქვს

ილია დათუნაშვილი: ვინც ინვესტიციების მოზიდვას გვპირდება, ხალხს თვალში ნაცარს აყრის

— რამ გადაგაწყვეტინათ არჩევნებში მონაწილეობის მიღება?

— ქართული ფეხბურთის სავალალო მდგომარეობამ შთამაგონა. თუ მე შემიძლია, მას დახმარება გავუწიო, მზად ვარ სიკვდილამდე ვემსახურო ამ დიდ ეროვნულ საქმეს. სწორედ ქართული ფეხბურთის მიმართ ჩემმა პატრიოტულმა გრძნობამ მიკარნახა, მონაწილეობა მიმეღო სფფ-ს პრეზიდენტის არჩევნებში.

— როგორ აფასებთ ქართული ფეხბურთის დღევანდელ ყოფას და რის შეცვლას აპირებთ?

— დღევანდელ საფეხბურთო მდგომარეობაზე საუბარი, ალბათ, ზედმეტი იქნება, რადგან ამის შესახებ ძალიან ბევრი ითქვა და დაიწერა. ყოველივე კარგად არის ცნობილი. თუმც მე ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და მჯერა, რომ ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. საჭიროა, ფედერაციაში მოვიდეს საქმიანი ხალხი, სპეციალისტები, ქართული ფეხბურთისა და ერის პატრიოტები. თუ, ასე არ მოხდა, მაშინ დაღუპვა გვიწერია. მარტო გამდიდრების მანიით შეპყრობილმა პიროვნებებმა თუ მოახერხეს ამ საქმის სადავეების დაუფლება, საშველი არ იქნება. დღევანდელი რეალობა ამის მაგალითს იძლევა.

— რას იტყვით ფედერაციის მიერ ყრილობის დელეგატთა მანდატების გაცხადებაზე. რამდენად დემოკრატიულია ეს პრინციპი?

— ბევრჯერ მითქვამს და კიდევ გავიმეორებ — ეგ არის სირცხვილი. ფედერაციაში ისევ ის ძველი მეთოდები მოქმედებს, როგორც უნდათ, ისე ანაწილებენ მანდატებს. მექოთნის არ იყოს, ყურს საიდანაც უნდა, იქით მიაბამს ქოთანს, სწორედ ამგვარად აკეთებენ ესენიც. ნუ მიწყენენ გულშემატკივრები, მაგრამ სირცხვილი არ არის, მათაც ერთი მანდატი და ვეტერანებსაც? სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს ფედერაცია ხშირად და ერთობ უსამართლოდ აკრიტიკებს ვეტერანთა კავშირს. რატომ, არ ვიცი. როგორ შეიძლება ასე მოეპყრა ხალხს, რომელთა რიგებშიც ხუთი თაობაა გაერთიანებული. მათ ზურგზე გადაიარა მთელმა ქართული ფეხბურთის ისტორიამ და ქარტეხილებმა. ეს ფაქტი სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ფედერაციის მესვეურები კი აცხადებენ, რომ სამართლიანად გაანაწილეს მანდატები. მაშინ აგვიხსნან, როგორ შეძლეს, ორ კვირაში 46 ადგილობრივი სტრუქტურული ერთეული შეექმნათ. ეს ხომ ყველაფერი ხელოვნურად გააკეთეს და ამით ყრილობის დელეგატების რაოდენობა 150-დან 228-მდე გაზარდეს. ახლა გაიძახიან, ეს ერთი წლის წინანდელი გადაწყვეტილება იყოო. კი მაგრამ, აქამდე სად იყვნენ. როგორ შეიძლება, თოთხმეტ დღეში 46 რაიონში ჩაატარო არჩევნები და შექმნა ადგილობრივი ფედერაციები. ვიმეორებ, ეს ძველი მეთოდებია, ხმების მისაღებად გათვლილი. აი, ამ გზით ცდილობენ კიდევ ოთხი წლით შეინარჩუნონ ძალაუფლება ქართულ ფეხბურთზე. ამას კიდევ დაუმატეს საფეხბურთო სკოლების წარმომადგენლობა. ადრე იყო ძველი სკოლები. ახლა კი რაღაც ახლები შექმნეს, შეაკოწიწეს, კაცი ვერ გაიგებს. ესენი ხულ ფედერაციის ხალხია. ვერავინ დამარწმუნებს, რომ ეს ერთი წლის წინ იყო ჩაფიქრებული და არჩევნებთან კავშირი არ აქვს. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ დემოკრატიულობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია.

— გამოდის, რომ კნადიდატების შანსები, გარდა ჩივაძისა, მინიმალურია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ ეს ყველაფერი მაგათთვისაა ცუდი. ხალხი ყველაფერს ხედავს და ამჩნევს. მაინც მაქვს სწორედ ამ საღად მოაზროვნე ხალხის იმედი, რომლისთვისაც ქართული ფეხბურთი ქვეყნის ღირსებას და სახეს წარმოადგენს. ეს იმედი ნუ მომიშალოს ღმერთმა. მე ზოგიერთებივით საზღვარგარეთელი მილიონერი ნაცნობების მხარდაჭერას არ ველი.

— როგორ აფასებთ ფეხბურთის მიმართ სახელმწიფოს პოლიტიკის?

— სახელმწიფო არ ერევა ფედერაციის საქმიანობაში და ეს ნორმალურია. რაც შეეხება ხელშეწყობას, ამისთვის საჭიროა, ქვეყნის მთავრობა ფაქტის წინაშე დააყენო. ისეთი ხალხი უნდა მუშაობდეს სფფ-ში, რომლებიც თავიანთი რეალური პროგრამით და საქმიანი გადაწყვეტილებებით დააინტერესებს სახელმწიფოს ინვესტორების მოზიდვაში. შედარებით ლოიალურ საგადასახადო კანონს მიაღებინებს იმ ორგანიზაციებსა და კერძო პირების მიმართ, ვინც ფეხბურთში კაპიტალის დაბანდებას დააპირებს. სხვაგვარად ქართული ფეხბურთის განვითარება წარმოუდგენლად მიმაჩნია. ნორვეგიის, საუდის არაბეთის მაგალითს თუ გავითვალისწინებთ, კარგად დავინახავთ, რომ სწორედ სახელმწიფო პოლიტიკის რანგში აყვანით მოხდა ამ ქვეყნებში ფეხბურთის განვითარება და მისი დონის ამღლება.

— დღევანდელ პირობებში სუპერგუნდისა და პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებაზე რას გვეტყვით?

— ჩვენი ფეხბურთის მდგომარეობიდან გამომდინარე, ძნელია ამაზე საუბარი. კი, უნდა ვიფიქროთ, მაგრამ ყველაფერს თავისი თანმიმდევრობა აქვს. არ შეიძლება სიმაღლეზე მხტომელი უცებ გადახტეს ორ მეტრზე, თუ ჯერ ერთმეტრიანი ბარიერი არ გადაულახავს. ჯერ უნდა განვავითაროთ ქართული ფეხბურთი, შემდეგ უნდა ვიზრუნოთ პროფესიული ლიგის შექმნაზე და ამის მერე შეიძლება ფიქრი სუპერგუნდის ჩამოყალიბებაზე. ცხოვრება ისეთია, თუ ყველა საფეხური არ გაიარე და რომელიმეს გადააბიჯე, მიზნის მიღწევა გაგიჭირდება.

— ახლა ბევრს საუბრობენ ჩემპიონატის პირველ ჯგუფში გუნდების რაოდენობის შემცირებაზე...

— ეს მეტად მტკივნეული საკითხია. დღეს პირველ ჯგუფში თექვსმეტი გუნდია. წარმოიდგინეთ, ახლა რომელიმეს უთხრა, შენი დონე არ გვაკმაყოფილებსო. აქ უნდა შეიქმნას სპეციალისტების შემსწავლელი კომისია, რომელიც ყველა დეტალსა თუ ნიუანსს გაითვალისწინებს, კარგად აწონ-დაწონის და მეცნიერულ დონეზე შეისწავლის ამ საქმეს. გულშემატკივრების აზრიც გასათვალისწინებელია. სწორედ ამის შემდგომ შეიძლება გადაწყვიტოს ამ ჯგუფმა, რა უფრო გამოადგება ქართული ფეხბურთის განვითარებას. ზერელედ ამ საკითხის განხილვა შედეგს არ მოგვცემს.

— ჩაწყობილ თამაშებზე და მისი აღმოფხვრის მეთოდებზე რას იტყოდით...

— ჩაწყობილი მატჩები ყოველთვის იყო, არის და იქნება. რაღაც სისტემა უნდა შეიქმნას, რომელიც გააკონტროლებს და ხელს შეუშლის ამგვარ ფაქტებს, რეაქცია ექნება მომხდარზე. ისე კი არა, დღეს რომ მთელი პრესა აჭრელებულია გარიგებულ თამაშებზე ინფორმაციით და ფედერაცია ყურსაც არ იბერტყავს. სანქციის გამოტანას ვინ ჩივის, გამოძიებასაც არ აწარმოებენ. კონსულტანტთა ჯგუფის ჩამოყალიბებაა საჭირო. ამ ხალხს ხელფასები უნდა დაენიშნოს და ყველა თამაშზე დაასწრო. მათ უნდა გააკონტროლონ მსაჯის მოქმედება. ყველა საეჭვო შეხვედრაზე ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებელნი.

— თქვენ თუ ყოფილხართ ამგვარი ხასიათის მატჩის მომსწრე?

— სულ ბოლო მაგალითს მოგიყვანთ გივი ჩოხელის თასის გათამაშებიდან. სამტრედიის და „დინამოს“ ახალგაზრდული გუნდები ხვდებოდნენ ეროვნული სტადიონის სათადარიგო ქვიშიან მოედანზე. სამარცხვინო რამ ვნახე. ჩემთან ერთად იყვნენ ვოვა ელოშვილი, გივი ხოჭოლავა და ბევრი ვეტერანი. სირცხვილია ასეთი მსაჯები ამგვარ ტურნირებს მსაჯობდნენ. არაკომპეტენტური არბიტრები დღუპავენ ფეხბურთისთვის.

— რა აზრის ბრძანდებით ეროვნული ნაკრების მწვრთნელზე? ევროპის შესარჩევ ჩვენს ჯგუფს როგორ აფასებთ?

— ვლადიმერ გუცაევი იყო ჩინებული ფეხბურთელი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. დღესდღეობით ვოვა ამტკიცებს, რომ მწვრთნელიც კარგი იქნება. ჯერ ვერ ვიტყვი, იგი სუპერმწვრთნელია-მეთქი. ამას დრო სჭირდება. გუცაევს კარგი მიღწევები ჰქონდა ახალგაზრდულ ნაკრებში და მისი ეროვნული გუნდის თავკაცად დანიშვნა ფედერაციის მიერ გადადგმულ დადებით ნაბიჯად მიმაჩნია. რაც შეეხება შესარჩევ ციკლს, ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ყველაზე სუსტ ჯგუფში მოვხვდით. ეს მცდარი შეხედულებაა. მსოფლიოს ჩემპიონატმაც დაადასტურა, რომ სუსტი გუნდები არ არსებობს. ხორვატების ამგვარ წარმატებას ვინ იფიქრებდა. დღეს ყველა ქვეყნის ნაკრები მობილიზებული გამოდის სათამაშოდ და ბოლომდე იხარჯება. კი, კარგია, რომ ევროპის გრანდები არ მოხვდნენ ჩვენთან, მაგრამ თვითდაჯერება საქმეს გაგვირთულებს.

— როგორ დაახასიათებთ პრეზიდენტობის თითოეულ კანდიდატს?

— ალექსანდრე ჩივაძეზე როგორც დიდ ფეხბურთელზე ლაპარაკი ზედმეტად მიმაჩნია. იგი ასევე ჩინებული ადამიანია. გული მწყდება, რომ ზოგიერთი ძალა მას შირმად იყენებს.

რაც შეეხება მერაბ ჟორდანიას, იგი ჩემი მეგობრის, ლევან ჟორდანიას შვილია. მე და ლეო ერთად მოვედით ფეხბურთში, ჩვენ ოჯახებით ვმეგობრობთ. მერაბს დიდ პატივს ვცემ.

რამაზ გოგლიძესთანაც კარგი ურთიერთობა მაქვს. ადრეც ასე იყო, მაშინ, როდესაც იგი სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გახლდათ. ნუ ეწყინება ბატონ რამაზს, რადგან იგი კომიტეტის ხელმძღვანელი იყო და იმიტომ იფრის კენჭს, მაშინ დავით პერტენავა მასზე ადრე და დიდხანს იმყოფებოდა იმ თანამდებობაზე. მის დროს უფრო დიდი მიღწევები ჰქონდა ქართულ სპორტს და ფეხბურთს, მაშინ პრეტენზიები ბატონ დავითს უნდა ჰქონდეს.

— ბატონო ილია, ამომრჩევლებს ალბათ დაინტერესებთ, რა გაკეთეთ ქართული დამოუკიდებელი ფეხბურთისთვის...

— მე ქართული ფეხბურთის გვერდით ვიდექი, ვდგავარ და ვიდგები ყველანაირად — მორალურად, ადამიანურად, ადრე ფინანსურადაც და ქველმოქმედებითაც. ერთ რამეზე მწყდება გული — ზოგიერთი ოპონენტი ამბობს, რომ ილია ქართული ფეხბურთიდან წავიდაო, მაგრამ იმას კი არ ამბობენ, სად წავედი. იმათ ჰგონიათ, თუ მე თბილისის „დინამოს“ ან სხვა რომელიმე გუნდის სათადარიგო სკამზე არ ვზივარ, ფეხბურთს ჩამოვცილდი. ქართული ფეხბურთის გარეშე ჩემი სიცოცხლე წარმოუდგენელია. ფედერაციის გაზეთში წავიკითხე, თითქოს გულშემატკივრები ამბობდნენ, რომ ილია დათუნაშვილი გაუდგა ფეხბურთს და მისი განვითარების პერსპექტივები კარგად არ ესმისო. დარწმუნებული ვარ, ქომაგები ამას არ იტყოდნენ. ეს იმ კაცის შეხედულებაა, ვინც ის წერილი დაწერა. თუ უნდათ, გვარებსაც ჩამოვუთვლი, ვინ იყვნენ იმ პერიოდში „დინამოში“ ჩემთან ერთად და ვინ — ფედერაციაში. მე ჩემი გუნდის გვერდით ვიყავი ყოველთვის. ჩემს მიმართ მსგავსი ბრალდებები აბსურდულად მიმაჩნია. საერთოდ ფეხბურთელი, სანამ სული უდგას, ყოველთვის ფეხბურთით ცხოვრობს.

— საქართველოდან უამრავი ახალგაზრდა ნიჭიერი ფეხბურთელი გარბის...

— ეს ერის ტრაგედიაა. დაუშვებელია ნიჭიერი ფეხბურთელების უცხოეთში კაპიკებად გაყიდვა. ჩვენი გენოფონდის საზღვარგარეთ ამგვარი გადინება სტამბოლის ბაზარს მავონებს. ეს კრიმინალი თუ არა, დანაშაულია და ამის დაშვება არ შეიძლება. საჭიროა, ამ ბიჭებს ჯერ ელემენტარული სასიცოცხლო პირობები შეუქმნათ და შემდეგ ვიფიქროთ ასაკობრივი ცენზის დადგენაზე.

— თქვენი ოპონენტი კანდიდატები ბევრს საუბრობენ გავლენიან უცხოელ პარტნიორებთან კავშირზე, ინვესტიციების მოზიდვაზე.

— ის კანდიდატები, რომლებიც ამას ამბობენ, ხალხს თვალში ნაცარს აყრიან. თუ ასეთი კავშირები ჰქონდათ, აქამდე სად იყვნენ? რატომ არ მოიზიდეს ეს ინვესტიციები საქართველოში? იაფფასიანი ქულების ჩაწერა უნდათ. აი, მე რომ პრეზიდენტი ვიქნები, უცხოელებს ფულს ჩავდებინებ ქართულ ფეხბურთშიო და სხვა ამგვარი. მანამდე გეჩვენებინათ, თქვე კაი ხალხო, თუ ამდენი შეგეძლოთ, სულ გაჭირვებაზე რომ ლაპარაკობდით. ეს არის სუფთა წინასაარჩევნო ხასიათის დაპირებები, პროგრამების არ იყოს. პროგრამას ვინ არ შეადგენს, მაგრამ შესრულებაა მთავარი.

— შეცვლით თუ არა სფფ-ს დღევანდელ სამტატო კონტინგენტს გამარჯვების შემთხვევაში?

— არ ვიქნები მართალი, რომ ვითხრათ კარდინალურ გარდატეხებს მოვახდენ-მეთქი. შესაცვლელი ძალიან ბევრია. ვინც მხრას აგვიბამს და გვერდში დაგვიდგება ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ, ის დარჩება, ხოლო მათთან ვინც ისევ ძველი სტილით და მეთოდებით მოინდომებს მუშაობას, განშორება მოგვიწევს. ფედერაციაში დღეს ბევრი კარგი სპეციალისტი მოღვაწეობს და სულელი უნდა იყო კაცი, ასეთი ხალხი რომ სამსახურიდან დაითხოვო. მთავარია, მუშაობის სტილის დახვეწა და მასში კორექტივების შეტანა.

— ბავშვთა ლიგის შექმნის იდეას როგორ უყურებთ?

— საერთოდ ბავშვთა ფეხბურთის განვითარების გარეშე ფეხბურთის წინსვლა წარმოუდგენელია. ყველაფერი იწყება ახალი თაობით. 35-ე სკოლა იყო ტალანტების სამჭედლო. საჭიროა, შეიქმნას ამგვარი ტიპის რამდენიმე საფეხბურთო სკოლა, სადაც პედაგოგებად ნამდვილი სპეციალისტები იმუშავებენ და არა შემთხვევითი ადამიანები. გვაქვს კარგი ფიზკულტურის აკადემია თავისი ნიჭიერი ხელმძღვანელობით, სადაც რიგიანი სელექციონერების მომზადება შეიძლება. მთ უნდა გამოარჩიონ ბავშვები სპეციალიზებული სკოლებისთვის და როცა საქართველოში რამდენიმე მაღალი დონის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა იარსებებს, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ ბავშვთა პროფესიული ლიგის ჩამოყალიბებაზე. კარგია დღეს საქართველოს ისეთი ლეგიონერები რომ ჰყავს, როგორებიც არიან: ქინქლაძე, ძმები არველაძეები, ქეცბაია, იაშვილი და სხვები, მაგრამ ამათი შემცვლელები ხომ უნდა მოვიდნენ ახალი თაობიდან. წინაადმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ ხეს იმ ტოტს ვჭრით, რომელზეც ვსხედვართ.

— ფეხბურთის მატჩების ტელეტრანსლაციაზე რას იტყვით?

— ვინაიდან დღეს საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობა სათანადო დონეზე ჯერ დგას, ჩემი აზრით, ფედერაცია დათმობაზე უნდა წავიდეს. ხალხს დღეს არანაირი გასართობი საშუალება არა აქვს. ქართველი კაცი ფეხბურთზე უზომოდაა შეყვარებული. სტადიონზე მოხვედრა კი, კარგად მოგეხსენებათ, ყველას არ შეუძლია. ამიტომ არ შეიძლება გულშემატკივარს ეს სიამოვნება წაართვა და ტელევიზიითაც არ აყურებინო მატჩებს. საქართველო-რუსეთის ნაკრებების თამაშის ტელეტრანსლაციაში ფედერაციამ მიზერული თანხა მოსთხოვა პირველ არხს. ეს სწორი გადაწყვეტილება იყო. თუმცა ყველაფერი უეფას წესდების განკარგულების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს.

— რამ გამოიწვია თქვენი თაობის მიმართ უყურადღებობა, რასაც ასე განიცდიან დღეს ვეტერანები?

— ეგ ამბავი პიროვნებებმა მოიტანეს. მე ვერ წარმომიდგენია, რომ კოლეგას, მნიშვნელობა არა აქვს ჩემს გვერდით უთამაშია მას თუ შემდგომი თაობიდან მოდის, ზედა ეშელონებში მოხვედრის შემდეგ დახმარება არ გავუწიო. ეს იქნება არაადამიანობა. სადაც არ უნდა იყო კაცი, ფედერაციაში თუ სპორტკომიტეტში, დაუშვებელია გულგრილად უყურო იმ ხალხს, რომელიც მინდორზე სასწაულებს სჩადიოდა, დღეს კი დაჩაჩანაკებული დადის — 10-15 ლარიანი პენსიის მოლოდინით. ამ ხალხმა ქართველ ერს უამრავი ბედნიერი წამი განაცდევინა, სიხარული აჩუქა. მათ ელემენტარული სითბო და ყურადღება სჭირდებათ. სირცხვილია ასეთი ადამიანები მშივრები დადიოდნენ.

— რომელ კანდიდატს დაუჭერთ მხარს არჩევნების პირველ ტურში დამარცხების შემთხვევაში?

— ამას წინათ „სარბიელში“ წავიკითხე ინტერვიუ ბატონ ნიკო ლეკიშვილთან. ის რომ დიდი სახელმწიფო მოღვაწე და კარგი პიროვნებაა, ეს აქამდეც ვიცოდი, მაგრამ ნუ მიწყენს ბატონი ნიკო და არ მეგონა, თუ ფეხბურთშიც ასე კარგად იქნებოდა ჩახედული. კითხვაზე, თუ ვის დაუჭერდა მხარს სფფ-ს პრეზიდენტის თანამდებობაზე, მან უპასუხა — იმას, ვინც კარგად იმუშავებს და საქმეს გააკეთებსო. აბსოლუტურად ვიზიარებ ბატონი ნიკოს პოზიციას. ხმას მივცემ იმას, ვინც დამარწმუნებს დასაბუთებული და ქართული ფეხბურთის საკეთილდღეოდ მიზანმიმართულად ჩამოყალიბებული კონცეფციის ჭეშმარიტებაში.

ხვიჩა სანიკიძე

საფრანგეთის საუკეთესო მოთამაშე გლდანში ისვენებს

საქართველოში ბურთიანი გუნდური თამაშებიდან ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ალბათ ფრენბურთია. ქვეყნის ჩემპიონატიც ძლივს ტარდება. ყოველივე ამის ფონზე შეიძლება გაგიკვირდეთ კიდეც, რომ საქართველოში აღზრდილი ფრენბურთელი გოგონა საფრანგეთის ჩემპიონი და თასის მფლობელია და ევროტურნირებზეც წარმატებით ასპარეზობს

ვიქტორია რავა — 23 წლის თბილისში დაბადებული უკრაინული წარმოშობის ეს გოგონა გლდანის რაიონში გაიზარდა. სწორედ გლდანში, რავების მყუდრო ოჯახში შევხვდით ჩვენს ლეგიონერს, რომელიც შვებულებითაა ჩამოსული თბილისში მძიმე და მომქანცველი სეზონის შემდეგ. საქართველოში ის მეუღლესთან, ასევე ფრენბურთელ ამირან ჯიოშვილთან ერთად დაბრუნდა. ამირანიც თბილისელია, ნაძალადეველი და ისიც უკვე მეორე სეზონია საფრანგეთში თამაშობს. ინტერვიუს ვიკასგან ვიწყებ და ჯერ მისი კლუბის შესახებ ვეკითხები:

— ვთამაშობ საფრანგეთის ქალაქ კანის „რასინგ კლუბში", რომელიც ქვეყნის ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში გამოდის. სეზონი ორ წრედ — შემოდგომა-გაზაფხულის სისტემით ტარდება და საკმაოდ მომქანცველია. ამას ემატება ქვეყნის თასის და ევროპული თასების მატჩებიც. 1995-96 წლების სეზონში ჩვენმა კლუბმა ქვეყნის ჩემპიონობაც მოიგო და ზასიც მოიპოვა. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში კი ოთხეულში მოვხვდით. მომდევნო წელს ისევ მოვიგეთ საფრანგეთის თასი, ჩემპიონატში მეორე ადგილი დავიკავეთ, ჩემპიონთა თასზე მესამე ვიყავით. წლევანდელ სეზონში მეტ წარმატებას მივაღწიეთ — დუბლის გაკეთება შევძელით: თასიც მოვიპოვეთ და ჩემპიონობაც. თასების თასზე ფინალში გავედით და დაძაბულ ბრძოლაში დავმარცხდით მოსკოვის ცსკა-სთან. 5 პარტიის თამაშმა მოგვიწია და ბოლოში ტაი-ბრეიკით წავაგეთ. მოსკოველთა გუნდში ჩინებულად ითამაშა ტანმაღალმა ოლგა პოტაშოვამ, რომელიც ამჟამად ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში.

— თქვენს კლუბში ბევრი ლეგიონერია?

— გუნდის ძირითად შემადგენლობაში 12 გოგონაა, ამათგან 10 ფრანგია, ერთი ჩინელია და ერთიც მე ვარ საქართველოდან. კლუბში ირიცხება კიდევ ორი უცხოელი, მაგრამ ბულგარელი და ჰოლანდიელი ჯერჯერობით მხოლოდ სათადარიგოთა შორის არიან. ყველაზე გამოცდილიც და ყველაზე ასაკოვანიც — 31 წლის, ჩინელი ზუ ხონგია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონიც იყო და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელიცაა. ჩვენი გუნდის სამი მოთამაშე საფრანგეთის ეროვნული ნაკრების წევრია, მათგან ერთი, გამთამაშებელი კარინ სალინასი ერთ-ერთი საუკეთესოა არა მარტო საფრანგეთში, არამედ ევროპაშიც.

— გავიგეთ, არაერთი საგანგებო პრიზით დაბრუნებულხართ თბილისში.

— მართალი უთქვამთ, წლის საუკეთესო მოთამაშის და სეზონის საუკეთესო თავდამსხმელის საგანგებო პრიზებით დამაჯილდოვეს. ამ უკანასკნელის გამოვლენა კომპიუტერით ხდება, მთელი სეზონის მანძილზე ითვლიან მოთამაშის ყველანაირ მონაცემებს. სეზონის საუკეთესო მოთამაშეს კი უმაღლესი ლიგის 12 გუნდის მწვრთნელები ასახელებენ გამოკითხვით.

ამირანი და ვიქტორია კანის ფესტივალის დახურვაზე

— უახლოეს მომავალს ამ კლუბს უკავშირებთ თუ...

— მეც და ამირანიც ალბათ ერთი-ორი სეზონი ჩვენს კლუბებში დავრჩებით, მერე იტალიის გუნდებში გვინდა გადასვლა. ყველა სხვა ევროპულ ქვეყანასთან შედარებით იტალიაში ფრენბურთი საკმაოდ მაღალ დონეზეა და გვსურს, იქ მოვსინჯოთ ძალა. მთავარი კი ესაა: რომ მოქალაქეობა არ შეგვიცვლია და არც ვაპირებთ, თუ გამოგვიმახვებენ, სიამოვნებით ვითამაშებთ საქართველოს ნაკრებშიც.

— როგორი საცხოვრებელი პირობები გაქვთ საფრანგეთში?

— საუცხო. კლუბის მფლობელები ფიქრობენ იმაზე, რომ არანაირმა ცხოვრებისეულმა პრობლემამ არ შეგვაწუხოს, რაც შეიძლება მეტი ვივარჯიშოთ და რაც შეიძლება უკეთ ვითამაშოთ. კანში მშვენივრად მოწყობილ ოროთახიან ბინაში ვცხოვრობთ, ორიანი ჰქვია, თორემ აქაურ სამოთახიანზე ბევრად მეტია ფართობით. მართალია, ამირანი მონაკოს გუნდში თამაშობს, მაგრამ ეს ორი ქალაქი ერთმანეთზეა გადაბმული, მხოლოდ ერთი შუქნიშანი ჰქოფთ. ამირანს „რენოს" მარკის ავტომანქანაც მისცეს, მეც მომცემდნენ, მაგრამ არც ტარება ვიცი და არც მართვის მოწმობა მაქვს.

— თავისუფალ დროს რას აკეთებთ?

— ქალაქიდან ქალაქში ძალიან ხშირი, მომქანცველი მოგზაურობები გვიწევს, ამიტომ ძირითადად ვისვენებთ ენერგიის აღსადგენად. ზაფხულობით პლაჟის ფრენბურთს ვთამაშობთ ხოლმე, ჩვენ ხომ საკურორტო ზონის ქალაქებში ვცხოვრობთ, სადაც ელიტარული საზოგადოება და უამრავი უცხოელი იკრიბება. ზოგს კანის კინოფესტივალი იზიდავს, ზოგსაც მონაკოს კაზინოები. ახლახან მთელი გუნდი დავესწარით კანის 51-ე კინოფესტივალის დახურვას.

— პლაჟის ფრენბურთი ახსენეთ. ამბობენ, საფრანგეთში ძალიან პოპულარულია...

— პლაჟის ფრენბურთი მართლაც საოცრად პოპულარულია ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი ზღვის და ოკეანის სანაპიროა. ამ მხრივ არც საფრანგეთია გამონაკლისი. ხომ გახდა კიდეც ოლიმპიური სახეობა და ატლანტის ოლიმპიადაზე შეჯიბრებაც ჩატარდა. თუ სათამაშო კლასის მიხედვით ვიმსჯელებთ, არსებობს მსოფლიო ლიგა, რომელშიც ძირითადად ამერიკის, კანადის, ბრაზილიის და ავსტრალიის გუნდები შედიან. სწორედ კვალიფიკაციის და მაიამის სანაპიროებზე იმართება შეჯიბრებები ყველაზე მაღალი საპრიზო ფონდებით. მართალია, ევროპაში ასეთი დონე არ არის, მაგრამ ევროპელებიც სისტემატურად მონაწილეობენ მსოფლიოს ჩემპიონატებში. მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება კი შესარჩევ ტურნირებში უნდა მოიპოვო, რომელთა გამართვის სისტემა ძალიან წააგავს ფეხბურთისას. არსებობს კიდევ მსოფლიო ტურის სერიალის თამაშები. აქ რაც მეტს თამაშობ, მით ურფო მატულობს რეიტინგი. ერთ-ერთი ასეთი ტურნირი წელს მარსელშიც ჩატარდა. თქვენ წარმოიდგინეთ, სულ რამდენიმე დღეში აიგო სტადიონი 20 ათას მაყურებელზე ასაწყობი კონსტრუქციებისგან. საპრიზო ფონდი ხანდახან მილიონ დოლარზე მეტია, ასე რომ, გამარჯვებულ მოთამაშეებს, გუნდში კი ორნი თამაშობენ, ხანდახან 250 ათასზე მეტი ხვდებათ. ბრაზილიელები არიან ამ სახეობაში ყველაზე ძლიერები მსოფლიოს ჩემპიონატიც მათ მოიგეს და ოლიმპიადაზეც გაიმარჯვეს. არის ასეთი ამერიკელი — კერჩ კირი, პლაჟის ფრენბურთით მილიონერი გახდა. ის ჯერ ჩოგბურთელი იყო, შემდეგ ფრენბურთს თამაშობდა დარბაზებში, მერე კი ამ სახეობას მიჰყო ხელი.

— ვიკა, საქართველოში თუ შეიძლება პლაჟის ფრენბურთის განვითარება?

— რასაკვირველია, შეიძლება, ოღონდ ამ საქმეს დიდი ფული და სათანადო პირობები სჭირდება. უნდა მოინახონ სპონსორები და სპორტსმენებმაც რაც შეიძლება მეტ ტურნირებში მიიღონ მონაწილეობა. მოედნების მოწყობა შეიძლება ფოთში, ურეკში. ქვიშის პლაჟი მინიმუმ 40 სანტიმეტრი სისქის უნდა იყოს. ქვედა ფენა, 20 სანტიმეტრი, უნდა დაიტკეპნოს. ზედა ფენა სუფთა ქვიშაა, ფრენბურთელები ხომ ფეხშიშველები თამაშობენ. შეიძლება ამერიკაში და კანადაში ვერ წავიდეთ საქართველოდან, მაგრამ მეზობლად, თურქეთში, ანთალიის სანაპიროზეც ტარდება ტურნირები.

— თქვენც ხომ არ აპირებთ პლაჟის ფრენბურთში გადასვლას?

— საკლუბო გუნდში უფრო მყარი საკონტრაქტო გარანტიებია, პლაჟის ფრენბურთში კი თავად უნდა გაიკვლიო გზა. 30 წლამდე ალბათ დარბაზებში ვითამაშებ, შემდეგ შეიძლება პლაჟზე თამაშშიც ვცადო ბედი.

ვიქტორიასთან საუბრის მერე მისი მეუღლის, ამირანის „ჯერიც დადგა"...

— საფრანგეთში წასვლამდე ჯერ თურქეთში ვთამაშობდი, შემდეგ ისრაელის საკლუბო გუნდში. ისრაელიდან რომ დაბრუნდი, ვიკაზე დაქორწინდი და მეც საფრანგეთში გავემგზავრე. შარშან კანის პირველი ლიგის კლუბ „ლეკანტენში" ვთამაშობდი, ეს გუნდი უმაღლეს ლიგაში გადასვლელად იბრძოდა. მაგრამ შუა სეზონში ძლიერი მოთამაშე, გამთამაშებელი გამოგვაკლდა და ველარ შეძელითთ მიზნის მიღწევა. წლევანდელი სეზონი მონაკოს კლუბ „ა.ს. მონაკოში" გავატარე, მასთან კონტრაქტი შარშან ზაფხულში გავაფორმე და ახლა წამოსვლის წინ კიდევ ერთი სეზონით გავაგრძელე. ეს კლუბიც პირველ ლიგაში ასპარეზობდა და წელს უმაღლესში ასპარეზობის უფლება მოვიპოვეთ. ამ გუნდში მხოლოდ მე ვარ უცხოელი, დანარჩენები ფრანგები არიან.

ვიქტორია რავასთვის პრიზების მიღება ჩვეული საქმეა

— ფრანგული ვაჟთა ფრენბურთის დონე როგორია?

— საკმაოდ მაღალი. 12 გუნდი თამაშობს უმაღლეს ლიგაში. ამათგან მხოლოდ ორია პარიზისა. წელს ჩემპიონი დედაქალაქის უნივერსიტეტის გუნდი გახდა. თასის გათამაშება კიდევ უფრო დაძაბულია. მასში სამივე ლიგის გუნდები ასპარეზობენ. ჩვენ წელს უმაღლესი ლიგის სამ კლუბთან მოგვიწია თამაშმა, ერთი წავაგეთ, მერე გრენობლის გუნდს მოვუგეთ, კუნძულ კორსიკის საკლუბო გუნდ „აჯაქსიოსთან" კი მსაჯებმა წაგვაგებინეს. თუ როგორი დაძაბული თამაში იყო, ამაზე ანგარიშიც მეტყველებს 22:24.

— გავიგეთ, წამოსვლის წინ ერთ-ერთი იტალიური კლუბი გეპატიჟებოდათ.

— კი, იყო ერთი იტალიური კლუბის მენეჯერი ჩამოსული, მაგრამ უარი ვუთხარი. ერთი-ორი წელი საფრანგეთში თამაში ნამდვილად მჭირდება კლასის ასამაღლებლად. მოკლედ, არც კანიდან და არც საფრანგეთიდან წასვლა ჯერ არ მინდა, ხოლო თუ პარიზის ან სხვა რომელიმე ქალაქის ძლიერი კლუბი უკეთეს პირობებს შემომთავაზებს, შეიძლება გადავიდე კიდეც.

— როდის ბრუნდებით საფრანგეთში?

— თბილისში შუა ავგისტომდე დავრჩებით. სეზონი იქ ოქტომბერში იწყება, მანამდე პლაჟის ფრენბურთის ვითამაშებ.

ვემშვიდობები რავების სპორტულ ოჯახს. ვიკას ტანმაღალი მშობლებიც, ანატოლი და ლუდმილა, თავის დროზე ფრენბურთელები იყვნენ და საქართველოს ნაკრებშიც თამაშობდნენ. ფრენბურთს თამაშობდა მათი უფროსი ქალიშვილი ნატაშაც, რომელმაც თბილისში ჩამოსულ დს სურპრიზი დაახვედრა: ოჯახი კიდევ ერთი სპორტსმენით შეივსო, ნატაშა ცოლად გაჰყვა საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების მეკარეს როლანდ ერაძეს, რომელიც თავის მხრივ ამირანის დიდი ხნის მეგობარია.

ზურაბ ტაბატაძე

საქართველოს ჩემპიონატი

გუშინ ბაკურიანში გამართული „გუმარ" — „ექსპრესის" შეხვედრა, წესით და რიგით, გუშინწინ უნდა შემდგარიყო, მაგრამ ჩვენი მოუწყობელი და გაჭირვებული ყოფის გამო მატჩს ვინ ჩივის, ეროვნული პირველობა დაგვიდგა შეწყვეტის საფრთხის წინაშე. საქმე ისაა, რომ გუნდებს საწევროები არ ჰქონდათ გადახდილი, თუმცა ამასაც მოევლო, როგორც იქნა.

გუმარი: ექსპრესრევანში ექსპრესთან

გუმარი 7:6 ექსპრესი

გუმარი: 1 ლ. აბაშიძე 1 გ. ურჯუკაშვილი
ექსპრესი 2 ს. კვინიხიძე

ამ შეხვედრის დაძაბულობაზე ანგარიშიც მეტყველებს. „გუმარს" გულით ეწადა, რევანში აეღო ოთხი დღის წინანდელი მარცხისთვის. აკი შეძლო კიდეც ამის გაკეთება და დამსახურებულადაც. მატჩის საწყის ათ წუთში მცირე უპირატესობა გუმარელებისა იყო, მე-15 წუთიდან კი ხუთწუთიანი შტურმი მოაწყვეს მეტოქის ლეღლოსთან, მაგრამ ხეირს ვერ ეწევნენ. მე-20 წუთზე ურჯუკაშვილს მიეცა ანგარიშის გახსნის შანსი, მაგრამ მისი დარტყმული ასცდა მიზანს. საერთოდ, ამ დღეს დამრტყმელები ვერ იყვნენ იშტაზე. ხუთ წუთში საპირისპირო კართან დანიშნული საჯარიმო ზუსტად შეასრულა კვინიხიძემ. ორიოდ წუთში ურჯუკაშვილმა ახლა უკვე ანგარიშის გათანაბრების შანსი ვერ გამოიყენა. ტაიმის ბოლოს კი ექსპრესელთა შეცდომით აბაშიძემ ისარგებლა და ლელოც გაუტანა. მახო ურჯუკაშვილმაც ამჯერად ზუსტად გარდასახა.

მეორე ტაიმის დასაწყისშივე მახომ კიდევ ერთი საჯარიმო გააცუდა. ტაიმის შუაწელისთვის ექსპრესელი კობახიძე გაძევეს 10 წუთით მსაჯთან კამათისთვის, რითაც „გუმარს" ანგარიშის გაზრდის შანსი მიეცა, მაგრამ 14 კაცით მოთამაშე „ექსპრესს" ვერაფერი მოუხერხა. ის კი არა, კვინიხიძეს რომ გამოეყენებინა ორი საჯარიმო მატჩის მიწურულს, „გუმარი" რევანშს ვერ ელირსებოდა.

პაატა თოთაძე

ფყალმოხილამურები

ფოთი ახსოვთ, ფოთი გვახსოვს

მას შემდეგ, რაც 1991 წელს ფოთმა წყალმოთხილამურეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა და ჩინებულადაც ჩაატარა ეს მეტად პრესტიჟული ასპარეზობა, შვიდმა წელმა განვლო, მაგრამ მოგონება იმ ლამაზი დღეებისა დარჩა და მოსვენება დაუკარგა საქართველოს წყალსათხილამურო ფედერაციის პრეზიდენტს რომან მელიას. წლის დამდეგს ნორვეგიაში გამართულ ამ სახეობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესზე რომან მელიამ ევროპელ ჩინოსნებს 22-28 ივლისს ფოთში საერთაშორისო ტურნირის გამართვა შესთავაზა და მათგან დასტურიც მიიღო. ასე რომ, ივლისის ბოლოს ფოთი დიდ სტუმრიანობას ელის და კოლხებიც გამალებით ემზადებიან სტუმართა დასახვედრად.

მთავრდება ტერიტორიის კეთილმოწყობა, ცენტრალურ ტრიბუნაზე გამოიცვლება სკამები, ტრიბუნების ქვემოთ 50-ადგილიანი სასტუმრო მოეწყო, სადაც ასპარეზობის მონაწილენი და მსაჯები დაბინავდებიან. რაც შეეხება ტაბლოს, რომელიც მალთაყვის სპორტკომპლექსის მშვენება გახლდათ, უახლოესი წარსულის მსხვერპლი გახდა და მის აღდგენას 150 ათასი ლარი სჭირდება.

ტურნირში მონაწილეობაზე 20 ქვეყნის წყალმოთხილამურეებმა განაცხადეს თანხმობა და ოფიციალური დასტურიც გამოაგზავნეს. მათ შორის იქნებიან საერთაშორისო ასპარეზობათა მრავალგზის გამარჯვებული, ავსტრიელი დანიელ დობრინგერი, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, რუსი ელენა მილაკოვა და მრავალი სხვა. ინტენსიურად ემზადება საქართველოს ნაკრებიც და მისი ლიდერი გენადი გურალია.

ფოთის პორტში ორ ამერიკულ კატარღა „მასტერკრაფტს" ელიან, რომლებიც ამერიკელებმა 25-პროცენტიანი ფასდაკლებით მოგვყიდეს ეს ფირმა დღესდღეობით მსოფლიოში საუკეთესო კატარღების დამამზადებლად ითვლება. მაშ ასე, 22 ივლისიდან ფოთი „ოქროს ტბის ოსტატებს" უმასპინძლებს.

ბიძინა დარჩია

გასეირნება რეიტინგ-ლისტებში

მსოფლიოში ფეხბურთის ბუმია. ფეხბურთმა დაჩრდილა ყველა და ყველაფერი. საითაც უნდა გაიხედო, დიდ-პატარას რონალდო, შუკერი ან ოუენი აკერია პირზე. მიუხედავად ამისა, მოგეხსენებათ, სპორტის სხვა სახეობებიც არსებობს და, ალბათ, „სარბიელის“ მკითხველი ორიოდე წუთს მაინც მოიტოვებს იმის გასაგებად, თუ რა ხდება დღეს მსოფლიო ჭადრაკში...

წელიწადში ორჯერ, იანვარსა და ივლისში, ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია (ფიდე) აქვეყნებს მამაკაცთა და ქალთა რეიტინგ-ლისტებს, რომლებშიც აისახება თითოეული მოჭადრაკის ნაღვაწი ნახევარწლიანი პერიოდის განმავლობაში. ტრადიცია არც ამჯერად დარღვეულა, პირიქით, ჭადრაკის მოყვარულებმა მესამე რეიტინგ-ლისტიც ვიხილეთ, რაც, როგორც მკითხველი მიხვდებოდა, ელიტარულ საჭადრაკო სამყაროში მომხდარ დიდ განხეთქილებას უკავშირდება. მარად მეამბოხე გარი კასპაროვმა და მისმა ფინანსურმა მოძღვარმა, ფულმრავალმა ლუის რენტერომ, ეტყობა, იფიქრეს, თხა თხაზე ნაკლები მგელსაც შეუჭამიაო და აგერ უკვე მეორედ კომპიუტერზე დამუშავებული რეიტინგ-ლისტის საკუთარი ვერსია გამოუშვეს. პროფესიული საჭადრაკო ასოციაციის (პსა) ზემონახსენები მესვეურები ქალთა ჭადრაკს ფრიად სკეპტიკურად უყურებენ და ამიტომ მშვენიერთა სქესისთვის ცალკე სიის შედგენით სრულიად არ შეუწუხებიათ თავი. 50 საუკეთესო მამაკაცს შორის ქალთაგან ერთადერთი იუდით პოლგარი თუ გაილანდა, თორემ დანარჩენები, მგონი ასეულშიც კი ვერ მოხვდნენ.

ფიდე-ს რეიტინგ-ლისტში იანვრის რეიტინგებთან შედარებით რაიმე კოლოსალური ძვრები არ შეინიშნება, თუმცა განსხვავება საგრძნობია. მოსალოდნელზე ნაკლებად წაიწია წინ ალექსეი შიროვმა (მე-8-დან მე-6 ადგილზე), არადა, მისი პროგრესი მიმდინარე წელს ფანტასტიკურია. ამ სიტუაციის მიზეზი იქნებ ისიც იყოს, რომ შიროვმა წარმატებებს ძირითადად პსა-ს ეგიდით მიაღწია, რაც ასოციაციის რეიტინგში სათანადოდაც დაუფასებიათ: აქ შიროვი მესამე ადგილზეა და კაცმა რომ თქვას, ესეც ცოტაა კაცისთვის, რომელიც შემოდგომაზე პსა-ს ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონობისთვის კასპაროვს უნდა შეებას. ხოლო საერთოდ, ეს რეიტინგ-ლისტი რომ საფრთხილო საქმეა, 5 ივლისს დორტმუნდში დასრულებულმა მე-18 კატეგორიის სუპერტურნირმაც დაადასტურა, რომელშიც „წლის გმირად“ აღიარებულმა შიროვმა სრული ფიასკო განიცადა. აბა, სხვა რა უნდა ეწოდოს 2,5 ქულას და ბოლო, მე-10 ადგილს. გამარჯვება კი პსა-ს პრეტენდენტმა ტურნირში სწორედ შიროვისგან ძლეულმა ვლადიმერ კრამნიკმა იზეიმა, 6 ქულით. კრამნიკმა პირად ორთაბრძოლაშიც შემუსრა მისი უწინდელი მძლეველი და ამგვარად არასრული, მაგრამ მაინც რევანში აიღო.

უჩვეულოდ სუსტად ითამაშა რეიტინგის ორივე ვერსიით მსოფლიოს მეორე მოჭადრაკემ ვიშვანათან ანანდმა, რომელმაც ბარე ხუთი კაცი გაუშვა წინ. მოდი და ამის მერე არკვიე, ვინ ვისზე მაგარია!..

გარდა ნათქვამისა, ფიდე-ს რეიტინგში საყურადღებოა გატა კამსკის უცვლელი მე-7 ადგილი, თუმცა დიქტატორი მამა მას უკვე საერთოდ აღარ ათამაშებს, აგრეთვე ბელიავსკისა და ტოპალოვის საგრძნობი რეგრესი. რაც შეეხება პსა-ს რეიტინგ-ლისტის პირველ ათეულს, აქ ყველაზე მეტად კარპოვისადმი უპატივცემულობა იქცევს ყურადღებას, რომელიც უბოდიშოდ განუთავსებიათ მე-8 ადგილზე.

მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობა განსაკუთრებული ინტერესით ელოდა ფიდე-ს ახალ რეიტინგ-ლისტში კოლორიტულსახელიანი თურქმენის, ბაბაკული ანანკოვის შედეგს. ამ 25 წლის პიროვნებას 1997 წლის ივლისამდე საერთოდ არაფრით გამოუჩენია თავი, იმდენად არაფრით, რომ მის გვარს 2000 საუკეთესოს შორისაც კი ვერ იპოვიდით. არ ვიცით, შემდეგ რა მოხდა, მაგრამ ბაბაკულიმ ერთბაშად აიწყვიტა და ნახევარ წელიწადში საუკეთესოთა ასეულში ამოყვინთა, 98-ე ადგილზე. მიმდინარე წლის პირველი ნახევრისთვის კი მისმა მოტორმა ეტყობა, სერიოზული ცვლა განიცადა, თურქმენმა წინსვლა მხოლოდ ინერციით განაგრძო და ჯერჯერობით 85-ე პოზიციაზე დამკვიდრდა. ამგვარად, მავანთა პროგნოზი ახალი კრამნიკის ან სვიდლერის გამოჩენის შესახებ ნაადრევი გამოდგა. თუმცა, ვინ იცის...

ახლა რაც შეეხებათ ქართველებს. ფიდე-ს პირველ ასეულში უწინდებურად სამი ქართველია. მათგან ზურაბ აზმაიფარაშვილი და გია გიორგაძე ნელა, მაგრამ შეუპოვრად და სტაბილურად მიიწევენ რეიტინგ-ლისტის სათავეებისკენ. იანვრის რეიტინგს ორივემ 5-5 ქულა შემატა და ამის წყალობით აზმაიფარაშვილი სამი ადგილით დაწინაურდა, გიორგაძე — ექვსით. 5 ქულა მიემატა ზურაბ სტურუასაც, თუმცა იგი თავის უწინდელ, 87-ე ადგილზე დარჩა. კიდევ უფრო დიდია აზმაიფარაშვილის მიღწევა პსა-ს რეიტინგ-ლისტში, რაშიც თქვენ წერილის ბოლოს დარწმუნდებით.

ქალთა რეიტინგ-ლისტს თუ გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აქ უწინდებურად პოლგარების დინასტია მეფობს: პირველი იუდითია, მეორე — მსოფლიოს ჩემპიონი ჟუჟა, ხოლო სოფია მეექვსე გახლავთ. მესამე პოზიციაზე აღზევდა ალისა გალიამოვა-ივანჩუკი, რომელიც ამჟამად მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტია და მალე ჟუჟა პოლგარს უმაღლეს ტიტულს შეეცილება. საუკეთესოთა ათეულში, სამწუხაროდ, უწინდებურად მხოლოდ ორი ქართველია: მაია ჩიბურდანიძე მეოთხეა, ნანა იოსელიანი — მერვე.

ნეტავი იმ დროს, როცა ფიდე-ს რეიტინგ-ლისტებში საპრიზო ადგილებზე არაქართული გვარის ჭაჭანებაც კი არ იყო და მსოფლიოს ჩემპიონატების ფინალებიც ოდენ „ქართული საქმე“ იყო! მაგრამ არაუშავს, მოვა დრო და მომენტი!...

მეზობელ სვეტში კი გაეცანით მამაკაცთა რეიტინგ-ლისტების საუკეთესო ათეულებს ფიდე-ს და პსა-ს ვერსიებით, აგრეთვე მათში ქართველ მოჭადრაკეთა შედეგებს.

დავით გულუა

ფიდე-ს ვერსია

1.	კასპაროვი	2815
2.	ანანდი	2795
3.	კრამნიკი	2780
4.	ივანჩუკი	2730
5.	კარპოვი	2725
6.	შიროვი	2720
7.	კამსკი	2720
8.	ადამსი	2715
9.	სვიდლერი	2710
10.	ტოპალოვი	2700
...		
24.	აზმაიფარაშვილი	2655
...		
59.	გიორგაძე	2610
...		
87.	სტურუა	2600

პსა-ს ვერსია

1.	კასპაროვი	2808
2.	ანანდი	2778
3.	შიროვი	2735
4.	კრამნიკი	2731
5.	კამსკი	2701
6.	ივანჩუკი	2696
7.	სვიდლერი	2688
8.	კარპოვი	2687
9.	ადამსი	2677
10.	ბარეევი	2674
...		
22.	იუდით პოლგარი	2635
23.	აზმაიფარაშვილი	2634
...		
38.	იონა ქოსაშვილი (ისრაელი)	2607

ყველაფერი აქედან დაიწყო

ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორია სწორედ „სილვერსტოუნზე“ გამართული რბოლით დაიწყო 1950 წელს. მას შემდეგ ბრიტანეთი უცვლელად მასპინძლობს ჩემპიონატის ერთ-ერთ ეტაპს. ეს ტრასა ერთ-ერთი უსწრაფესია მსოფლიოში და ამიტომაც გამარჯვებისთვის მძლავრი მოტორებისა და საუკეთესო შასის მქონე გუნდები იბრძოლებენ. ამ მიზეზის გამო უპირველესი ფავორიტები „მაკლარენი“ და „ფერარი“ არიან. წინა ეტაპზე გამარჯვებით შუი საგრძნობლად მიუახლოვდა ჰაკინენს და ამ უკანასკნელს სხვა არაფერი დარჩენია გამარჯვების გარდა, რათა ოდნავ მაინც მოსწყდეს აბეზარ მდევარს. ქულების მოპოვების საუკეთესო შანსი აქვთ „უილიამსის“ და „ბენეტონის“ პილოტებსაც. თანაც, თუ ამათ წელსაც, შარშანდელივით, „ფერერისა“ და „მაკლარენის“ ტექნიკურმა გაუმართობამ შეუწყო ხელი, ეს გუნდები გამარჯვებისთვისაც იბრძოლებენ.

სილვერსტოუნზე „ბენეტონი“ 260-ედ გამოვა სტარტზე, „უილიამსი“ — 325-ედ, ჰაკინენისთვის ეს 105-ე რბოლა იქნება, ბარიჩელოსთვის — 90-ე, როსეტისთვის — 25-ე.

რბოლის მომდევნო დღეს ტრულის 24 წელი შეუსრულდება.

FIA FORMULA 1 WORLD CHAMPIONSHIP

ფორმულა 1
IX ეტაპი
ბრიტანეთის დიდი პრიზი

სილვერსტოუნი. 12 ივლისი. ტრასის სიგრძე: 5.140 კმ
რბოლის დისტანცია: 60 წრე 308.406 კმ
რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე



1997 წლის შედეგები

1. *ვილნევი* (უილიამს-რენო) 1.28.01,665 (206.703 კმ/სთ)
2. *ალეზი* (ბენეტონ-რენო) ჩამორჩა 10.205 წამით
3. *კურცი* (ბენეტონ-რენო)
4. *კულჰარდი* (მაკლარენ-მერსედესი)
5. *რ. შუმახერი* (ჯორდან-ჰეიო)
6. *ჰილი* (ეროუს-იამაჰა)

პოული: *ვილნევი* (უილიამს-რენო) 1.21,598 (226.770 კმ/სთ)
საუკეთესო წრე: *შუმახერი* (ფერარი) 1.24,475 (219.047 კმ/სთ)

წინა წლების გამარჯვებულები

1996 *ვილნევი* (უილიამსი)	1994 *ჰილი* (უილიამსი)
1995 *ჰერბერტი* (ბენეტონი)	1993 *პროსტი* (უილიამსი)

ბორისს „პოლსტა“ სწყურია

გშტაადი. შვეიცარიის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 550 ათასი $

თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანსა და უიმბლდონის სამგზის ჩემპიონ ბორის ბეკერს 49 ტურნირი აქვს მოგებული, მაგრამ თიხნარზე გამარჯვება ერთხელაც არ უზეიმია. არა, ბორისს წითელ კორტებზე გარჯის არასოდეს ეშინოდა. ამის დასტურად როლან გაროსის სამი ნახევარფინალიც გამოდგება, მაგრამ იმ ბოლო, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმას ვერასოდეს ახერხებდა. ასე მოხდა, მაგალითად, 1995 წლის მონტე კარლოს პირველობის ფინალში, სადაც მაშინდელ თიხნარის მეფე ტომას მუსტერთან მატჩ-პოინტიც კი ჰქონდა, მაგრამ ტიტულის ნაცვლად ხელში ორმაგი შეცდომა შერჩა.

გშტაადში 30 წლის გერმანელს კარიერის მიწურულს თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსი ეძლევა — ზღვის დონიდან 1200 მეტრით მაღლა მდებარე კურორტზე ბურთი თითქმის ისეთივე სისწრაფით მოძრაობს, როგორც ჰარდის კორტებზე, რაც მძლავრი მოწოდების პატრონი ბეკერისთვის პირდაპირ მისწრებაა.

მერვედფინალში ბორისის მეტოქე წლევანდელი როლან გაროსის ნახევარფინალისტი, ტურნირზე მეოთხედ განთესილი სედრიკ პიოლინი იყო. ფრანგს ამ მატჩში გამარჯვება თითქოს თავიდანვე არ ეწერა — ერთი მხრივ, გერმანელთან ექვსივე პირადი შეხვედრა ჰქონდა წაგებული, მეორე მხრივ, გშტაადში შვიდჯერ ასპარეზობის მიუხედავად, მეორე წრეს ერთხელაც არ გაცდენოდა. ბეკერს ეს ორი წელია, სისწრაფე მნიშვნელოვნად კი დაკლდა, მაგრამ ძალა, კლასი და თავდაჯერება ბარე ორი ჩოგბურთელისა აქვს შერჩენილი: პიოლინს 11 ეისი მოუწოდა, ბადესთანაც მშვენივრად გაისარჯა, იქეთ ფსიქოლოგიურად ერთ-ერთ სუსტ ჩოგბურთელად აღიარებულმა ფრანგმა მნიშვნელოვან მომენტებში იოლი სმაშები ააცილა და 7:6 (7:2), 7:5 გერმანელმა მოიგო. „დღეს ამ სეზონის საუკეთესო მატჩი ჩავატარე, რაც ჩემთვისაც კი მოულოდნელი აღმოჩნდა, არა მგონია, ამაზე ბევრად უკეთ თამაში შემეძლოს. თუ ისევე წამივა მოწოდებები, როგორც დღეს, გარკვეული შანსი მართლაც მაქვს, მაგრამ ტურნირის მოგებამდე ჯერ კიდევ შორსაა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ ბეკერმა.

მოიგო გერმანიის დევისი თასის ნაკრებში ბეკერის თანაგუნდელმა ნიკოლას კიფერმაც (8). 21 წლის ნიჭიერი, მაგრამ თავქეიფა „კივი“ (კიფერის ზედმეტსახელია) მეორე წრეში ესპანელ ხულიან ალონსოს ხვდებოდა და, მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი დედისა და გერმანელი მამის პატრონს შვეიცარიაში თავი ისე უნდა ეგრძნო, როგორც საკუთარ სახლში, მოულოდნელად აღმოაჩინა, რომ მაყურებლები მის მეტოქეს უფრო უჭერდნენ მხარს. ასე გამოადგა 20 წლის ალონსოს მსოფლიოს პირველი ჩოგნის, მარტინა ჰინგისმ ბოიფრენდობა, თუმცა საბოლოოდ მარტო ქომაგობა და 220 კმ-სთ სიჩქარის მოწოდებები გამარჯვებისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა და მეოთხედფინალში მაინც კიფერი გავიდა 6:3, 3:6, 6:1.

მეორე წრე: მარსელო რიოსი (1, ჩილე) — ლუკას არნოლდი (არგენტინა) 6:4, 6:1; ალექს კორეტხა (3, ესპანეთი) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 6:3, 7:5; ფელიქს მანტია (5, ესპანეთი) — ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) 6:4, 0:6, 6:2; ალბერტ კოსტა (6, ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6 (7:3), 6:3; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) 2:6, 6:4, 6:4; ფილიპ დეკულფი (ბელგია) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 3:67 7:5, 6:3

ბორის ბეკერი ისევ ჯანზეა

ნიუპორტი. აშშ. დიდების დარბაზის ჩემპიონატი. ტარდება ბალახზე. საპრიზო 315 ათასი $

ნიუპორტში სეზონის უკანასკნელი ბალახის ტურნირის მეორე წრეში ერთი საინტერესო მატჩი შედგა — პირველად განთესილი ავსტრალიელი ჯეისონ სტოლტენბერგი თავისივე თანამამამულე, 17 წლის ლეიტონ ჰიუიტს შეხვდა. იანვარში იგივე მეტოქეები ადელაიდის პირველობის ფინალში დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. მაშინ პატარა ოზმა გამოცდილი კოლეგის დამარცხება და კაცთა ჩოგბურთის ისტორიაში მაიკლ ჩანგის შემდეგ ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებულად ჩაწერაც მოახერხა. თუმცა ეს შეხვედრა სხვაგვარი სცენარით წარიმართა — სტოლტენბერგმა პირველ სეტში მეტოქეს ერთადერთი გეიმი დაუთმო, მეორეში კი 0:3 ჩამორჩენის შემდეგ ორი ბრეიკ-პოინტი ეისებით გადაარჩინა და საათზე ოდნავ მეტში 6:1, 6:3 მოიგო.

„მე ბალახზე თამაშის დიდი გამოცდილება მაქვს, ის კი ჯერ კიდევ დამწყებია, ზედმეტ მოუთმენლობას იჩენდა“ — განაცხადა სტოლტენბერგმა.

მეორე წრეში ერთბაშად რამდენიმე ფავორიტი გავარდა, მათ შორის ტურნირის შარშანდელი ჩემპიონი და მეოთხედ განთესილი სომეხი სარგის სარგსიანიც, რომელმაც გერმანელ რაინერ შუტლერთან წაგო 2:6, 7:6 (7:0), 4:6.

მეორე წრე: ლორანს ტილმანი (იტალია) — მარკ ვუდფორდი (2, ავსტრალია) 4:6, 6:3, 6:2; ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — ჯეფ ტარანგო (3, აშშ) 3:6, 6:1, 7:6 (7:4); ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — სკოტ დრეიპერი (6, ავსტრალია) 6:4, 7:5; იონ ვან ლოტუმი (7, ბელგია) — დევიდ უიტონი (აშშ) 7:5, 1:6, 6:3

პრაღა. ჩეხეთის ღია პირველობა. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 165 ათასი $

მეორე წრე: იანა ნოვოტნა (1, ჩეხეთი) — რადკა ბობკოვა (ჩეხეთი) 6:2, 7:6 (7:3); სანდრინ ტესტიუ (2, საფრანგეთი) — დენიზა ხლადკოვა (ჩეხეთი) 7:6 (8:6), 7:5; ნატაშა ზვერევა (4, ბელარუსი) — მიქაელა პასტიკოვა (ჩეხეთი) 7:5, 3:6, 6:1; ჰენრიეტა ნაგოვა (5, სლოვაკეთი) — ანა სმეშნოვა (ისრაელი) 7:5, 4:6, 6:4; სილვია ფარინა (6, იტალია) — ასა კარლსონი (შვედეთი) 7:5, 4:6, 6:1; სარა პიტკოვსკი (საფრანგეთი) — რუქსანდრა დრაგომირი (7, რუმინეთი) 7:5, 6:3; ამელი მორესმო (8, საფრანგეთი) — ელენა მაკაროვა (რუსეთი) 7:5, 6:1

ავთანდილ სვანიძე

გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა), დავორ შუკერი (ხორვატია)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა), რონალდო (ბრაზილია)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია), პატრიკ კლუივერტი (ჰოლანდია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიკტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია), კლაუდიო ლოპესი (არგენტინა), რობერტ იარნი (ხორვატია), გორან ვლაოვიჩი (ხორვატია)

ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

წითელი ბარათები

ჰოლანდია — ნუმანი
საფრანგეთი — ბლანი

ყვითელი ბარათები

ხორვატია — სიმიჩი — 2, სოლდო, ბობანი, ბილიჩი, შუკერი, ასანოვიჩი, სტანიჩი
ბრაზილია — სეზარ სამპაიო — 2, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალდაირი, ზე კარლოსი
საფრანგეთი — გივარში, დეშამპი
ჰოლანდია — სტამი, რაიციგერი, დავიდსი, ჰოიდონკი, ზეედორფი

ნუგეში უიღბლო ქომაგთათვის

ფანებს, რომლებიც კვირისთვის დანიშნულ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალზე დასწრებას ვერ მოახერხებენ, მაინც ეძლევათ შანსი, ამ დაუვიწყარი ორთაბრძოლის ერთგვარი უშუალო მონაწილენი გახდნენ. საქმე ისაა, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორთა გადაწყვეტილებით ფინალური შეხვედრის შემდეგ „სტად დე ფრანსის“ მინდორს პატარა ნაწილებად დაჭრიან და საკმაოდ შეღავათიან ფასებში გაყიდიან.

როგორც ცნობილი გახდა, სტადიონის მინდორი 5 კვადრატული სანტიმეტრის ოდენობის კუბებად დაიჭრება და თითოეული 120 ფრანკი (დაახლოებით 20 დოლარი) ეღირება. საგულისხმოა, რომ რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი ფრანგული გაზეთის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ორგანიზატორები მთელი 9 ათასი კვადრატული მეტრი ფართობის მქონე გაზონის გაყიდვას აპირებდნენ, თუმცა არც მთლად ასე ყოფილა საქმე. მავანი ფრანგი დიდმოხელის განცხადებით, სენ დენი მხოლოდ ათი კვადრატული მეტრი ფართობის მინდორს მოისაკლისებს, რომლის გაყიდვასაც სტადიონის მესვეურნი უახლოესი ორი-სამი კვირის მანძილზე ვარაუდობენ.

REUTERS ოზურ ლა ფერიედან

მტაზილიელები ოსუნჯიმის სასიათზე არიან, აქეთ რომერიო ჯარლოსი თანაეთანგელ დენილსონს იოგამი აკარჯიმემს, იქით რონალდო თავში მუტის ჯთავაზემს.
მოკლედ სამხრეთამერიკელები დღევანდელით ცსოვრიმენ, სვალემ ითქიქოს სვალისაი, ის აღარ კმარა, თინაღის დღე რომ დადგემა და სუმრომის დრო აღარ იქნემათ?

ფიფას სიმბოლური ნაკრები

FRANCE 98

ფიფამ მსოფლიოს ჩემპიონატზე აქამდე ჩატარებული შეხვედრების გათვალისწინებით ტურნირის 16-კაციანი სიმბოლური ნაკრები შეადგინა სარეზერვო შემადგენლობით. ამ გუნდის შექმნაში მრავალი ცნობილი ფეხბურთის სპეციალისტი მონაწილეობდა, მათ შორის, ტოტალური ფეხბურთის ფუძემდებელი, ჰოლანდიელი რინუს მიხელსი და სლოვაკი იოჟეფ ვენგლოსი. როგორც მოსალოდნელი იყო, ნაკრებში ყველაზე მეტი წარმომადგენელი ფინალისტებს, ბრაზილიასა და საფრანგეთს ჰყავთ — ოთხ-ოთხი. სამი ფეხბურთელი ჰოლანდიელია, ორი კი დანიელი. ინგლისელთაგან „ოცნების გუნდში“ მხოლოდ ერთი კაცი მოხვდა, იხიც სათადარიგოთა შორის. საინტერესოა, რომ არც ერთი მოთამაშე არ არის მსოფლიოსა და ევროპის სამგზის ჩემპიონის, გერმანიის ნაკრებიდან.

გუნდის შემადგენლობა

მეკარეები

ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი), ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი)

მცველები

მარსელ დესაი (საფრანგეთი), ფრანკ დე ბური (ჰოლანდია), რობერტო კარლოსი (ბრაზილია), ლილიან ტურამი (საფრანგეთი), კარლოს გამარა (პარაგვაი)

ნახევარმცველები

ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), დუნგა (ბრაზილია), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), რივალდო (ბრაზილია), ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)

თავდამსხმელები

დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), ბრაიან ლაუდრუპი (დანია), რონალდო (ბრაზილია), დავორ შუკერი (ხორვატია)

სათადარიგოები

ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია), ტიერი ანრი (საფრანგეთი), ჯეი ჯეი ოკოჩა (ნიგერია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ხუან ვერონი (არგენტინა), კრისტიან ვიერი (იტალია)

ფეხბურთი გიგანტურ ეკრანებზე

მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გაითვალისწინეს ხვალინდელი ფინალით გამოწვეული ინტერესი და კვირას სენ დენიზე ვერმოხვედრილ გულშემატკივრებს სიურპრიზი მოუწყვეს. მოგეხსენებათ, მასპინძელთა ნაკრები გუნდის ფინალში გასვლამ პირველობის გადმატყვეტ მატჩს კიდევ უფრო მეტი ინტრიგა შესძინა და აქედან გამომდინარე, უამრავი ქომაგი მოისურვებს საფრანგეთი — ბრაზილიის შეხვედრის უშუალოდ ხილვას. თუმცა ისიც ცხადია, რომ „სტად დე ფრანსზე“ მხოლოდ მმ ათასი იღბლიანი შეაღწევს. აი, დანარჩენები კი...

პარიზის მერიის წარმომადგენლის განცხადებით, ის გულშემატკივრები, რომლებიც ფინალურ მატჩზე დასასწრებ ბილეთებს ვერ იშოვიან, შინ გაწბილებული მაინც არ წავლენ. საგანგებოდ მათთვის ორგანიზატორებმა საფრანგეთის დედაქალაქის ოთხ გამორჩეულ ადგილას გიგანტური ეკრანები დაამონტაჟეს, სადაც კვირას თამაშის ტრანსლირება მოეწყობა. ერთი ეკრანი პარიზის მერიის შენობასთან დადგეს, ერთიც 22-ათასიან „ჩარლეტი სტადიუმზე“, ხოლო ორი დანარჩენი საქვეყნოდ ცნობილ საცხენოსნო კომპლექს „ვინსენსა“ და „ბერნარ დავინის“ სახელობის სტადიონზე მოუყრის თავს მაყურებლებს.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის
დღეებში — კვირაში შვიდჯერ

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორრეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29